After his successful completion of Armenian and Georgian Studies Niko Marr selected Javakhishvili for a dissertation, which required to study one year abroad, in Germany. Adolf von Harnack at Friedrich Wilhelm University Berlin, a leading scholar in the history of early Oriental Christianity was according to his research plan the first station. Plans to study with the cultural historian Karl Lamprecht at Leipzig and with the Byzantinist Karl Krumbacher in Munich did not materialise. The research topics were related to “The separation of the Georgian from the Armenian Church”, “The Character of Christianity in Ancient Armenia and Georgia”, “Church Organisation”, “The Feudal Character of the clergy in Georgia”, “The feudalization of land in Armenia and Georgia” and “The fight between royal power and the feudal lords from David the Builder to Queen Tamar, XII-XIII cc.”. Obviously, Javakhishvili was not interested in Leopold von Ranke’s Borussian version of political history. As a Tsarist subject he had to overcome administrative barriers: upon his arrival in April 1901 he could not be enrolled, because of a missing university degree certificate of St. Petersburg University, which Niko Marr had to provide. Finally he was enrolled as “Johannes Dshawachischwili” from “Russia-Tiflis” in “philosophy” (“history” was deleted) at Friedrich Wilhelm University Berlin from April 1901 until March 1902, matriculation number 4434. In the 1900s still there were only few individuals with university degrees for research purposes, while growing numbers of Russian students in Germany were Jews not allowed to study in Russia. From the Caucasus it were mainly Armenians, much less Georgians. The **cooperation with Adolf von Harnack** seemed to be successful. Javakhishvili did not move on to another university and continued in Berlin translating “The Martyrdom of St. Euthymios” into German (Minutes of Prussian Academy of Sciences 1901). He completed his studies with “rite” (topics to be identified). When Harnack offered him to continue working on Christian Oriental Church History, he declined. Since Dec. 1901 he was preparing for an expedition with Prof. Marr to Mt. Sinai, St. Catherine’s Monastery to find Georgian and Armenian manuscripts. From April until September 1902, they were travelling to Mount Sinai in search of Georgian manuscripts.

This expedition led into the Ottoman Empire from Petersburg via Odessa and Constantinople to Alexandria, Cairo and finally Sinai (April-August 1902). This trip is preserved in a regular and fast correspondence via post cards with Georgian friend in St. Petersburg. He was looking to identify documents supporting claims of autocephaly of Georgian Orthodox Church long before becoming part of the Russian Holy Synod. This was his mission. Ivane Javakhishvili as a national historian intended to create a new, national master narrative the led to his “History of the Georgian Nation” (1908).

Based on the paradigm of a European nation and defended in his article “Patriotism and Science” he turned against Iakob Gogebashvili’s “advocacy science” (1902) and advocated the writing of “scientific” (positivist) history in revolutionary 1905 with a new object of history that appears in the title his book: the Georgian nation, marking a Europeanization of the historical profession as a long-term development from the times of early kings to Soviet Georgia. All further editions of Javakhishvili’s “History of the Georgian Nation” served to adapt this new master narrative to the changing political settings. A comparison of his original writings (all preserved in his personal fond) with the edited volumes is still pending.

Another interesting type of materials preserved is the **Georgian students' survey from 1913**, initiated and led by Javakhishvili and organized by the “Young Scientists Circle of Georgians” at St. Petersburg University (working in Georgian), launched as a large scale survey among Georgian students with 763 responses from 1500 questionnaires sent to Russian and European Universities (see Tinatin Abuladzes MA thesis analysing the political orientations of these students after 116 years!).

Finally, there are thousands of personal letters of Ivane Javakhishvili's correspondence with other scholars and colleagues, for example, with Ekvtime Taqaishvili (N1809, 12/V/1900). These letters represent the category of ego-documents, which help to understand the formation of a scholar through the communication with others, the development of his ideas and influences from scientific discourse and politics. This correspondence provides us with a “time horizon” e.g. of expectations from the future.

As a conclusion, we can state that Iv. Javakhishvili's personal fund represents an ideal means for a complex analysis of a human and scholar, to understand the reason behind his actions and tracing his relationships and the formation of a distinct social group as the Georgian nation and identify the origins of new academic ideas and interests.

## ბიბლიოგრაფია / BIBLIOGRAPHY

**დ. სართანია**, ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობა და მისი გამოცემული შრომები; რედ. ფარნაოზ ლომაშვილი [Iv. Javakhishvili's Scientific Heritage and his published works; Ed. Farnaoz Lomashvili]. Tbilisi 2009 <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/6909>

**თ. აბულაძე**, 1912-1913 წლებში რუსეთსა და საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი სტუდენტების პოლიტიკური იდენტობები [Political Identities of Georgian Students Living in Russia and Abroad in 1912-1913], MA thesis in sociology, Ilia State University, July 2019.

**ივანე ჯავახიშვილის პირადი არქივის აღწერილობა**, შეადგინეს ა. ბაქრაძემ და ნ. ჯავახიშვილმა; კორნელი კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი [Iv. Javakhishvili's personal archive description. Ed. by A. Bakradze & N. Javakhishvili; K. Kekelidze's Institute of Manuscripts. Tb.: metsniereba, 1976.

**ივ. ჯავახიშვილი**, (1876-1940) ბიბლიოგრაფია [Ivane Javakhishvili (1876-1940) Biobibliography]. Tb. 1976:43,45,50.

**ო. რაისნერი**, ორი სამყაროს მგზავრი. თერგდალეულთა იდენტობის კონფლიქტი და ეროვნული ცნობიერება, კრებულში: ქართველი ერის დაბადება. ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები (26-27 ნოემბერი, 2007 წ.). თბილისი: ისუ გამომცემლობა, 2009, გვ. 48-66.

**O. Reisner**, Georgian student encounters with Russian and European Universities, 1861-1917 – A Generational Approach, in: Anthropological Researches 2 (2015), 88-102.

**O. Reisner**, Travelling Between Two Worlds – the Tergdaleulebi, their Identity Conflict and National Life. In: Identity Studies 1 (2009), no. 1, pp. 36-50.

## **ირინა გოგონაია**

*კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს  
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

### **როგორ ვიცავთ ხელნაწერ კულტურულ მემკვიდრეობას? სიმულაციური თამაშები ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციების საფუძველზე**

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, რომელიც წარმოადგენს საქართველოში უძველესი ხელნაწერი წიგნებისა და ისტორიული დოკუმენტების უმდიდრეს საცავს და ავტორიტეტულ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას, საზოგადოებაში ასრულებს მნიშვნელოვან საგანმანათლებლო-კულტურულ როლს. საგანმანათლებლო პროგრამების საშუალებით (საზაფხულო/სეზონური სკოლები, სასწავლო პრაქტიკა, ტრენინგები და სხვ.) ცენტრი ხელს უწყობს, ერთი მხრივ, აქ დაცული კოლექციების პოპულარიზაციას, ხოლო, მეორე მხრივ, ხელნაწერ კულტურულ მემკვიდრეობასთან ზიარებით საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის და ინდივიდის შესაძლებლობების განვითარებას. კოლექციების სასწავლო-საგანმანათლებლო პოტენციალის აქტუალიზაციისათვის ხშირად საჭიროა სპეციალური პედაგოგიური ფორმებისა და საშუალებების გამოყენება.

საზაფხულო სკოლის ფარგლებში ინტერაქტიულ პროგრამაში „როგორ ვიცავთ ხელნაწერ კულტურულ მემკვიდრეობას?“, რომელიც ითვალისწინებს მსმენელებსათვის ცენტრში დაცული კოლექციების, ასევე, ხელნაწერებთან მუშაობის ზოგიერთი ასპექტის გაცნობას, გამოყენებულია სიმულაციური დიდაქტიკური თამაში „არქივისტი“.

სიმულაციური თამაშის შინაარსის შემუშავებისას, ჩვენ ვეყრდნობოდით სიმულაციის ზოგად განმარტებას, რომელიც ითვალისწინებს სინამდვილის გარკვეული ფრაგმენტის წარმოდგენას გამარტივებული სახით, რაც აადვილებს დაკვირვებასა და ოპერირებას. სიმულაციური თამაში ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: 1. უშუალოდ არის დაკავშირებული სინამდვილესთან, მაგალითად, მიმართულია პროფესიული საქმიანობის დეტალურ შესწავლაზე, ჩვენ შემთხვევაში, არქივისტის/საცავის მცველის/კოდიკოლოგის საქმიანობის შესწავლაზე; 2. მოითხოვს მონაწილის მხრიდან აქტიურობას; 3. სტრუქტურირებულია, ანუ მიმდინარეობს მკაფიოდ განსაზღვრული ნესების შესაბამისად. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აქტივობების, სასწავლო რესურსებისა და მონაწილეთა დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზების საშუალებების დიზაინს (სასწავლო ბარათები და სამუშაო ფურცლები, შემუშავებული პ. გალპერინის გონებრივი მოქმედებების ეტაპობრივი ფორმირების თეორიის შესაბამისად).

საილუსტრაციოდ წარმოგიდგინთ აქტივობის „არტეფაქტების სამყარო“ აღწერას, რომელიც შემუშავებულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციის საფუძველზე. აქტივობის უნივერსალური მეთოდური ჩარჩო მრავალფეროვანი კონტენტის გამოყენების საშუალებას იძლევა. ამ შემთხვევაში გამოყენებულია არტეფაქტის ასლი სპარსული დოკუმენტების კოლექციიდან (Pd – 41).

აქტივობის მიზანი	აქტივობის აღწერა	დრო
<p>მონაწილეები გაიაზრებენ არტეფაქტების მნიშვნელობას</p>	<p>წამყვანი მონაწილეებს უჩვენებს სლაიდს (სურ. 2.), რომელზეც არის გამოსახულება და დამალული ტექსტი. მწვრთნელი სთხოვს მონაწილეებს, გამოთქვან მოსაზრებები, რას შეიძლება წარმოადგენდეს მოცემული დოკუმენტი. მონაწილეები აკვირდებიან გამოსახულებას, გამოთქვამენ ვარაუდებს (დამწერლობის, რაობის, დანიშნულების და ა. შ. შესახებ).</p> <p>წამყვანი წერს ვარიანტებს დაფაზე. ეკრანზე იხსნება დაფარული ტექსტი – დოკუმენტის ანოტაცია.</p> <hr/> <p>შაჰ-სულთან ჰუსეინის ბრძანებულება კახეთში მოთარეშე დაღესტნელების დასჯის შესახებ 1705. აღმოსავლური თეთრი ქალაქი, ზომები: 56,2 X 25 სმ ტექსტი დაწერილია შავი მელნით, ცენტრში – შაჰის პატარა ოთხკუთხა ბეჭედი Pd – 41 კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.</p> <hr/> <p>მონაწილეები აფიქსირებენ ერთგვარ შეუსაბამობას ტექსტის გაფორმებასა და შინაარსს შორის.</p> <p>წამყვანი მონაწილეებს აწვდის სამეცნიერო კვლევის შედეგად მიღებულ ინფორმაციას (წყარო: მოხატული ისტორიული დოკუმენტები საქართველოს სიძველეთსაცავებიდან, დარეჯან კლდიაშვილის რედაქციით. თბილისი, 2011. 149-224):</p> <ul style="list-style-type: none"> <li>– სპარსული საბუთების ტექსტის ძირითადი ნაწილი დაწერილია ინდური შავი მელნით (ტუშით); ზოგიერთი აქცენტირებული ნაწილის გამოსაყოფად იხმარება წითელი მელანი და ოქროს ვარაყი.</li> <li>– სპარსული საბუთები, ჩვეულებრივ, მცირე ზომისაა, ნაწერია ერთ ფურცელზე. მისი ზომა საშუალოდ არის 36/50 X 20/30 სმ; ტექსტის დასასრულს, როგორც წესი, მითითებულია საბუთის დაწერის თარიღი.</li> <li>– ფირმანების ძირითადი მასალაა სირიული და ჩინური წარმოშობის ლია ფერის თხელი გაპრიალებული ქალაქი. დოკუმენტის ტექსტი და მისი შემომსაზღვრელი ორნამენტული არშია ხშირად ჩასმულია უფრო სქელი ქალაქის ფერად ჩარჩოში, რომელიც იცავს საბუთს დაზიანებისაგან.</li> </ul> <p>ამ მცირე ინფორმაციის მიწოდების შემდეგ წამყვანი მონაწილეებს მიმართავს შეკითხვით:</p> <p>ამ დოკუმენტის მიხედვით რა შეიძლება ვთქვათ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პერიოდზე/ეპოქაზე?</li> <li>• ქართულ/სპარსულ კულტურაზე, კულტურულ ურთიერთობებზე?</li> <li>• კიდევ რა ინფორმაციას გვანვდის?</li> </ul> <p>წამყვანი აჯამებს აქტივობას.</p> <p>მნიშვნელოვანია, მონაწილეებმა გაიაზრონ, რომ მუზეუმში/სიძველეთსაცავში არტეფაქტის დაცვა საცავში შენახვასთან ერთად მის შესწავლას გულისხმობს. არტეფაქტებს სწავლობენ სხვადასხვა დარგის მეცნიერები, რათა განისაზღვროს მათი რაობა, სახეობა, მხატვრული იერი და სხვ.</p>	<p>30 წთ.</p>

ნამყვანი მსმენელებს ჯგუფებად ყოფს. ჯგუფებს ურიგდებათ ხელნაწერების ასლების პაკეტი და საგანგებოდ შემუშავებული სამუშაო ფურცელი (სურ. 3). თითოეული პაკეტი მოიცავს სხვადასხვა მასალას (არტეფაქტების ასლები), გამოყოფილი კატეგორიების მიხედვით.

მონაწილეები დამოუკიდებლად ათვალიერებენ მასალას, ეცნობიან ანოტაციებს და ახარისხებენ საკუთარი შეხედულებისამებრ. სამუშაო ფურცლების საფუძველზე მონაწილეები აჯგუფებენ მასალას გამოყოფილი კატეგორიების მიხედვით. მუშაობის დასრულების შემდეგ ხდება სამუშაოს წარდგენა – დაფაზე მოცემულია კატეგორიზაციის სქემა, თითოეული ჯგუფის წარმომადგენლები სათითაოდ გამოდიან დაფასთან და შესაბამისი კატეგორიის ქვეშ ათავსებენ (აკრავენ) არტეფაქტს, ასაბუთებენ, რატომ თვლიან, რომ მოცემული ნიმუში მიეკუთვნება ხელნაწერის, ისტორიული დოკუმენტის, პირადი არქივის ან ძველნაბეჭდი წიგნის კატეგორიას. მიმდინარეობს კლასიფიცირების შედეგების განხილვა და საექსპერტო შეფასება.

აღნიშნული სიმულაციური თამაში სტუდენტთა სასწავლო-შემეცნებითი საქმიანობის ეფექტიანი ფორმაა, რომელიც ხელს უწყობს ახალი ცოდნის მიღებას, განმტკიცებას, პრაქტიკული უნარ-ჩვევების მიღებას და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, სიამოვნებას ანიჭებს სტუდენტებს.

*Irina Gogonaia*

*Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts*

## **HOW DO WE PRESERVE MANUSCRIPT CULTURAL HERITAGE? SIMULATION GAME BASED ON THE COLLECTIONS OF THE KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS**

The National Centre of Manuscripts, which is the richest repository of ancient manuscript books and historical documents in Georgia and an authoritative scientific-research institution, plays an important educational-cultural role in the society. Through educational programs (summer/seasonal schools, internships, trainings, etc.), the Centre promotes, on the one hand, the collections preserved here, and, on the other hand, the development of opportunities for different groups and individuals in the community by sharing manuscript cultural heritage. It is often required to use special pedagogical forms and means to actualize the educational potential of the collections.

In the framework of the summer school the interactive program, called, “How do we preserve manuscript cultural heritage?” assists that the listeners get familiarized with the collections preserved at the Centre as well as acquire the knowledge of the aspects of process that involves working on manuscripts, the simulation didactic game “Archivist” is played to better reach this goal.

In the process of simulation content formation, we used the general definition of simulation which considers the representation of reality in the simplified form. This way it renders the

observation and operation processes easier. The simulation game is marked by the following characteristics: 1. It is directly related to the actual professional environment, for example, it is directed to the detailed study of professional activities of the archivist/repository guard/codicologist; 2. Requires active involvement from the participants; 3. It is structured, progresses under the clearly defined rules. Particular attention is paid to the design of activities, learning resources and means of organizing independent work of participants (learning cards and worksheets designed following P. Galperin's SCOBA – "scheme of a complete orienting basis of the action").

As a showcase here is a description of the activity “World of Artifacts”, which is based on the collection of the National Centre of Manuscripts. The universal methodological framework of the activity allows the use of a variety of content. In this case, we illustrate a copy of the artifact from the collection of Persian documents (Pd – 41).

**Table 1.** Description of the activity “World of Artifacts“

Aim of the activity	Activity description	Time
Participants will understand the importance of artifacts	<p>The presenter shows the participants a slide (Fig. 2.) with an image and hidden text. The trainer asks the participants to express their opinions on what the given document might represent. Participants observe the image, make assumptions (about script, essence, purpose, etc.).</p> <p>The presenter writes the options on the board. The hidden text – document annotation – opens on the screen.</p> <hr/> <p>Shah Sultan Hussein’s decree on exacting punishment Dagestani invaders of Kakheti. 1705. Oriental white paper, dimensions: 56,2 x 25 cm</p> <p>The text is written in black ink, in the centre – a small rectangular ring of Shah.</p> <p>Pd – 41</p> <p>Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts</p> <hr/> <p>Participants find the link between illumination of the document and its content somewhat incomprehensible (Fig. 2). The presenter provides the participants with the information obtained as a result of scientific research (Source: Illuminated Historical Documents <b>from Georgian Depositories</b>, edited by Darejan Kldiashvili. – Tbilisi, 2011. – 149-224):</p> <ul style="list-style-type: none"> <li>– The main part of the text of Persian documents is written in Indian black ink; Red ink and gold foil are used to highlight some of the accentuated parts.</li> <li>– Persian documents are usually small in size, written on a single sheet of paper. Its size on average is 36/50 x 20/30 cm; At the end of the text, the date of writing the document is usually indicated.</li> </ul>	30 minutes

	<p>– The main material of the firmans is light colored thin polished paper of Syrian and Chinese origin. The text of the document and its adjoining ornamental margins are often embedded in a thicker colored paper frame that protects the document from damage.</p> <p>After providing this small amount of information, the presenter asks the participants a question: based on this document what can be maintained as for assessing:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• The period/epoch?</li> <li>• Georgian/Persian culture, cultural relations?</li> <li>• Other information it can provide?</li> </ul> <p>The presenter summarizes the activity.</p> <p>It is important for participants to understand that along with storing it in a repository, thoughtful procedure of preserving an artifact in a museum/antiquity involves the process of its thorough study. Artifacts are studied by scientists in various fields to determine their identity, species, artistic features, etc.</p>	
--	--	--

The presenter divides the listeners into groups. Packages of manuscript copies and a specially designed worksheet (Fig. 3) are distributed to the groups. Each package includes different materials (copies of artifacts) according to the allocated categories.

Participants view the material independently, read the annotations, and sort at their discretion. Based on the worksheets, participants group the material according to the allocated categories. After the work is completed, the work is presented – a categorization diagram is given on the board, the representatives of each group come to the board one by one and place (enclose) the artefact under the appropriate category, justifying why they think the sample belongs to manuscripts, historical documents, private archives or old printed books category. The results of the classification are discussed and evaluated.

The simulation game is an effective form of student learning-cognitive activity, which promotes the acquisition of new knowledge as well as practical skills, their further reinforcement and, what is no less important, it is at disposal so that students feel free and at their leisure during its procedure.

## ბიბლიოგრაფია / BIBLIOGRAPHY

ი. გოგონაია, სიმულაციური თამაშის გამოყენება საარქივო მასალის საფუძველზე შემუშავებულ საგანმანათლებლო პროგრამებში (სიმულაციური თამაში „არქივისტი“ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში). საერთაშორისო კონფერენციის „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა, სიძველეთმცოდნეობა – ტენდენციები და თანამედროვე გამოწვევები“, მასალები. თბილისი, 2017. გვ. 78-82. [I. Gogonaia, Using Simulation Games in the Museum Educational Programs Based on the Archival Documents (Simulation Game “Archivist” within the Educational programs of the Georgian National

Centre of Manuscripts). – Inrenational Conference Proceedings *Archival Studies, Source Studies – Trends and Challenges*. Tbilisi, 2017. pp. 78-82].

მობატული ისტორიული დოკუმენტები საქართველოს სიძველეთსაცავებიდან (დარეჯან კლდიაშვილის რედაქციით). თბილისი, 2011.

3. **А. Бонами**, Музей – образование – дети. Музейная педагогика за рубежом: Работа музеев с детской аудиторией. М., 1997.

“**Georgian, Persian, and Ottoman Illuminated Historical Documents in the Depositories of Georgia**” (Darejan Kldiashvili (Ed.)). Tbilisi, 2011.

**J. Daines**, Adult Learning – Adult Teaching; Welsh Academic Press, 2006.

**T. Jeffs, and M. K. Smith**, (eds.) Using Informal Education. An alternative to casework, teaching and control?, Milton Keynes: Open University Press, 1999.

**T. Simkins**, Non-Formal Education and Development. Some critical issues, Manchester: Department of Adult and Higher Education, University of Manchester. 1977.



**სურ. 2.** შაჰ-სულთან ჰუსეინის ბრძანებულება კახეთში მოთარეშე დღესტენელების დასჯის შესახებ, 1705 წ.

**Fig. 2.** Shah Sultan Hussein’s decree on exacting punishment Degestani invaders of Kakheti. 1705.

We have 4 different types of written artifacts at the Center. Examine the collection and list them according to the appropriate categories below

Manuscripts	Historical documents	Private archives	Old printed books
1		3	4

**სურ. 3.** სამუშაო ფურცელი. მასალის კლასიფიკაცია კატეგორიების მიხედვით.

**Fig. 3.** Worksheet. Classification of material by categories.



## **თამარ დვალიშვილი**

*კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს  
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

### **დაზიანებული ფურცლის რესტავრაცია**

კონსერვაცია-რესტავრაცია სამეცნიერო დარგია, რომელიც ემსახურება ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის შენახვა-გადარჩენას.

უძველესი დროიდან რესტავრაციის ნიშნები ხელოვნების ნიმუშებთან ერთად ჩნდება. ხელნაწერი მემკვიდრეობის შემთხვევაში ვხვდებით მინუშებს, სადაც ჩანს, რომ ეტრატის დამზადებისას, ტექნოლოგიური თავისებურებების გამო, მასალა ზოგჯერ ზიანდებოდა. მასალის სიძვირისა და მისი შექმნის სირთულის გამო, ოსტატები შეაკეთებდნენ ხოლმე ეტრატის დაზიანებულ უბნებს, აკერებდნენ ბამბის ან აბრეშუმის ძაფით. ზოგჯერ ასეთი დაზიანებული უბნები იკერებოდა ცხოველის მყესებით დამზადებული ძაფითაც. ხელნაწერების ხშირი გამოყენებისას, პირველ ყოვლისა, ზიანდებოდა წიგნის ყდა, ამიტომ მას ცვლიდნენ ახლით. დაზიანებულ ყუას და კიდეებს აწებებდნენ ქალაღის ზოლებს, ეტრატის ფურცლების შემთხვევაში კი დაზიანებულ ადგილს ავსებდნენ ეტრატის მასალით.

დღეისათვის რესტავრაციის არსი მდგომარეობს მატერიალური მემკვიდრეობისა და ხელოვნების ნიმუშების იმ სახით შენახვაში, როგორი სახითაც არის ის ჩვენამდე მოღწეული. დაზიანებული ნიმუშის მდგომარეობის გათვალისწინებით მას უტარდება კონსერვაცია ან რესტავრაცია.

კონსერვაცია გულისხმობს ისეთი სამუშაოების ერთობლიობას, რომელიც არ ცვლის ექსპონატის იერსახეს, მაგრამ აჩერებს მასში მიმდინარე დამაზიანებელ პროცესებს და უქმნის ისეთ გარემოს, რომელიც იცავს და ინახავს მას ხანგრძლივი დროის განმავლობაში. რესტავრაციის შემთხვევაში ხდება დაზიანებული ერთეულის მთლიანობის აღდგენა, ნაკლები უბნების შევსება სპეციალური, ორიგინალთან მიმსგავსებული მასალით.

ორივე შემთხვევაში, კონსერვაციისა და რესტავრაციისას, აუცილებელია შენარჩუნდეს ნიმუშის ავთენტური სახე და ყველა, უმცირესი ნაწილიც კი, რომელიც რესტავრაციის პროცესში რაიმე მიზეზით მოსცილდა ორიგინალს, მაგრამ წარმოადგენს მის ისტორიას.

კონსერვაცია და რესტავრაცია რამდენიმე ეტაპისგან შედგება, ესენია: დაზიანებული ერთეულის დათვალიერება, მისი მდგომარეობის შესწავლა და კვლევა, დაზიანების ხარისხის და სახეობის განსაზღვრა და სამუშაოების დაგეგმვა. კვლევის პროცესში ტარდება ობიექტის ფოტოგადაღება მდგომარეობის დასაფიქსირებლად.

ივსება საპასპორტო მონაცემები. იმ შემთხვევაში, თუ დაზიანებული ერთეული დასნებოვნებულია, დაობებულია ან დაავადებულია სოკოთი ან რაიმე მწერი, მას უტარდება დეზინფექცია და დეზინსექცია. ამისთვის ერთეული თავსდება სპეციალურ კამერაში და მუშავდება ქიმიური ნივთიერებებით.

შემდეგ, საჭიროებიდან გამომდინარე, კოდექსის შემთხვევაში, ბლოკი იშლება ფურცლებად. ერთეულები მუშავდება და ინმინდება ფუნჯებით, ბამბით, სპეციალური სანმენდი ღრუბლებით, მშრალი ან სველი წესით. ზოგჯერ ობიექტი საჭიროებს დამატებით დამუშავებას ქალაქის მომატებული მჟავიანობის გასანეიტრალებლად. ამისათვის გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი. შემდეგ ეტაპზე ხდება დაზიანებული ფურცლის მთლიანობის აღდგენა. ამისათვის რესტავრატორი შეარჩევს სპეციალურად რესტავრაციისთვის დამზადებულ ქალაქს, ორიგინალის ფერის, ფაქტურის და სისქის გათვალისწინებით. ამისთვის რესტავრაციის პროცესში გამოიყენება „იაპონური ქალაქი“, რომელიც ინარმოება იაპონიაში და იქმნება სპეციალური ჯიშის ხეების ბოჭკოსგან, ისეთი როგორიცაა კოზო, გამპი და მიცუმატა. ამ ქალაქს აქვს გრძელი ბოჭკო, რის გამოც დამყოლი და ელასტიურია. აქვს ნეიტრალური ფაქტორი და უსაფრთხოა ნებისმიერი სახის სარესტავრაციო ერთეულისთვის. ეტრატისთვის გამოიყენება ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის სხვადასხვა სახის წებო და იაპონური ქალაქი, ან განსაკუთრებული მეთოდით დამუშავებული ეტრატის მასალა. რესტავრაციის პროცესში გამოიყენება მხოლოდ შექცევადი მასალა – ისეთი წებოები და ხსნარები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში მოსცილდება ორიგინალს და არ დაზიანებს მას. წებოსთვის ძირითადად გამოიყენება მაღალი ხარისხის და სპეციალურად დამუშავებული ხორბლის ან ბრინჯის სახამებელი, ასევე, ცელულოზის საფუძველზე დამზადებული მაღლი ხარისხის წებოები.

ფურცლების რესტავრაციის დასრულების შემდეგ, ისინი ინნეხება პრესში და ლაგდება რვეულებად. შემდეგ ეტაპს წარმოადგენს ყდის რესტავრაცია. რესტავრირებული ფურცლების რვეულები იკინძება დაზგაზე ისეთივე მეთოდით, როგორითაც აკინძული იყო ორიგინალი. იმ შემთხვევაში, თუ ხელნაწერს გააჩნდა კაპტალი (ფერადი ძაფებისგან მოწნული თასმა, რომელიც ეკერებოდა ზევით და ქვევით ბლოკის ყუაზე, მტვრისგან დასაცავად და ბლოკის სიმყარისთვის, ასევე, დეკორატიული მიზნით), მას უტარდება რესტავრაცია და უბრუნდება ბლოკს, ან მზადდება ახალი. აკინძული ბლოკი იმოსება ყდით. იმ შემთხვევაში, როდესაც ხელნაწერს გააჩნია ყდა, მას, საჭიროებისამებრ, უტარდება რესტავრაცია. თუ ყდა დაკარგულია, მზადდება ახალი ყდა, ტყავის, მუყაოს, ხის დაფების ან სხვა შესაბამისი მასალის გამოყენებით. რესტავრაციის ყველა ეტაპი საჭიროებს დიდ ყურადღებას და სიზუსტეს. სარესტავრაციო სამუშაოები მოითხოვს რესტავრატორისგან დიდ პასუხისმგებლობას, რათა ყველა სამუშაო ჩატარდეს ხარისხიანად. რესტავრაციის მთავარი არსი მდგომარეობს დებულებაში – „არ დაზიანო!“

## **CONSERVATION AND RESTORATION OF MANUSCRIPTS AND PRINTED HERITAGE**

Conservation-restoration is a scientific field that serves to preserve-recover historical and cultural heritage. Signs of restoration from ancient times appear alongside works of art. In the case of manuscripts, some samples show that in the process of preparing the parchment, the material was often damaged as a result of peculiarities in manufacturing methods and technology. Due to high cost of materials and difficulty in the process of manufacturing it, masters of the field would often repair damaged areas of the parchment, using cotton and silk threads. Some samples have damaged areas sewed using improvised thread made from animal sinew and tendon. Following frequent use of manuscripts, the initial damage occurs in book cover/binding. Damaged spine and edges were patched and covered using thin paper strips, while damaged areas of parchment were filled using the parchment material.

Modern restoration strives to conserve and protect material heritage in a way that would preserve its initial form and design, the way it was inherited and delivered to the Centre. Damaged samples are restored with precision and reinforced for better conservation.

The purpose of conservation is to employ a collection of methods that serve to halt progression of damage in exhibits, and create a safe environment that preserves and protects it for a long period of time, without in any way changing or affecting appearance or initial form and structure of the exhibit.

Restoration process serves to reverse damage/restore damaged areas and fill missing sections with special materials closely related to original materials used, and as such preserving the original form and appearance.

In both cases, during conservation and restoration, it is essential to preserve authenticity of the sample. Every finest detail, some of which might divert from the original in the process of restoration based on severity of damage, must in the end represent the history of inherited exhibit.

Conservation and restoration processes consist of several stages: Observation of damaged units, studying the condition of the unit and conducting research, determining the type, extent and severity of damage and work planning. In the process of research, the object is recorded and photographed for fixed observation of damage and condition. The details of conducted work are recorded in the restoration/conservation passport of the exhibit. If the damaged sample shows signs of organic damage or infection, such as coating of mould/fungus or infested with insects, it is processed in a special decontamination chamber using chemical treatment.

Afterwards, if it is required such as in the case of codex samples, the block is separated into individual papers. Units are processed and cleaned with precision brushes, cotton, special restoration sponges, and using wet or dry methods depending on damage type. In some cases, object requires additional processing for neutralizing increased acidity of paper material. Various methods are employed for this, depending on the situation, material and condition.

Next stages serve to restore integrity of damaged papers. Restorer has to choose special restoration designated paper material, taking into consideration color, facture and thickness of the original material. For this, “Japanese Paper” is used, manufactured in Japan from the bark/fibers of specific tree and shrub species such as Kozo, Gampi and Mitsumata. This paper has long thin fibers, which makes it exceptionally flexible and to an extent malleable. It has neutral pH factor and is safe to use for any kind of restoration unit or exhibit. For parchment restoration, various types of animal derived glue and either Japanese paper, or specially manufactured parchment materials are used. Only special “reversible” materials are used, such specific types of glue and solutions that can easily be removed from the original without in any way damaging it or leaving residue. For glue material, high quality and specially manufactured wheat or rice starch and cellulose-based glues are used.

After the restoration process is done, processed papers are pressed and dried, after which they are organized and stacked in order. Next stage is dedicated to restoration of cover/bindings. Stacked papers are bound on a machine in the same manner that it was bound originally. In the case that manuscript has a headband or a “Kaptal” (a ribbon woven from colored threads, two of which are sewn onto top and bottom parts on the inside of the book spine, which is used to protect the block from dust and reinforce it, as well as for decoration purposes), the ribbons are removed to be processed for restoration, or are replaced with new counterparts. After this, the cover is attached to the bound block. In case manuscript had an original cover that was damaged, it is processed for restoration. If the cover was lost, new cover is manufactured out of leather, carton, tree root or other applicable materials. Each stage of restoration/conservation requires thorough attention to detail and precision. Restoration processes demand great responsibility from the restorer specialist, such that each process is conducted with quality. The main essence of restoration is in the statement – “Do not damage!”

## **ბიბლიოგრაფია / BIBLIOGRAPHY**

**თ. დვალისვილი**, სამეცნიერო და პრაქტიკული რესტავრაციის ტერმინთა განმარტების შესახებ, საქართველოს ეროვნული არქივი, საკონფერენციო სტატიათა კრებული, თბილისი 2019 წ.

**თ. დვალისვილი**, ხელნაწერი და ბეჭდური ობიექტების კონსერვაცია-რესტავრაცია-პრაქტიკული და მეთოდური სახელმძღვანელო. საქართველოს ეროვნული არქივი, საკონფერენციო სტატიათა კრებული, თბილისი 2018 წ.

**T. Dvalishvili**, Manuscript and printed object conservation-restoration practical and methodical manual. Georgian National Archive, conference article collection, Tbilisi, 2018.

**T. Dvalishvili**, “On preventive conservation of the heritage preserved in book deposition collections”, “Caucasus Journal of Social Sciences”, Volume 4, Issue 1. Tbilisi, 2011.

**T. Dvalishvili**, Scientific and practical restoration terminology, Georgian National Archive, conference article collection, Tbilisi, 2019.

## **დიმიტრი გურგენიძე**

*კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს  
ხელნაერთა ეროვნული ცენტრი*

### **დიგიტალიზაცია ხელნაერთა ეროვნულ ცენტრში**

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაერთა ეროვნულ ცენტრში დიგიტალიზაციის ლაბორატორია დაარსდა 1999 წელს და მას შემდეგ დიგიტალიზაციის პროცესი უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს.

დიგიტალიზაცია გულისხმობს ხელნაერთი მემკვიდრეობის (ხელნაერთი წიგნები, საისტორიო საბუთები, არქივები და სხვა) ციფრული ასლების შექმნას (ფოტოგადაღება/სკანირება, ციფრული დამუშავება და სასერვერო სივრცეში განთავსება).

დიგიტალიზაციის მიმართულება წარმოადგენს ხელნაერთა ეროვნული ცენტრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს შემდეგი მიზეზების გამო:

- დიგიტალური ვერსიების შექმნით ვიცავთ ორიგინალ მასალას ზედმეტი შეხებისგან; ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცენტრის მომსახურების სფერო. ცენტრის სამკითხველო დარბაზი საშუალებას აძლევს როგორც ქართველ, ასევე უცხოელ მკვლევრებს, გაეცნონ და დაამუშავონ მათთვის სასურველი, საინტერესო მასალა. ციფრული ვერსიების არსებობის პირობებში ფონდსაცავებიდან სამკითხველო დარბაზში გადის უკვე არა ორიგინალი მასალა, არამედ მათი ციფრული ასლები. შესაბამისად, ციფრული ვერსიების შექმნა არის ორიგინალების დაცვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალება.

- დიგიტალური ვერსიების არსებობის პირობებში მეცნიერს, დიდწილად, უადვილდება ტექსტოლოგიური კვლევების ჩატარება. ციფრული ვერსიების არსებობის პირობებში მკვლევარს შეუძლია კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით გაადილოს მისთვის საინტერესო ტექსტის ადგილები, რომლებიც ორიგინალში ლუპის დახმარებითაც კი ძნელადაა გასარჩევი, ციფრული ვერსიების გამოყენებით ტექსტი ადვილად ნაკითხვადი ხდება. დარგების განვითარებას დიდად უწყობს ხელს ციფრული ვერსიების გამოყენება.

- ციფრული ვერსიების არსებობის პირობებში მნიშვნელოვანწილად ვითარდება სამეცნიერო საგამომცემლო საქმე. წყაროს გამოქვეყნების დროს გვეძლევა საშუალება თან დავურთოთ ტექსტის ზუსტი ფოტო-ვერსიები. ასევე შესაძლებელია მრავალმხრივ გავამდიდროთ თვალსაჩინოებით სამეცნიერო თუ პოპულარული გამოცემები.

- ციფრული ვერსიები საშუალებას იძლევა, განხორციელდეს სხვადასხვა სამეცნიერო-საგანმანათლებლო-საგამოფენო პროექტი. შესაძლებელი ხდება ვიზუა-

ლური მასალის ბანერებზე დაბეჭდვა, მასალის ფოტო და ვიდეო ვერსიების სახით ჩვენება, კატალოგების დაბეჭდვა და სხვა.

- ხელნაწერი მემკვიდრეობის ელექტრონული ვერსიების არსებობის პირობებში მზადდება მნიშვნელოვანი სამეცნიერო მოხსენებები, რომელთა გატანაც საერთაშორისო თუ ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებზე საშუალებას იძლევა, დაინტერესებულ საზოგადოებას ვიზუალიზაციის სახით მივანოდოთ ინფორმაცია სამეცნიერო სიახლეების შესახებ.

- მონაცემთა ბაზის შედგენა, სადაც დეტალურად იქნება მითითებული ხელნაწერის რაობა, ასევე ყველა სამუშაო, რომელიც ხელნაწერზე იქნება ჩატარებული.

დღეისათვის დიგიტალიზაციის ლაბორატორია აღჭურვილია:

1. 1+ ზომის სკანერით, რომლის მაქსიმალური რეზოლუცია 1200 პიქსელი ინჩზე (DPI);

2. 2 ზომის პლანეტარული სკანერით, მაქსიმალური რეზოლუცია – 600 პიქსელი ინჩზე (DPI);

3. 3 ზომის ნიგნის სკანერებით, მაქსიმალური რეზოლუცია – 600 პიქსელი ინჩზე (DPI);

4. მაღალი გარჩევადობის ციფრული ფოტოაპარატებით (30-50 მეგაპიქსელი).

5. ხელნაწერის ზომების და მდგომარეობის გათვალისწინებით, შეირჩევა დიგიტალიზაციის შესაფერისი მეთოდი. სრული გაციფრულების შემდეგ ხდება ელექტრონული ვერსიის პაგინაცია, მისი ციფრული დამუშავება შესაბამისი კომპიუტერული პროგრამით (Adobe Photoshop), რათა მაქსიმალურად მიუახლოვდეს ორიგინალს (ფერების კორექცია, კროპირება). კომპიუტერული დამუშავების შემდეგ ელექტრონული ვერსია ინერება მესხიერების მატარებლებზე (CD/DVD), რომლებიც გადაეცემა ფონდსაცავებს, ასევე, ინახება სერვერზე და სარეზერვო ასლი – დიგიტალიზაციის ლაბორატორიის კომპიუტერებში.

6. ბოლო წლებში დიგიტალიზაციის ლაბორატორიამ დაიწყო მუშაობა პალიმფსესტების სატესტო დიგიტალური ასლების შექმნაზე. მელანში გარკვეული ნივთიერებების შემცველობის გამო, შესაძლოა სხვადასხვა განათებაზე (ინფრანითელი და/ან ულტრაიისფერი) ბევრად უფრო აღქმადი გახდეს ძველი ნაშლილი ფენა. ამ ეტაპზე პალიმფსესტების დიგიტალიზაცია ხდება სპეციალური ფოტოაპარატით და ლინზით, სხვადასხვა ფილტრით და სხვადასხვა სიხშირის ულტრაიისფერი გამოსხივების ნათურებით.

7. სამომავლოდ იგეგმება, რომ დიგიტალიზაციის ლაბორატორიამ მუშაობა დაიწყო სპეციალური ფირის გადასაღები დანადგარის შექმნაზე, რომელიც საშუალებას მოგვცემს, მოკლე დროში სრულად მოვახდინოთ ფოტოფირების საცავის გაციფრულება.

8. დღეისათვის სულ დიგიტალიზებულია 100 000 გვერდზე მეტი, მათ შორის სრულად არის დიგიტალიზებული 450 ქართული ხელნაწერი, 5000 კადრამდე ფოტოფირი, 900 კადრამდე პალიმფსესტური გვერდი ულტრაიისფერი გამოსხივების დიაპაზონში, დიდი რაოდენობით არის გაციფრებული მნიშვნელოვანი ქართული ისტორიული დოკუმენტი; ასევე, სრულად არის დიგიტალიზებული ვაჟა-ფშაველას არქივი.

## THE PROCESS OF DIGITISATION AT THE NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

The Digitisation Laboratory at the Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts was established in 1999, and since then the digitisation process has been ongoing without stopping.

Digitisation means the creation of digital copies (taking photos / scanning, digital processing and place in server space) of manuscript heritage (manuscript books, historical documents, archives, etc.).

For the following purposes the field of digitisation is one of the important priorities of the National Centre of Manuscripts:

- By creating digital versions we protect the original material from unnecessary touch of people. The reading hall of the Centre allows both Georgian and foreign researchers to find out interesting material. In the presence of digital versions, we can use digital copies of the manuscripts, not the originals, likewise we protect the original ones. Consequently, creating digital versions is one of the most effective ways to protect originals.

- In the presence of digital versions, it is much easier for a scientist to search for interesting materials. The researcher can zoom in on the places which are interesting for him, which is hard to determine even with the help of a loop in the original, using digital versions, the text becomes easy to read. The use of digital versions encourages development of the various fields.

- In the presence of digital versions, considerably developing scientific and publishing work. In case of publishing a source, we are allowed to attach exact photo-versions of the text. It is also possible to enrich scientific or popular publications in many ways.

- Digital versions allow the implementation of various scientific-educational-exhibition projects. It is possible to show photo or video versions of the digital material, print banners, catalogues and etc.

- Important scientific reports and presentations are prepared by using electronic versions of the manuscript heritage, and this allows us to provide international or local scientific conferences with the visual materials.

- It is planned to make a database, where the features of the manuscript and performed work for each codex will be described in details.

Nowadays the digitisation laboratory is equipped by:

9. A1+ size Flatbed Scanner with max resolution 1200 DPI;

10. A2 size Planetary Scanner with max resolution 600 DPI;

11. A3 size Book Scanners with max resolution 600 DPI;

The digitisation method is selected based on the size of the manuscript. After complete digitisation the electronic version is paginated and processed by Adobe Photoshop to get as

close as possible to the original version (with colour, crop). After computer processing, the electronic version is written to CD/DVD, which is transferred to the repositories, as well as stored on a server and a backup copy in the computers of the digitisation laboratory.

In recent years, the Digitization Laboratory has begun work on creating test digital copies of Palimpsests. Due to the content of certain substances in the ink, the old erased layer may become much more visible in different lighting (IR and/or UV). At this stage, palimpsest are digitised with a special camera and lens, various filters and UV lamps of different frequencies.

It is planned that the digitisation laboratory will start working on the creation of a special tape recording device, which will allow us to fully digitise the photographic image in a short time.

Today, more than 100,000 pages have been digitised, including 450 Georgian manuscripts, up to 5,000 image of photocopies, up to 900 image of palimpsest in the range of UV light, also it is digitised a large number of important Georgian historical documents, as well as fully digitised Vazha-Pshavela archive.





სურ. 4. ალავერდის ოთხთავი, A-484. დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

Fig. 4. Alaverdi Four Gospels, A-484. Kept at Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts.



სურ. 5. ლაილაშის ბიბლია, Hebr-3. დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

Fig. 5. Lailashi Bible, Hebr-3. Kept at Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts.

## II მოდული: ქართული ენა და დამწერლობა

### მზექალა შანიძე


საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

### ქართული ენა შესავალი

ქართული ენა ქართველურ ენათა ოჯახის ერთ-ერთი წარმომადგენელია, რომელსაც ხანგრძლივი წერილობითი ისტორია აქვს. ქართული ენის უძველესი წერილობითი ძეგლები, ხელნაწერები და ეპიგრაფიკული მასალა დადასტურებულია V საუკუნიდან.

ქართული ანბანისა და დამწერლობის ისტორია ცალკე უნდა იყოს განხილული, მაგრამ აქ უნდა ვახსენოთ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი. ქართული ანბანი ფონემატურია ჩვენთვის ცნობილი მისი ისტორიის დასაწყისიდანვე. ეს კი ნიშნავს, რომ ყველა ფონემა, ანუ ენის სისტემაში ფუნქციის მქონე ბგერა, ანბანში წარმოდგენილია ცალკე გრაფემით, ე. ი. ასოთი (ერთადერთი გამონაკლისი ძველ ქართულში არის ფონემა „უ“, წერაში გამოიხატება ორი გრაფემით).

ქართული ენა, როგორც დანარჩენი ქართველური ენები, სვანური, მეგრული და ლაზური, შთამომავალია ერთი, საერთო წინარექართველური ენისა. თანამედროვე ენათმეცნიერთა შორის მიღებულია აზრი, რომ ქართველურ ენათა ნათესაობა, განსაზღვრული ისტორიულ-შედარებითი ანალიზით, შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სქემის სახით:



ქრონოლოგიურად სვანური არის პირველი დიალექტი საერთოქართველური ენისა, რომელიც ცალკე ენად ჩამოყალიბდა. მეგრული და ლაზური უფრო გვიან გამოცალკევდა.

ქართული არის საქართველოს სახელმწიფო ენა. ქართულად ლაპარაკობს დაახლოებით 4 მილიონი ადამიანი. სვანურად მეტყველებს საქართველოს მთიანი რეგიონის მცხოვრებთა მცირე ჯგუფი, დაახლოებით 70 ათასი ადამიანი. სვანური

საფრთხეში მყოფი ენაა და მას დაცვა სჭირდება. მეგრული გავრცელებულია საქართველოს დასავლეთ დაბლობ რეგიონში (დაახლოებით 250 ათასი ადამიანი). ლაზები კომპაქტურად არიან დასახლებულნი თურქეთის მოსაზღვრე სოფელ სარფსა და თურქეთის ზოგ რეგიონში. თანამედროვე საქართველოს ტერიტორია არის 70 ათასი კვადრატული კილომეტრი. ისტორიულად საქართველოს ტერიტორია უფრო დიდი იყო (ტაო, კლარჯეთი, შავშეთი, კოლა, არტაანი, სპერი. ამჟამად ეს რეგიონები, რომელთა როლი ქართული კულტურის ისტორიაში მეტად დიდია, შედის თურქეთის საზღვრებში ჩრდილო-დასავლეთ მხარეს და ზოგიერთ მათგანს სახელიც შეცვლილი აქვს). ქართული არქიტექტურის დიდებული ძეგლები, ზოგი მათგანი დანგრეული ან მეჩეთებად გადაკეთებული, ეკლესია-მონასტრები თავიანთი წარწერებით მდუმარე მონმენი არიან იქ ოდესღაც მიმდინარე კულტურული საქმიანობისა.

უნდა ითქვას, რომ საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები განსხვავებულია საქართველოს ფარგლებს გარეთ გავრცელებულ ენებში: *Georgia* და *Georgian* – ინგლისურში, *Géorgie* და *Géorgien* – ფრანგულში, ‘gruzia’, ‘gruzin’ – რუსულში, ‘vrastan’, ‘vrats’ – სომხურში. ასეთი სხვაობები ამა თუ იმ ქვეყნისა და მის მკვიდრთა სახელწოდებებში ხშირია. მათ გაჩენას სხვადასხვა მიზეზი აქვს. საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები ძველ ირანულ და სომხურ ენებში, დადასტურებული წერილობით და ეპიგრაფიკულ ძეგლებში, მომდინარეობს წინარეინდოევროპული ენიდან. ისტორიული ფონეტიკის მონაცემები გვიდასტურებენ ცვლილებას ირანული ენების ფონეტიკაში. ეს ცვლილებები კარგად არის ცნობილი და გვიჩვენებს, რომ თითქმის ყველა ტერმინი, რომლებიც საქართველოსა და ქართველებს აღნიშნავს, აქედან მოდის. იგი იხმარებოდა ჩვენი ისტორიული მეზობლების მიერ.

სერიოზული სამეცნიერო კვლევა ქართული და ქართველური ენებისა დაიწყო მხოლოდ თანამედროვე ეპოქაში, თბილისის უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ. მართალია, შუა საუკუნეებშიც მოიპოვება ცნობები საქართველოსა და ქართული ენის შესახებ. ეს ცნობები დასტურდება საქართველოში მყოფი მოგზაურებისა და მისიონერების ნაწერებში. ქართული ენის პირველი გრამატიკა ლათინურ ენაზე დაიბეჭდა 1643, 1670 წელს რომში, მისი ავტორი იყო იტალიელი მისიონერი ფრანჩესკო მარო მაჯო. პაოლინისა და ირბახის ქართულ-იტალიური ლექსიკონი კიდევ უფრო ადრეც დაიბეჭდა, 1629 წელს რომში. ყველა ეს შრომა ამჟამად ისტორიული თვალსაზრისით არის საინტერესო.

შუა საუკუნეების ქართულ სასულიერო ლიტერატურაში, რომელიც უმეტესად თარგმანებს შეიცავს, ენა (ქართული) და სხვადასხვა ენობრივი ფორმები ხშირად მოიხსენიება, მაგრამ ავტორთა თუ მთარგმნელთა მიზანი მაშინ ლინგვისტური კვლევა არ ყოფილა. ენობრივი მასალა ამგვარ თხზულებებში გამოყენებულია თეოლოგიური მიზნით. საინტერესო მაგალითია XII-XIII საუკუნეებში ტრაქტატის ფორმით დაწერილი „სიტყვა ართრონთათვის“, რომელშიც უცნობი ავტორი მსჯელობს ართრონის (არტიკლის) არარსებობაზე ქართულში. როგორც ჩანს, ავტორი იცნობს დიონისე თრაკიელის ფილოლოგიურ გრამატიკას. იგი უდარებს ერთმანეთს ბერძნული და ქართული სიტყვების ბრუნებას, მოჰყავს მაგალითები „ღმერთ“ სიტყვის ბერ-

ძნული და ქართული ბრუნებისა და ასკვნის: „არა არს ართრონი ქართულსა ენასა შინა“ (რაც, სხვათა შორის, ენობრივი თვალსაზრისით მართებულია).

„ქართული ღრამატიკა“ კათოლიკოს ანტონი I-ისა ცნობილია ორი რედაქციით. პირველი დაინერა 1753 წელს და მეორე შევსებული – 1767 წელს. ანტონი იყო განსწავლული ადამიანი, რომელმაც შეამჩნია და აღწერა ქართული ენის ზოგიერთი სპეციფიკური მოვლენა. სამწუხაროდ, ანტონი უმეტესად ცნობილია, როგორც ადამიანი, რომლის გავლენამ სალიტერატურო ენაზე მოგვცა მძიმე, ხელოვნური ენა. იგი არც ძველი ქართულია და არც ახალი. ანტონი ხმარობს ზოგიერთ ფსევდოარქაულ ფორმას, რომლებიც ქართულში არასდროს არსებულა. ამიტომ იყო, რომ მოწინავე ქართულმა საზოგადოებამ მე-19 საუკუნის შუა წლებში დაიწყო ბრძოლა ანტონის ხელოვნური ენის წინააღმდეგ. ილია ჭავჭავაძისა და მისი მხარდამჭერების მიზანი იყო ქართული სალიტერატურო ენის დაახლოება ცოცხალ ქართულთან. ილიას, აკაკი წერეთლისა და სხვათა საქმიანობამ საფუძველი ჩაუყარა ახალ ქართულ სალიტერატურო ენას, მიუხედავად იმისა, რომ არცერთი მათგანი განსწავლული ლინგვისტი არ ყოფილა და მათი არგუმენტები ზოგჯერ უფრო პატრიოტული გრძნობებით იყო მოტივირებული, ვიდრე სპეციალური ცოდნით.

მარი ფელისიტი ბროსემ (1802-1880) თავისი ცხოვრების ერთი ნაწილი რუსეთში გაატარა. მან ევროპელ მეცნიერებს გააცნო „ქართლის ცხოვრება“, რომლის ტექსტი გამოაქვეყნა და ფრანგულადაც თარგმნა. მარი ბროსეს მრავალრიცხოვან შრომებს შორის არის „ქართული გრამატიკა“, რომელიც პარიზში დაიბეჭდა 1894 წელს. ეს გრამატიკა ფილოლოგიური გრამატიკის ტრადიციებს მიჰყვება, მაგრამ ბროსემ მაინც შენიშნა ქართული ენის ზოგიერთი დამახასიათებელი ნიშანი, მაგალითად, გრამატიკული სქესის არარსებობა ქართულში. აღსანიშნავია ისიც, რომ ბროსეს არასწორად მიაჩნდა ფრანც ბოპის აზრი ქართული ენის ინდოევროპულ ენათა ოჯახის წევრობის შესახებ. მე-19 საუკუნეში ბროსეს გრამატიკა თითქმის ერთადერთი სახელმძღვანელო იყო ევროპელებისათვის ქართული ენის შესასწავლად.


როგორც უკვე ითქვა, მეცნიერული კვლევის ახალი ეპოქა დაიწყო თბილისის ახლად დაარსებულ უნივერსიტეტში. პირველი დისერტაცია, დაცული დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, დაწერა აკაკი შანიძემ (დაიბეჭდა 1920 წელს). ქართული ლინგვისტური სკოლის წარმომადგენლები დღეს კარგად არიან ცნობილნი მსოფლიო მასშტაბით (ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, გ. წერეთელი, თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, თ. უთურგაიძე). მათმა ფუნდამენტურმა გამოკვლევებმა საფუძველი შექმნა ქართული და ქართველური ენების შემდგომი კვლევისათვის.

## GEORGIAN LANGUAGE INTRODUCTION

Georgian language is the only member of the non-European Kartvelian language family having a 15 century-old tradition of literacy. The oldest documents in Georgian – manuscripts and epigraphic materials – date from the 5<sup>th</sup> century.

The history of the Georgian alphabet should be discussed separately, but here one important fact must be mentioned: Georgian alphabet has been phonematic from the very beginning of its known history. This means that every phoneme, that is, a sound having a function in the system of language, is represented in writing by a single sign – a grapheme, i. e. a letter (There is only one exception in old Georgian: the phoneme u“u“ is represented in script by two graphemes). This allows us to have a clear view of all changes that have taken place in the Georgian language during the fifteen centuries of its written history.

Like other kartvelian languages – Svan, Megrelian and Laz – Georgian is the descendant of the Protokartvelian. Most linguists agree that the relation of kartvelian languages, determined by historical and comparative analysis, can be represented by the following diagram (*Deeters, Gamkrelidze, Machavariani*):



Chronologically, Svan is the first dialect of the Protokartvelian forming a clearly defined language; Megrelian and Laz were formed later.

Georgian, the official language of the Georgian Republic, is spoken approximately by 4 million persons. Svan is spoken in mountainous regions of north Georgia by a small group of people (about 70 thousand) it is an endangered language and should be protected. Population speaking Megrelian is found in western provinces of Georgia. The speakers of Megrelian are about a quarter of million; Laz population is compactly settled in a village bordering Turkey and in some provinces of Turkey.

Present territory of Georgia covers 70.000 square kilometres. Historically Georgia covered a larger territory (Tao, Klarjeti, Shavsheti, Erusheti, Kola, Artaani, and Speri. These provinces, which played an important role in the history of Georgian culture, are today situated in the north-eastern part of Turkey and some of them have been renamed). The magnificent architecture of Georgian churches and cathedrals, with their inscriptions, – some of them in ruins or turned into mosques – are silent witnesses to the cultural work carried on there.

It is worth noting that the terms for *Georgia* and *Georgians* in languages spoken outside Georgia differ from the terms used by Georgians themselves for the country and the nationality. They are ‘*sakartvelo*’ and ‘*kartveli*’, but the same terms are *Georgia* and *Georgian* in English,

*Géorgie* and *Géorgien* in French, 'gruzia', 'gruzin' in Russian, 'vrastan', 'vrats' in Armenian. Such differences in terms designating a country and its inhabitants are quite common and usually are the names given, for various reasons, by others. The designation of Georgia attested in Old Iranian and Armenian written and epigraphic sources, stems from proto-Indoeuropean word. The evidence of historical phonetics pointing to the well-known changes which have taken place in Iranian languages shows that nearly all terms designating Georgia and Georgians are derived from the names used by our historical neighbours.

Serious study of Georgian and other Kartvelian languages began with the foundation of the Tbilisi University in 1918. Of course many travellers in the middle ages left written evidence of their travels, sometimes examples of Georgian words from other languages were quoted by them. The first grammar of Georgian was published by the Italian missionary Francesco Maria Maggio (in Latin) in 1643 and 1670. The Georgian-Italian Dictionary by Paolini and Irbach was published earlier – in 1629 (In Rome). These works are now interesting as historical documents.

Scholars in the old times (nearly all of them were monks) often mention the Georgian language in their works, but this is not linguistic research; linguistic material is used for theological discussion. A curious example of this is an old Georgian anonymous work, written approximately in the 12<sup>th</sup> c-13<sup>th</sup> c. in the form of a treatise and explains the absence of the article in the Georgian language. The author was apparently familiar with the philological grammar of Dionysius Thrax and compares the declension of Greek and Georgian terms for God, declaring that "there is no article in Georgian" (which, by the way, is quite true).

A monumental work which is still important for linguistic research is the work of Sulkhani-Saba Orbeliani – learned scholar, author of the collection of fables ("The Wisdom of Lies"), a relation of the royal family, diplomatist, who travelled in Europe and revised a new version of The Bible. His '*sitqvis kona*' (Lit. "Bunch of words", Dictionary of the Georgian Language) is a glossary on which he worked during several years of his turbulent life (1658–1725). There are two modern editions of his work, based on numerous manuscripts which show how diligently and patiently he worked, adding new items, documenting their sources, explaining their origin (sometimes wrongly, but that was to be expected). These definitions are accurate and to the point.

The "Georgian Grammar" was written by Catholicos Anthony I. It has come down in two versions. The first was written in 1753, the second, revised and enlarged, in 1767. The author was a learned man, who noticed and recorded many interesting features of Georgian. Unfortunately, he is known chiefly as the man who influenced other Georgian authors to write in the stilted, heavy artificial style and the language of such works is neither old or modern Georgian, but a mixture of both. Many of the unnatural linguistic forms coined by Anthony I have never existed in Georgian. The progressive part of Georgian society in the 19<sup>th</sup> century protested against his artificial language. Ilia Chavchavadze and other representatives of the younger generation strove to make the literary language closer to live speech of Georgians. The efforts of Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli and other Georgian writers laid the foundation of the modern literary language, despite the fact that none of them were linguists and some of their arguments were motivated more by patriotic feelings than by special knowledge.

Marie Felisete Brosset (1802-1880) was a french savant who spent the great part of his life in Russia. He was the man who made the Georgian historical annals known in Europe ('*kartlis tskhovreba*', "History of Georgia"), publishing the Georgian texts and translating them into French.

One of his numerous works is *L'art liberal ou Grammaire géorgienne*, edited in Paris in 1834. This grammar follows the traditions of philological grammar, but at the same time Brosset noted and recorded some specific features of Georgian language, e. g. The absence of gender forms in Georgian. In the 19<sup>th</sup> century Brosset's grammar was the main source available to European scholars for the study of Georgian. Brosset also disagreed with Fr. Bopp, who thought that Georgian was an Indoeuropean language.

As noted above, a new era of research began in the newly-founded Tbilisi University. The first dissertation for obtaining an university degree was written by A. Shanidze (published in 1920). Nowadays Georgian linguistic school is well known, and many fundamental works by A. Shanidze, G. Akhvlediani, G. Tsereteli, T. V. Gamkrelidze, G. Matchvariani, T. Uturgaidze have formed the basis for further detailed research.

## ბიბლიოგრაფია / BIBLIOGRAPHY

**A. C. Haris**, *Georgian Syntax: A Study in Relational Grammar* (Cambridge Studies in Linguistics) 1<sup>st</sup> Edition, Cambridge University Press, 2009.

**A. Schanidse**, *Altgeorgisches Elementarbuch*, 1. Teil. Grammatik der altgeorgischen Sprache, Tbilissi: Staatsuniversität Tbilisi, Schriften des Lehrstuhls für altgeorgische Sprache, 24, 1982.

**B. Jorbenadze**, *The Kartvelian Language and Dialects*, Tbilisi, 1991. **H. I. Aronson**, *Georgian: A Reading Grammar*, University of Chicago, Slavica publishers, Michigan, 1982.

**D. A. Holisky**, *Aspect and Georgian Medial Verbs*, New York, 1961.

**H. Fähnrich**, *Grammatik der altgeorgischen Sprache*, Helmut Buske Verl., Hamburg, 1994.

**H. Vogt**, *Grammare de la langue géorgienne*, Oslo, 1971.

**K. Tschenkeli**, *Einführung in die georgische Sprache*, Amirani Verl., Zürich, 1958, B. I – II.

## **თეიმურაზ ჯოჯუა**

*კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს  
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

### **ქართული ეპიგრაფიკა**

**I.** ეპიგრაფიკა ისტორიული და ფილოლოგიური დარგის სამეცნიერო დისციპლინაა, რომელიც მყარ მასალაზე შესრულებულ წარწერებს შეისწავლის.

საქართველოში ეპიგრაფიკული ძეგლებით დაინტერესება ადრევე დაწყებულა. ასე, მაგალითად, IX-X საუკუნეების ქართველ ჰაგიოგრაფოსს ბასილი ზარზმელს მის მიერ შედგენილ სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებაში“ დასახელებული აქვს ზარზმის ფერიცვალების ეკლესიის კედელზე ამოკვეთილი წარწერა, რომელიც გვაუწყებდა, რომ ტაძრის კედლები, საძირკვლიდან ვიდრე წარწერის დონემდე, სოფელ ძარღვადან გამოსული მონაზონის საფასით იყო აგებული.

ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების სამეცნიერო შესწავლის საქმეს XIX საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი. აქედან მოყოლებული საქართველოსა თუ უცხოეთში ინტენსიურად მიმდინარეობს ძველი ქართული წარწერების შესწავლისა და გამოცემის პროცესი. დღეისათვის გამოვლენილია V-XVIII საუკუნეების ათი ათასამდე ქართული ეპიგრაფიკული ძეგლი, რომლებიც ასომთავრული, ნუსხახატური და მხედრული დამწერლობით არის შესრულებული.

**II.** ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები, სანერი მასალისა და შესრულების ტექნიკის მიხედვით, ცხრა ძირითად ჯგუფად იყოფა. ესენია:

1. ლაპიდარული ანუ ქვაზე რელიეფურად გამოქანდაკებული ან ჩაკვეთით შესრულებული წარწერები.
2. მოზაიკური წარწერები.
3. ფრესკული ანუ საღებავით შესრულებული წარწერები.
4. გრაფიტოები ანუ ნაკანრი წარწერები.
5. ჭედური ანუ ლითონზე შესრულებული წარწერები.
6. ხეზე ამოკვეთილი წარწერები.
7. ძვალზე ამოკვეთილი წარწერები.
8. კერამიკაზე შესრულებული წარწერები.
9. ნაქარგი ანუ ქსოვილზე შესრულებული წარწერები.

**III.** ძველ ქართულ წარწერებში, შინაარსის მიხედვით, თერთმეტი ძირითადი ჯგუფი გამოიყოფა. ესენია:

1. სააღმშენებლო წარწერები.



2. ეპიგრაფიკული აქტები ანუ იურიდიული ხასიათის წარწერები.
3. ეპიტაფიები ანუ საფლავის ზედწერილები.
4. მემორიალური ანუ მოსახსენიებელი და სავედრებელი წარწერები.
5. პილიგრიმული ანუ მომლოცველობითი ხასიათის წარწერები.
6. განმარტებითი ანუ საინფორმაციო ხასიათის წარწერები.
7. ბუნებრივი მოვლენების მაუწყებელი წარწერები.
8. საყოფაცხოვრებო ხასიათის წარწერები.
9. ანბანები.
10. საღმრთო წერილის ციტატები.
11. ლექსები.

**IV.** ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ადრეული ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები V საუკუნით თარიღდება. ესენია:

1. პალესტინაში, სოფელ ბირ-ელ-კატთან მიკვლეული ნამონასტრალის ორი მოზაიკური წარწერა (430-იანი წწ.).
2. ურბნისის სიონის ეკლესიის ლაპიდარული წარწერა (V ს-ის I ნახ.).
3. ბოლნისის სიონის ეკლესიის სამი ლაპიდარული წარწერა (493-503 წწ.).

**V.** დღეისათვის ცნობილი ძველი ქართული წარწერების გავრცელების გეოგრაფია საკმაოდ დიდ არეალს მოიცავს. ეს სივრცე შესაძლებელია, მოისაზღვროს შემდეგი სახით:

1. დასავლეთი მიჯნა – პეტრიწონის (ბაჩკოვოს) მონასტერი.
2. სამხრეთი მიჯნა – სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერი.
3. აღმოსავლეთი მიჯნა – ისპაჰანის წმ. ნერსესის სომხური ეკლესია.
4. ჩრდილოეთი მიჯნა – სანკტ-პეტერბურგის წმ. ალექსანდრე ნეველის ლავრა.

**VI.** ლექციის ფარგლებში, თითოეული ზემოთ დასახელებული საკითხის განხილვისას, მოტანილი და გაანალიზებულია ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების შესაბამისი ნიმუშები.

## GEORGIAN EPIGRAPHY

I. Epigraphy is a scientific discipline in the field of history and philology, which studies the inscriptions made on solid material.

Interest in epigraphic monuments in Georgia started already in the middle ages. For example, the Georgian hagiographer of the 9<sup>th</sup>-10<sup>th</sup> centuries, Basil Zarzveli, named the inscription carved on the wall of the Church of the Transfiguration of Zarzma in his «Life» of Serapion Zarzveli. This inscription tells us that construction of the walls of the Church from the foundation to the level of the inscription was commissioned by the monk from the village Dzarghva.

The scientific study of Georgian epigraphic monuments was founded in the 19<sup>th</sup> century. Since then the process of studying and publishing old Georgian inscriptions is intensively carried out both in Georgia and abroad. Today, about ten thousand Georgian epigraphic monuments of the 5<sup>th</sup>-18<sup>th</sup> cc have been identified, which are made in Asomtavruli, Nuskhva-Khutsuri and Mkhedruli script.

II. Georgian epigraphic monuments are divided into nine main groups according to the writing material and execution technique. These are:

1. Lapidary or inscriptions carved in relief or cut on stone.
2. Mosaic inscriptions.
3. Inscriptions in mural painting or made of paint.
4. Graffiti or scratch inscriptions.
5. Embossed or metal inscriptions.
6. Inscriptions carved on wood.
7. Inscriptions carved on the bone.
8. Inscriptions made on pottery.
9. Inscription embroidered or done on fabric.

III. In the old Georgian inscriptions, according to the content, eleven main groups are distinguished. These are:

1. Building inscriptions.
2. Epigraphic acts or inscriptions of legal nature.
3. Epitaphs or tomb inscriptions.
4. Memorial or commemorative and prayer inscriptions.
5. Pilgrim inscriptions.
6. Explanatory or informative inscriptions.
7. Inscriptions about natural phenomena.
8. Household inscriptions.

9. Alphabets.
10. Quotes from Scripture.
11. Poems.

IV. The earliest Georgian epigraphic monuments that have survived date back to the 5<sup>th</sup> c. These are:

1. Two mosaic inscriptions of a monument found near the village of Bir el Kutt in Palestine (430).
2. Lapidary inscription of Urbnisi Sion Church (5<sup>th</sup> c.).
3. Three lapidary inscriptions of Sion Church in Bolnisi (493-503).

V. The geography of distribution of the old Georgian inscriptions known today covers a rather large area. This space can be defined as follows:

1. Western Boundary – Petritsoni (Bachkovo) Monastery, Bulgaria.
2. Southern Boundary – Mount Sinai, St. Catherine Monastery, Egypt.
3. Eastern border – St. Nerses Armenian Church, Isfahan, Iran.
4. Northern Boundary – Alexander Nevsky Lavra, St. Petersburg, Russia.

VI. Within the framework of the lecture, during the discussion of each of the above-mentioned issues, the relevant samples of Georgian epigraphic monuments were brought and analyzed.

## ბიბლიოგრაფია / BIBLIOGRAPHY

გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლები, ტომი I. ნაკვეთი პირველი. წმ. დავითის ლავრა, უდაბნოს მონასტერი (XI-XVIII საუკუნეები). გამოსაცემად მოამზადეს დ. კლდიაშვილმა და ზ. სხირტლადემ. თბილისი. 1999 წ. [Epigraphic monuments of Gareja. Volume I. Plot One. St. David Lavra, Desert Monastery (10<sup>th</sup>-18<sup>th</sup> centuries). Prepared for publication by D. Kldiashvili and Z. Skhirtladze. Tbilisi. 1999]

გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინაში. თბილისი. 1960 წ. [G. Tsereteli. Ancient Georgian Inscriptions in Palestine. Tbilisi. 1960]

ვ. სილოგავა, ბეთანიის წარწერები. თბილისი. 1994 წ. [V. Silogava. Inscriptions of Bethania. Tbilisi. 1994]

ვ. სილოგავა, ბოლნისის სიონის უძველესი ქართული წარწერები. თბილისი. 1994 წ. [V. Silogava. Ancient Georgian inscriptions of Bolnisi Sioni. Tbilisi. 1994]

ვ. სილოგავა, კუმურდო. ტაძრის ეპიგრაფიკა. თბილისი. 1994 წ. [V. Silogava. Kumurdo. Temple epigraphy. Tbilisi. 1994]

ვ. სილოგავა, სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა. თბილისი. 2004 წ. [V. Silogava. Georgian epigraphy of Samegrelo-Abkhazia. Tbilisi. 2004]

ვ. სილოგავა, ლ. ახალაძე, ჯავახეთის ქართული ლაპიდარული წარწერები (აღწერილობა, ტექსტები). წგნ.: ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი. თბილისი. 2012 წ. [V. Siloga-

va, L. Akhaladze, Georgian lapidary inscriptions of Javakheti (description, texts). Editor: Javakheti Epigraphic Corpus. Tbilisi. 2012]

თ. ჯოჯუა, გ. გაგოშიძე, ქობაირის, ჰნევანქისა და ახტალის მონასტრების ქართული ლაპიდარული წარწერები. კრებ.: ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები. XII-XIII. თბილისი. 2012/2013 წწ. [T. Jojua, G. Gagoshidze, Georgian lapidary inscriptions of Kobair, Hnevank and Akhtala monasteries. Proceedings of the Institute of History and Ethnology. XII-XIII. Tbilisi. 2012/2013]

ქართული წარწერების კორპუსი, I. ლაპიდარული წარწერები. I. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X საუკუნეები). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა. თბილისი. 1980 წ. [Corpus of Georgian inscriptions. I. Lapidary inscriptions. I. Eastern and Southern Georgia (5<sup>th</sup>-10<sup>th</sup> centuries). Compiled and prepared for publication by N. Shoshiashvili. Tbilisi. 1980]

ქართული წარწერების კორპუსი, II. ლაპიდარული წარწერები. II. დასავლეთ საქართველოს წარწერები. ნაკვეთი I (IX-XIII საუკუნეები). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ. თბილისი. 1980 წ. [Corpus of Georgian inscriptions. Lapidary inscriptions. II. Inscriptions of Western Georgia. Vol. I (9<sup>th</sup>-13<sup>th</sup> centuries). Compiled and prepared for publication by V. Silogava. Tbilisi. 1980]

## **თეიმურაზ ჯოჯუა**

*კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს*

*ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

### **წელთაღრიცხვის სისტემაში ძველ საქართველოში**

ძველ საქართველოში წელთაღრიცხვის რამდენიმე სისტემა გამოიყენებოდა. ამ-ათგან ყველაზე უფრო გავრცელებული იყო ოთხი სისტემა.

#### **I. მეფეთა აღსაყდრებიდან წელთაღრიცხვის სისტემა.**

წელთაღრიცხვის ამ სისტემით დროის მითითებისას სახელდება კონკრეტული მეფის ვინაობა და მისი მმართველობის კონკრეტული რიგითი წელი.

ასე, მაგალითად, ბოლნისის სიონის ლაპიდარული სააღმშენებლო წარწერა (493-503 წწ.) მოგვითხრობს, რომ ტაძრის მშენებლობა დაიწყო ირანის შაჰის პეროზის (459-484 წწ.) მმართველობის მე-20 წელიწადს, ე. ი. ჩვენი წელთაღრიცხვის 493 (459+20) წელს.

საქართველოში მეფეთა აღსაყდრებიდან წელთაღრიცხვის სისტემის დახმარებით დროის ათვლის შემთხვევები ჯერ კიდევ V საუკუნეში დასტურდება. ამ სისტემის დახმარებით დრო მითითებულია ისეთ ქართულ წერილობით ძეგლებში, როგორცაა: იაკობ ხუცესის „წმ. შუშანიკის წამება“ (476-483 წწ.), ანონიმი მწიგნობრის „წმ. ევსტათი მცხეთელის წამება“ (570-იანი წწ.), სამშვილდის სიონის სააღმშენებლო წარწერა (777 წ.) და სხვ.

#### **II. დასაბამიდან წელთაღრიცხვის სისტემა.**

შუა საუკუნეების საქართველოში დამკვიდრებული იყო ტრადიცია, რომ ღმერთმა სამყარო ქრისტეშობამდე 5604 წლის წინ შექმნა. სწორედ აღნიშნულ ტრადიციას ემყარება ჩვენში მიღებული, ე. წ. ქართული დასაბამიდან წელთაღრიცხვის სისტემა.

ამ სისტემით დროის მითითების სახელდება წელი (X), რომელიც, ერთი მხრივ, დასაბამიდან ქრისტეშობამდე წლების (5604), ხოლო, მეორე მხრივ, ქრისტეშობიდან დასათარიღებელ მოვლენამდე წლების (Y) ჯამს შეადგენს ( $5604+Y=X$ ).

ასე, მაგალითად, საბა განწმედილის ლავრაში გადაწერილი სინური მრავალთავის ანდერძი მოგვითხრობს, რომ ხელნაწერი გადაიწერა დასაბამიდან 6468 წელს, ე. ი. ჩვენი წელთაღრიცხვის 864 წელს ( $6468-5604=864$  წ.).

ქართული დასაბამიდან წელთაღრიცხვის სისტემის დახმარებით დრო მითითებულია ისეთ ქართულ წერილობით ძეგლებში, როგორცაა: ერედვის ეკლესიის ლაპიდარული სააღმშენებლო წარწერა (914 წ.), იოვანე საფარელისა და მწიგნობართა

ჯგუფის მიერ წმ. ხარიტონის ლავრაში გადაწერილი იოვანე ოქროპირის „ცხოვრების“ ანდერძი (968 წ.), იოვანე ბერას მიერ შატბერდის მონასტერში გადაწერილი პარხლის ოთხთავის ანდერძი (973 წ.) და სხვ.

### **III. ქორონიკონული წელთაღრიცხვის სისტემა.**

ქორონიკონული წელთაღრიცხვის სისტემა, პირველ ყოვლისა, დროის 532 წლიან ციკლებად ანუ მოქცევებად დაყოფას გულისხმობს. თავად მოქცევის ხანგრძლივობა (532 წ.) მზის სრული ციკლის ხანგრძლივობის (28 წ.) მთვარის სრული ციკლის ხანგრძლივობაზე (19 წ.) გამრავლების გზით არის მიღებული (28 წ. X 19 წ. = 532 წ.).

შუა საუკუნეების საქართველოში მიღებული ქორონიკონული წელთაღრიცხვის საფუძველს ქართული დასაბამიდან წელთაღრიცხვის სისტემა წარმოადგენს. ამ უკანასკნელის გათვალისწინებით, ძველად ჩვენში 532-წლიანი მოქცევების ათვლა ქრისტეშობამდე 5604 წლიდან იწყებოდა. შედეგად, XII მოქცევის დასასრულად მიჩნეული იყო ქრისტეშობიდან 780 წელი, XIII მოქცევის დასასრულად – ქრისტეშობიდან 1312 წელი, ხოლო XIV მოქცევის დასასრულად – 1844 წელი.

ქართული ქორონიკონული სისტემით დროის მითითებისას სახელდება მოქცევის რიგითი ნომერი (ძალზედ იშვიათად) და შესაბამისი მოქცევის დასაწყისიდან დასათარიღებელ მოვლენამდე გასული წლების რაოდენობა, ე. წ. ქორონიკონი.

ასე, მაგალითად, მიქაელის მიერ შატბერდის მონასტერში გადაწერილი ადიშის ოთხთავის ანდერძი გვაუწყებს, რომ ხელნაწერი გადაინუსხა [XIII მოქცევის]117-ე ქორონიკონს, ე. ი. ჩვენი წელთაღრიცხვის 897 წელს (780+117=897 წ.).

ქართული დასაბამიდან წელთაღრიცხვის სისტემის დახმარებით დრო მითითებულია ისეთ ქართულ წერილობით ძეგლებში, როგორცაა: გრიგოლის მიერ ოპიზის მონასტერში გადაწერილი ოპიზის ოთხთავის ანდერძი (913 წ.), ოქრობაგეთის ეკლესიის ლაპიდარული სააღმშენებლო წარწერა (934 წ.), კუმურდოს ეკლესიის ლაპიდარული სააღმშენებლო წარწერა (964 წ.) და სხვ.

### **IV. ჰიჯრის წელთაღრიცხვის სისტემა.**

ჰიჯრის წელთაღრიცხვის სისტემა შემოღებულ იქნა 637 წელს ხალიფა უმარ I-ის ბრძანებით. ამ წელთაღრიცხვის ათვლა იწყება წინასწარმეტყველ მუჰამედის მექადან მედინაში წასვლის წლის მუჰარემის თვის პირველი რიცხვიდან, ე. ი. ჩვენი წელთაღრიცხვის 622 წლის 16 ივლისიდან.

ჰიჯრის წელთაღრიცხვის სისტემა საქართველოში საკმაოდ ადრეულ პერიოდში გავრცელდა. ამ სისტემის ქართულ წერილობით ძეგლებში გამოყენების შემთხვევები უკვე VIII საუკუნეში დასტურდება. ასე, მაგალითად, ატენის სიონის ეკლესიის კედელზე საღებავით შესრულებული ეპიტაფია გვაუწყებს, რომ მამფალი სტეფანოზი გარდაიცვალა ჰიჯრის 121-ე წელს, ე. ი. ჩვენი წელთაღრიცხვის 739 წელს.

ჰიჯრის წელთაღრიცხვის სისტემის დახმარებით დრო მითითებულია ისეთ ქართულ წერილობით ძეგლებში, როგორცაა: ატენის სიონის ეკლესიის დედოფალ გუარამავრის ეპიტაფია (837 წ.), იმავე ატენის სიონის ეკლესიის ქრონიკა ბულა თურ-

ქის შემოსევის შესახებ (853 წ.), უბისის მონასტრის სვეტის სააღმშენებლო წარწერა (1141 წ.) და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ქართულ წერილობით ძეგლებში ჰიჯრის წელთაღრიცხვის სისტემა მოხსენიებულია ტერმინებით: „სარკინოზთა ზედა წელი“ და „ზედა წელი“.

*Teimuraz Jojua*

*Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts*

## CHRONOLOGICAL SYSTEMS IN ANCIENT GEORGIA

Several chronological systems were used in ancient Georgia. Of these, the four were the most common.

### **I. A calendar system by a reference to year of the coronation of kings.**

In this system of chronology, the reference was the name of a particular king and the specific ordinal year of his reign.

Thus, for example, the lapidary construction inscription of Bolnisi Sioni (493-503) tells us that the construction of the temple began in the 20<sup>th</sup> year of the reign of Shah Peroz of Iran (459-484), i.e. in the year 493 ( $459 + 20$ ) of our calendar.

The counting of time from the coronation of kings in Georgia is confirmed already in the 5<sup>th</sup> c. With the help of this system, time is indicated in the earliest Georgian written monuments such as Jacob Khutsesi's "Martyrdom of St. Shushanik" (476-483), "Martyrdom of Eustathios of Mtskheta" of anonymous author (570), in the construction inscription of Samshvildi Sion (777), etc.

### **II. A calendar system by a reference to the Creation of Universe ("From the beginning")**

In medieval Georgia it was believed that God created the universe in 5604 BC. This tradition is a basis for the so-called Georgian system of dating "from the beginning".

According to this system the years (X) are counted first "from the beginning" until the birth of Christ (5604) and then the sum of the years from the birth of Christ until the event to be dated (Y):  $5604 + Y = X$ .

Thus, for example, the colophon of the manuscript of Sinai-Polykephalion copied in the Laura of St. Saba tells us that the manuscript was transcribed "from the beginning" in 6468, i. e. in the year 864 of our calendar ( $6468 - 5604 = 864$ ).

Numbering of the years with the help of the chronological system "from the beginning" can be seen in the following Georgian sources: the construction inscription of the Eredvi Church (914), the colophon of the "Life of St. John Chrysostom" copied in Laura of St.

Khariton by Ioane of Saphara and the group of scribes (968); the colophon of Parkhali Polykephalion copied in the Monastery of Shatberdy by Iovane Bera (973), etc.

### **III. A calendar system of Koronikon**

The Koronikon chronological system involves, first of all, the division of time into 532-year cycles. The duration of the cycle itself (532 AD) is obtained by multiplying the duration of the full cycle of the sun (28 AD) by the duration of the full cycle of the moon (19 AD) ( $28 \text{ AD} \times 19 \text{ AD} = 532 \text{ AD}$ ).

The basis of the Koronikon chronology adopted in medieval Georgia is abovementioned calendar system “from the beginning”. Considering the latter, in ancient times the counting of 532-year-old cycle in Georgia starts from the 5604 BC. As a result, the end of the 12<sup>th</sup> cycle was considered to be 780 years after Christ, the end of the 13<sup>th</sup> cycle was considered to be 1312 AD, and the end of the 14<sup>th</sup> cycle was 1844.

In Georgian calendar system of Koronikon first is named the number of the cycle (very rarely) and the number of years elapsed from the beginning of the relevant cycle to the event to be dated, the so-called Koronikon.

Thus, for example, the colophon of the Adishi Four Gospels, copied by Michael in the monastery of Shatberdi, tells us that the manuscript was copied in the 117<sup>th</sup> Koronikon [of the 13<sup>th</sup> cycle], i. e. 897 AD ( $780 + 117 = 897 \text{ AD}$ ).

Time indication according to the Koronikon chronological system is presented in the following sources: the colophon of Opiza Four Gospels, copied by Grigol at Opiza Monastery (913), the lapidary building inscription of the Okrobageti church (934), the lapidary building inscription of the Kumurdo church (96), etc.

### **IV. The Hijri calendar**

The Hijri calendar was introduced in 637 by order of Caliph Umar I. According to this chronology system the first year of Hijri calendar starts on the first day of the month of Muharram, the year of the departure of the Prophet Muhammad from Mecca to Medina, that is July 16, 622 AD.

The Hijri chronological system spread in Georgia in a rather early period. Cases of using this system in Georgian written monuments have been confirmed already in the 7<sup>th</sup> c. Thus, for example, an epitaph painted on the wall of the Church of Ateni Sion tells us that Stephanos Mampal died in the year 121 of Hijri, it means in the year 739 AD.

The numbering of years according to the Hijri calendar system is presented in the following sources: epitaphy of Queen Guaramavra in the church of Ateni Sion (837), in the same Ateni Sion Church the chronicle about invasion of Bugha Turk (853), the building inscription of the pillar in Ubisa Monastery (1141), etc.

It is noteworthy that in the Georgian written monuments the Hijri chronological system is referred to by the terms: “Muslim’s Upper Year” and “Upper Year”.



## ბიბლიოგრაფია / BIBLIOGRAPHY

**ვ. სილოგავა**, ქართული ქრონოლოგიური ტერმინოლოგიიდან („ზედა წელი“). ჟურნ.: მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია. 4. თბილისი. 1974 წ. [**V. Silogava**, From the Georgian Chronology Terminology (“Upper Year”). Matsne, Language and Literature Series, 4, Tbilisi, 1974]

**თარიღიანი ქართული ხელნაწერები**, IX-XVI საუკუნეები. ალბომი. შეადგინეს: ზ. ალექსიძემ, ქ. ასათიანმა, ბ. კუდავამ, ელ. მაჭავარიანმა, თ. ოთხმეზურმა, მ. სურგულაძემ, დ. ჩიტუნაშვილმა და თ. ჯოჯუამ, ზ. ალექსიძისა და ბ. კუდავას ხელმძღვანელობით. თბილისი. 2015 წ. [**Dated Georgian Manuscripts**, 11<sup>th</sup>-16<sup>th</sup> cc. Album. Compiled by: Z. Aleksidze, K. Asatiani, B. Kudava, E. Machavariani, T. Otkhmezuri, M. Surguladze, D. Chitunashvili and T. Jojua, led by Z. Aleksidze and B. Kudava. Tbilisi. 2015]

**კ. კეკელიძე**, ძველი ქართული წელიწადი. წგნ.: კ. კეკელიძე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. I. თბილისი. 1956 წ. [**K. Kekelidze**, Old Georgian Year. Etudes from the History of the Old Georgian Literature, vol. I, Tbilisi, 1956]

**ქართული წარწერების კორპუსი**, I. ლაპიდარული წარწერები. I. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X საუკუნეები). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა. თბილისი. 1980 წ. [**Corpus of Georgian inscriptions**, Lapidary inscriptions. I. Eastern and Southern Georgia (5<sup>th</sup>-10<sup>th</sup> cc.). Compiled and prepared for publication by N. Shoshiashvili. Tbilisi. 1980]

**ქართული წარწერების კორპუსი**, ლაპიდარული წარწერები. II. დასავლეთ საქართველოს წარწერები. ნაკვეთი I (IX-XIII საუკუნეები). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ. თბილისი. 1980 წ. [**Corpus of Georgian inscriptions**, Lapidary inscriptions. II. Inscriptions of Western Georgia. Plot I (IX-XIII centuries). Compiled and prepared for publication by V. Silogava. Tbilisi. 1980]

**ქართული წარწერების კორპუსი**, ფრესკული წარწერები. I. ატენის სიონი. გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს გ. აბრამიშვილმა და ზ. ალექსიძემ. თბილისი. 1989 წ. [**Corpus of Georgian inscriptions**, Mural Painting inscriptions. I. Ateni Sion. Prepared, attached the research and indexes G. Abramishvili and Z. Aleksidze. Tbilisi. 1989]

## ლელა შათირიშვილი

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს  
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

### კალიგრაფიის ვორქშოპი

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საერთაშორისო საზაფხულო სკოლა „ქართული ხელნაწერი“ მოიცავს როგორც ცენტრის სამეცნიერო-კვლევით მიმართულებებს, ასევე ითვისსწინებს ხელნაწერთან დაკავშირებულ პრაქტიკულ საქმიანობასაც (კალიგრაფიის ვორქშოპი, ფურცლის დამზადების ტექნოლოგია, რესტავრაცია). სკოლის მონაწილე მსმენელებისგან ქართული ხელნაწერის ნაკითხვის განსაკუთრებული ინტერესის გამოჩენამ ახლებურად დაგვანახვა კალიგრაფიის ვორქშოპის მიზნები და ამოცანები. ამის გამო 2021 წ-ს სრულიად განსხვავებულად წარიმართა კალიგრაფიის ვორქშოპით გათვალისწინებული ხუთი მეცადინეობა. უპირველესად, საჭიროდ იქნა მიჩნეული:

- წერის სწავლება;
- კითხვა;
- კალიგრაფია, რომელიც ლამაზად წერასთან ერთად გულისხმობს ერთგვარ სუფთა წერას – პრაქტიკულ საკითხებს თეორიულ მასალასთან მჭიდრო კავშირით. არსებობდა ქართველ გადამწერთა სკოლები, რომლებშიც კალიგრაფია საგანგებოდ ისწავლებოდა.

უპირველესად, ქართული ანბანის სამი სახის – მრგლოვანის, ანუ ასომთავრულის, ნუსხურისა და მხედრულის – მოკლედ მიმოხილვის შემდეგ ენათმეცნიერებასთან საჭირო კავშირით იქნა განხილული შემდეგი საკითხები:

- ქართული ენის ბგერათსისტემა (შანიძე 1976: 15-19);
- ასო-ბგერები წარმოთქმის ადგილისა და რაგვარობის მიხედვით;
- ქართულში, როგორც ფონეტიკური დანერვილობის ენაში, ყოველი ასო-ნიშნის ბგერათშესატყვისობა;
- ქართული ბგერების შედარება ინგლისურ ბგერებთან;
- ქართული ანბანის რიცხვობრივი მნიშვნელობები;
- ქართული ანბანის მიმართულება მარცხნიდან მარჯვნივ.

ასოები იმ თანმიმდევრობით ისწავლება, როგორც ეს ძველ ქართულ ანბანშია. მსმენელები თვალსაჩინოების მეშვეობით გაეცნენ ქართულ ანბანს თითოეული გრაფემის გრაფიკულად მოხაზვითა და წარმოთქმით. მეცადინეობის პროცესში მოისმინეს საუბარი XIX საუკუნეში ილია ჭავჭავაძის რეფორმაზე, რომლის მიხედვითაც

5 გრაფემა ამოღებულია ქართული ანბანიდან და თანამედროვე ქართულ ანბანში მხოლოდ 33 ასო-ნიშანია, ნაცვლად უწინდებური 38-ისა.

ანბანის შესწავლისას გამახვილდა ყურადღება სამივე სახის ანბანის ხაზობრივ წერაზე, ანუ წერაზე ბადეში. მრგლოვანი ანუ ასომთავრული და ნუსხური იწერება ორხაზოვან ბადეში, ხოლო მხედრული – ოთხხაზიან სანერ ბადეში. ნუსხურსა და მხედრულში გვაქვს როგორც შუა ხაზზე სანერი, ისე ხაზზემოთ და ხაზქვემოთ და-სანერი ასოები.

ამის შემდეგ მსმენელებმა, საილუსტრაციო მასალის მიხედვით, მრგლოვანით დაწერეს თავიანთი გვარი, სახელი, დაბადების თარიღები.

სწავლების პროცესში მსმენელები გაეცნენ მრგლოვანით შესრულებული ქართული ხელნაწერების X საუკუნის ნიმუშებს. ხელნაწერის რაობის, გადაწერის ადგილის, თარიღის, სანერი მასალისა თუ მოკლე თავგადასავლის გაცნობის შემდეგ (ქართული ხელნაწერი 2012: 1-185) ცდილობდნენ ტექსტის ამოკითხვას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროცესში თითქმის თანაბარ სირთულეებს აწყდებოდნენ ქართველი და არაქართველი მსმენელები. იმავე მეცადინეობაზე ყურადღება გამახვილდა ხელნაწერის ტექსტის ორგანიზებაზე, ფურცელზე ნაწერის განაწილებაზე, საზედაო ასოებზე, წითელ, ყავისფერსა თუ შავ მელანზე, ფურცლის დაკაბადონებაზე, არშიებსა და მინანერებზე.

ნუსხური ანბანის გაცნობისას საყურადღებო იყო კუთხოვანი მოხაზულობა, აღინიშნა, რომ მრგლოვანსა და ნუსხურს ერქვა ხუცურიც, რადგან ამ ორი ანბანით იწერებოდა სასულიერო წიგნის თხზულებები და ადრეული საერო წიგნის (სამედიცინო თუ ასტროლოგიური ხასიათის) ტექსტებიც. ვამახვილებთ ყურადღებას უგრაფემის დაწერილობაზე.

ნუსხურით დაწერილი ტექსტების X-XVIII საუკუნეების ნიმუშების გაცნობასთან ერთად (სურ. 6) ყურადღება მახვილდებოდა ტექსტების ორგანიზებაზე, მრგლოვანის საზედაო ასოებისა და სათაურებისათვის გამოყენების თაობაზე ხელნაწერებში; მხატვრულ გაფორმებაზე, განკვეთლობის ნიშნებზე, ქანწილსა და წილქანზე.

მხედრულის შესახებ მსმენელებმა მიიღეს ინფორმაცია, რომ ის იყო საკანცელარიო საქმისა და შემდგომ საერო თხზულებების შრიფტი. მსმენელები გაეცნენ ნიმუშებს XV-XVIII სს. სხვადასხვა ხელნაწერის ნიმუშების მიხედვით (სურ. 7).

მსმენელები სამივე სახის შრიფტით კითხულობენ შერჩეულ ტექსტებს (აბულაძე 1973: X-XV; 1-329; იმნაიშვილი 1982:13-15; 20; 37; 99).

ამრიგად, ხუთი პრაქტიკული მეცადინეობის შედეგად, მსმენელები გაეცნენ ქართულ ანბანს, მის ბგერათსისტემას, ხელნაწერი ტექსტის სპეციფიკას, უმნიშვნელოვანეს კოდიკოლოგიურ თავისებურებებს, რაც საშუალებას მისცემს მათ, საჭიროების შემთხვევაში, ხელნაწერი წიგნის, ისტორიული საბუთის ან საარქივო მასალის გაცნობისას გამოიყენონ მიღებული ინფორმაცია.

## CALLIGRAPHY WORKSHOP

International Summer School “Georgian Manuscript” (Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts) includes both, scientific research directions of the Centre, as well as practical activities related to manuscripts (calligraphy workshop, sheet-making technology, restoration). The special interest in reading Georgian manuscripts from the School participants showed us from the different angle the goal and objectives of the calligraphy workshop. Accordingly, in 2021, the five courses of the calligraphy workshop were conducted completely differently. First of all, it was considered necessary to teach:

- Reading;
- Writing;
- Calligraphy, which together with refined writing skills implies writing without mistakes – practical issues in close connection with theoretical material. There were the special schools where the Georgian scribes were specially trained.

First of all, after a brief review of the three types of the Georgian alphabet – Mrglovani, i. e. Asomtavruli, Nuskhuri and Mkhedruli – the following issues were discussed in connection with linguistics:

- The sound system of the Georgian language (Shanidze, 1976: 15-19);
- Letters-sounds according to the place and variety of pronunciation;
- In Georgian, as a language of phonetic writing, the sound correspondence of each letter;
- Comparison of Georgian sounds with English sounds;
- Numerical values of the Georgian alphabet
- Direction of the Georgian alphabet from left to right.

The letters are taught in the same order as in the old Georgian alphabet. The listeners got acquainted with the Georgian alphabet through visuals by graphically drawing and pronouncing each grapheme. In the course of the workshop there was presented a lecture regarding the reform of Ilia Chavchavadze in the 19<sup>th</sup> c., when 5 graphemes were removed from the Georgian alphabet and in the modern Georgian alphabet there are only 33 letters instead of the previous 38.

The study of the alphabet focused on the linear writing of all three types of alphabets, or writing in a grid. Round or Asomtavruli is written in a two-line grid, while Nuskhuri and Mkhedruli are written in a four-line grid. In Nuskhuri and Mkhedruli we have letters written in the middle line, as well as letters written online and underlined.

After that, the listeners wrote their last name, first name, date of birth in a circle according to the illustrative material.

During the teaching process, the students got acquainted with the samples of Georgian manuscripts written in Asomtavruli script of the 10<sup>th</sup> c (Fig. 6). After getting acquainted with

the manuscript, the place of copying, the date, the writing material or a short story about the manuscript (Georgian Manuscript 2012: 1-185) they tried to read the text. It should be noted that in this process Georgian and non-Georgian listeners faced almost equal difficulties. In the same course, the focus was on organizing the text of the manuscript, distributing the writing on a piece of paper, uppercase letters, red, brown or black ink, sheet printing, pages, and inscriptions.

When studying the Nuskhuri alphabet, the angular outline was noteworthy. It was outlined, that both Asomtavruli and Nuskhuri were called “ecclesiastical” scripts, as they were used for writing/copying manuscripts of ecclesiastical content, also for early secular manuscript (f. e. of medical or astrological content). We focus on writing u grapheme.

While looking through the samples of the manuscripts of the 10<sup>th</sup>-18<sup>th</sup> cc. we focused on the main technical features of the handwritten books: text organization, artistic decoration, cutting signs, etc.

Mkhedruli script was used mostly for the secular documents and later for the secular writings. The listeners had an opportunity to see the samples from the secular manuscripts of the 15<sup>th</sup>-18<sup>th</sup> cc. (Fig. 7).

The students read selected Georgian texts written in all three scripts (Abuladze 1973: X-XV; 1-329; Imnaishvili 1982:13-15; 20; 37; 99).

Thus, as a result of five practical lessons, the students got acquainted with the Georgian alphabet, its phonetic system, the specifics of the manuscript text, the most important codicological features, which will allow them to use the information obtained when reading a manuscript book, historical document or archival material.

## ბიბლიოგრაფია / BIBLIOGRAPHY


აკ. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი, 1976. [Ak. Shanidze, Shanidze Akaki, Grammar of the Old Georgian Language, Tbilisi, 1976].

ივ. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ.1, ლექსიკონით, ემის მიმოხილვითურთ და ტაბულებით, ნაწილი I, ტექსტები და ლექსიკონი, თბილისი, 1982. [Iv. Imnaishvili, Historical Chrestomathy of the Georgian Language, Vol. 1, with Dictionary, Emmy Review and Tabulations, Part I, Texts and Dictionary, Tbilisi, 1982].

ილ. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები, პალეოგრაფიული ალბომი, მეორე შევსებული გამოცემა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1973. [Il. Abuladze, Samples of Georgian Writing, Paleographic Album, Second Completed Edition, Science Publishing House, Tbilisi, 1973].


ქართული ხელნაწერი წიგნი, V–XIX სს., ალბომი, შეადგინეს მაია კარანაძემ, ლელ შატირიშვილმა, ნესტან ჩხიკვაძემ, თამარ აბულაძის მონაწილეობით, თბილისი, 2012.

Georgian Manuscript Book, 5<sup>th</sup>–19<sup>th</sup> cc., Prepared by Maia Karanadze, Lela Shatirishvili, Nestan Chkhikvadze, with participation of Tamar Abuladze. Tbilisi, 2014.



სურ. 6. პარხლის ოთხთავი, A-1453. დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

Fig. 6. Parkhali Four Gospels, A-1453. Kept at Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts.



სურ. 7. იოანე სინელი, სათნოებათა კიბე, H-1669. დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში

Fig. 7. John Climacus, The Ladder of Divine Ascent, H-1669. Kept at Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts

### III მოდული: ქართული ხელნაწერი

#### თამარ ოთხმეზური

*კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს  
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

#### **შუა საუკუნეების ქართული ხელნაწერი წიგნის ისტორიის ზოგიერთი ასპექტისათვის: ლიტურგიკული კრებულებიდან სამეცნიერო-საგანმანათლებლო ხელნაწერებამდე (XI-XII სს.)**

X-XI საუკუნეების მიჯნა სამეცნიერო ტრადიციაში ძველი ქართული მწერლობის განვითარების ახალ, განსაკუთრებულ ეტაპად – „ოქროს ხანად“ – არის მიჩნეული. ეს არის ქართველ ინტელექტუალთა მიზანმიმართული ორიენტაცია ბიზანტიაში მიმდინარე სააზროვნო პროცესებზე, რაც განპირობებული იყო, ერთი მხრივ, საქართველოს პოლიტიკური კურსით კონსტანტინოპოლისაკენ, ხოლო, მეორე მხრივ, ბიზანტიაში მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო ტენდენციებით, რომლებიც განსაკუთრებით მიმზიდველი აღმოჩნდა საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწე ქართველი მწიგნობრებისათვის.

ბიზანტიაში მიმდინარე ლიტურგატურულ-მწიგნობრული პროცესებისაკენ სწრაფვა დაიწყო X საუკუნის ბოლოდან ათონის მთის ქართულ სალიტურგატურო წრეში, XI საუკუნის 30-იანი წლებიდან მოიცვა შავი მთა, რასაც 70-იან-80-იან წლებში მოჰყვა ამ რეგიონის სამწიგნობრო წრეში ახალი მიმდინარეობის, ელინოფილიზმის გაჩენა; ამ პროცესის საბოლოო შედეგი კი იყო XII საუკუნეში დასავლეთ საქართველოში ეროვნული საგანმანათლებლო ცენტრის, გელათის აკადემიის დაარსება.

ჩვენი მოხსენების მიზანია ვაჩვენოთ, როგორ აისახა ელინიზაციის პროცესი ქართულ ხელნაწერ წიგნზე, კერძოდ, რაში მდგომარეობს ქართული ხელნაწერის ელინიზაცია და რამ განაპირობა ეს პროცესი. ამ მიზნით განვიხილავთ შუა საუკუნეების პარატექსტებს: ხელნაწერებზე დართულ მწიგნობართა ანდერძ-მინაწერებსა და წინასიტყვაობებს, რომლებიც საყურადღებო ინფორმაციას შეიცავს ამ საკითხთან დაკავშირებით.

X-XII საუკუნეების ქართულ ხელნაწერ წიგნში ჩნდება ახალი კომპონენტები, რომლებიც ხელს უწყობს ახლებური დამოკიდებულების გაჩენას ხელნაწერი წიგნის გამოყენების მიმართ და ახალი ტიპის ქართველი მკითხველის ჩამოყალიბებას.

ეს კომპონენტებია:

I. ქართველ მთარგმნელთა წინასიტყვაობები, რომელთა ეკვივალენტი ბერძნულ ხელნაწერებში არის prooimion-ები. ისინი ქართულ ხელნაწერებში ჩნდება ათონური პერიოდიდან და წინ უძღვის ქართველ მწიგნობართა თარგმანებს. ესენია, მაგალითად, იოანე სინელის „კლემასის“ ექვთიმე მთაწმინდელისეული თარგმანის წინასიტყვაობა, ვრცელი შესავალი, რომელიც უძღვის ექვთიმეს მიერ ნათარგმნ იოანე ოქროპირის მათეს სახარების კომენტარებს, გიორგი მთაწმინდელის წინასიტყვაობა, რომელიც ერთვის მის მიერ შედგენილ პარაკლიტონს. სრულიად გამორჩეულია ეფრემ მცირის წინასიტყვაობები, რომლებიც უძღვის ეფრემის შემდეგ თარგმანებს: იოანე დამასკელის „დიალექტიკას“ და „გარდამოცემას“, გრიგოლ ღვთისმეტყველის 16-სიტყვიან ლიტურგიკულ კრებულს, ეპიფანე კვირელის „ფილოთეონ ისტორიას“, ფსალმუნთა და სამოციქულოს კომენტარებს და არეოპაგიტულ კორპუსს. ქართველ მწიგნობართა წინასიტყვაობები საყურადღებო ლიტურატურულ-ისტორიული წყაროებია, რომლებშიც ასახულია ძველი ქართული ჰუმანიტარული აზროვნების მნიშვნელოვანი ასპექტები. მათზე დაყრდნობით შესაძლებელი ხდება ძველი ქართული მწიგნობრული აზროვნებისა და გარემოს რეკონსტრუქცია.

II. შუა საუკუნეების ხელნაწერში მნიშვნელოვანი საძიებო ინსტრუმენტია ზანდუკი, იგივე სარჩევი (ბერძ. პინაქსი) (სურ. 10), რომელსაც ქართულ ხელნაწერებში სისტემატური სახით ვხვდებით ათონური ეპოქიდან. ზანდუკის დახმარებით მკითხველი მოკლე დროში იღებს ხელნაწერიდან ინფორმაციას ისე, რომ მას არ უხდება მთელი ტექსტის გადაკითხვა. ხელნაწერთა ანდერძებსა და წინასიტყვაობებში დასტურდება ქართველ მწიგნობართა საინტერესო თეორიული გამონათქვამები ზანდუკისა და მისი დანიშნულების შესახებ.

III. ახალი კომპონენტი, რომელიც ელინიზაციის ეპოქაში ჩნდება ქართულ ხელნაწერში, არის ლექსიკონი. ის ერთვის ფსალმუნთა კომენტარების ეფრემ მცირისეულ თარგმანს. კომენტართა ეფრემისეულ წინასიტყვაობაში დასტურდება ლექსიკონის მეტად საყურადღებო განმარტება.

IV. მნიშვნელოვანი სიახლე, რომელიც თავს იჩენს ქართულ ხელნაწერში, არის მარგინალური შენიშვნები, რომლებიც ორი სახისაა: (1) ზეპირით დაწერილი – შენიშვნები, რომლებიც შედგენილია ქართველი მწიგნობრის მიერ ზეპირად, სპონტანურად თარგმნის პროცესში (სურ. 11); (2) დედისაგან მომდინარე შენიშვნები – ბიზანტიელ ავტორთა კომენტარები, რომლებიც ბერძნულიდან არის ნათარგმნი და ქართულ ხელნაწერში, ბერძნულის ანალოგიით, აშიებზე ერთვის ძირითად ტექსტს. ამ ტიპისაა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კრებულისა და არეოპაგიტული კორპუსის ეფრემისეული თარგმანების შემცველ ხელნაწერთა აშიებზე დართული შენიშვნები და კომენტარები.

V. მარგინალური ნიშნები, რომლებიც დასტურდება ეფრემ მცირის თარგმანების შემცველი ხელნაწერების აშიებზე. ესენია: ვარსკვლავი, მზისთვალი, „შუენიერი“, „შეისწავე“ და მისთ. ეფრემის ხელნაწერებში ისინი იმავე ფუნქციას ასრულებენ, რასაც ბერძნულში – ამ ნიშნებით მონიშნულია ტექსტის შინაარსობრივად თუ მხატვრულად საყურადღებო პასაჟები. ეს ნიშნები ერთგვარი ვიზუალური გზამკვლევებია, რომლებიც ეხმარება მკითხველს რთული, ვრცელი ტექსტების კითხვისას.



ქართველ მწიგნობართა შენიშვნით, ხელნაწერებში ეს სტრუქტურული კომპონენტები თუ დეტალები გაჩენილია ბერძნული ხელნაწერების ანალოგიით, მათი მიბადვით. ცხადია, ბერძნული ხელნაწერის მიმართ ამგვარი დამოკიდებულების შექმნას ხელი შეუწყო იმ ფაქტმა, რომ უცხოეთის სამონასტრო ცენტრებში ქართველებს ჰქონდათ საშუალება, გასცნობოდნენ ბიზანტიისა თუ ქრისტიანული ახლო აღმოსავლეთის სამონასტრო ცენტრებში მიმდინარე მწიგნობრულ პროცესებს, ეთანამშრომლათ უცხოელ კოლეგებთან.

ამგვარად, XI-XII საუკუნეებში ქართულ კულტურაში გარკვეულწილად შეიცვალა დამოკიდებულება წიგნისა და კითხვის მიმართ. ქართული ხელნაწერი წიგნი იქცა ერთგვარ „ცოდნის წყაროდ“. თავისი განახლებული ფორმატით მან ახალი, პრაქტიკული დანიშნულება – მკითხველისათვის ინფორმაციის სწრაფად და ადვილად მიწოდების ფუნქცია შეიძინა. ამ დროიდან მოყოლებული ხელნაწერი წიგნის გამოყენება ქართველებმა დაიწყეს არა მარტო ეკლესიაში ღვთისმსახურების დროს, ან კიდევ სენაკებში მედიტაციური კითხვისას, არამედ მას მიმართავენ კვლევისა და ძიებისათვის, განათლების მისაღებად.

*Thamar Otkhmezuri*

*Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts*

## **SOME ASPECTS OF THE HISTORY OF MEDIEVAL GEORGIAN MANUSCRIPT PRODUCTION. FROM LITURGICAL COLLECTIONS TO MANUSCRIPTS OF EDUCATIONAL AND SCHOLARLY CONTENT: 11<sup>TH</sup>-12<sup>TH</sup> CC.**

The period of transition between the 10<sup>th</sup> and the 11<sup>th</sup> centuries is supposed to be the beginning of the so-called Golden Age – a new era in Old Georgian literature. This was the starting point of an orientation of Georgian intellectuals towards Byzantine culture which was determined, on the one hand, by the political course of Georgia towards Constantinople, and on the other, by the cultural and educational rise of Byzantium which inspired the literary activities of Georgian scholars working in monastic centres outside Georgia.

The process of the growth of Byzantine influence on Georgian literature began in the monastic centre of Mt. Athos in the end of the 10<sup>th</sup> century and continued in the monastic centres of Black Mountain (in the region of Antioch); the final result of these processes was founding of a medieval educational centre in West Georgia – the Academy of Gelaty in the 12<sup>th</sup> century. At the last quarter of the 11<sup>th</sup> century in the Antiochene literary school a new hellenophile tendency – a method of making literal translations was also founded. These processes influenced the 11<sup>th</sup>-12<sup>th</sup> cc. Georgian manuscript production, affected the attitude towards the manuscripts and generally, towards reading.

The paper focuses on the structure of the 11<sup>th</sup>-12<sup>th</sup> cc. Georgian manuscripts. The structural details, such as prologues and colophons, the index, annotations and marginal signs, as the instruments for scholarly reading are observed. The paper also discusses the medieval sources

(mainly prologues and colophons) which present the issues of medieval manuscript structure and the function of its details, also the influence of Greek books on the Georgian manuscripts.

The main novelty in the Georgian book culture of the so-called Golden age is the appearance of special components in the composition of the manuscript, which promote the emergence of a new attitude towards reading, and appearance of a new type of Georgian reader.

I. The *prefaces* (equivalent to the Greek *prooimion*), which are attested in Georgian manuscripts from the beginning of the 11<sup>th</sup> century onwards, are appended to the translations of Georgian scholars – Euthymius and George the Hagiorites, Ephrem Mtsire and Ioane Petritsi (e. g. Euthymius the Hagiorite’s preface to the *Ladder* of John of Sinai, George the Hagiorite’s preface to the *Parakletike*, Ephrem Mtsire’s prefaces to the *Sixteen liturgical sermons* by Gregory of Nazianzus, John of Damascus’ *De fide Orthodoxa*, the compiled versions of the *Commentaries on the Psalms* and the *Commentaries on the Epistles of St. Paul*, etc.). They include significant information about literary problems, prepare the medieval Georgian reader for a thoughtful and profound reading of the medieval texts, and also have an educational function.

II. The practice of including *indices* (Fig. 10) – tables of contents, more or less known since the early days of Georgian manuscript production, became the norm in the 11<sup>th</sup> century. By examining the *index* which was usually inserted at the beginning of a manuscript, the reader could retrieve information in a short time without reading the whole text. Georgian scholars’ theoretical discussions about the function of this element of the medieval book are presented in the *prefaces* to their translations.

III. A new element – the *lexicon* – also appeared in the 11<sup>th</sup> century Georgian manuscript. In the preface of the translation of the *Commentaries on the Psalms* Ephrem writes that the books of the Greeks are often preceded by a *Lexicon* – a collection of the “*deep words*”, which need explanation.

IV. One of the main novelties of the 11<sup>th</sup> century Georgian book design is the extensive use of marginal space. According to Ephrem’s preface appended to *De fide Orthodoxa*, there exist two types of “*explanations written in the margin*”: 1. so called “*orally composed*” notes – marginal explanations which belong to the editor/scribe of the manuscript or the translator (Fig. 11); 2. those, which are rendered from the source (“*mother*”) manuscript. These are commentaries of Greek authors translated by Georgian translators and incorporated into the margins of the manuscript.

V. In the manuscripts containing Ephrem Mtsire’s translations marginal space is extensively used also for marginal signs (*asterisk*, *heliacal sigh*, “*beautiful*”, “*attention*”, etc.); they serve as some kind of visual commentaries to the text and are designed to help the reader navigate through the vast and comprehensive writings. Ephrem utilized them in Georgian manuscripts just as they were used in the Greek collections.

According to Georgian scholars, Greek manuscripts are “*most reliable*”, and Georgian manuscripts should be composed “*according to Greek rules*”, “*imitating the Greek*”. The fact that Georgian scholars were working in the multilingual and multicultural monasteries outside the borders of Georgia side by side with Greeks played a great role in shaping the attitude towards medieval manuscript culture.

Thus, in the 11<sup>th</sup>-12<sup>th</sup> cc. there was a significant change in the attitude towards books and reading in Georgian culture. The Georgian book became a “*fountain of wisdom*” – a source for research and learning. This is a period of formation of a new reader with new interests and purposes. Georgians began using books not only in liturgical practice or for meditative reading in churches and monastic cells, but they were also reading for scholarly and educational purposes.

## ბიბლიოგრაფია / BIBLIOGRAPHY

**დ. თვალთვაძე**, ეფრემ მცირის კოლოფონები, თბილისი, 2009 (D. Tvaltvdze, *Ephrem Mtsire's Colophons*, Tbilisi, 2009).

**თ. ოთხმეზური**, „რამეთუ ბერძულად ესრეთ არს“: ქართული ხელნაწერი წიგნის ელიზბაცია, XI-XII საუკუნეები – იბეჭდება ზ. ალექსიძისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში (Th. Otkhmezuri, “As it is in Greek”: Hellenization of Georgian Manuscript: 11<sup>th</sup>-12<sup>th</sup> cc. (forthcoming).

**მ. რაფავა** (გამოც.), იოანე დამასკელი, დიალექტიკა, თბილისი, 1976 (M. Raphava (ed.), *John of Damascus, Dialectics*, Tbilisi, 1976).

**მ. შანიძე**, ფსალმუნთა თარგმანების შესავალი, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 11, მიეძღვნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლისთავს, 1968, გვ. 77-122 (M. Shanidze, *Introduction to Ephrem Mtsire's Commentaries on Psalms*, in: *Proceedings of the Old Georgian Language, 11. Dedicated to the 50<sup>th</sup> Anniversary of the Tbilisi State University*, 1968).

**მ. შანიძე** (გამოც.), წმ. იოანე ოქროპირი, თარგმანებად მათეს სახარებისად (თარგმანი წმ. ეფთვიმე მთაწმიდელისა), I, თბილისი, 1996 (M. Shanidze (ed), *St. John Chrysostom, Commentary on the Gospel of Matthew (Euthymius the Hagiorite's Translation)*, I, Tbilisi, 1996).

**ნ. დობორჯგინიძე**, ლინგვისტურ-ჰერმენევტიკული მეტატექსტები. პრაქტიკული გრამატიკა და ჰერმენევტიკა X-XIII საუკუნეების ქართულ წყაროებში, თბილისი, 2012. (N. Doborjginidze, *Linguistic and Hermeneutic Metatexts. Practicle Grammer and Hermeneutics in Georgian Sources of the 10<sup>th</sup>-13<sup>th</sup> Centuries*, Tbilisi, 2012).

**Ch. Astruc**, *Remarque sur les signes marginaux de certains manuscrits de S. Grégoire de Nazianze*, dans: *Analecta Bollandiana*, 92, (1974), pp. 289-295.

**J. Mossay**, *Le signe héliaque. Notes sur quelques manuscrits de S. Grégoire de Nazianze*, dans: L. Hadermann, G. Raepsaet (eds.), *Rayonnement grec. Hommages à Ch. Delvoye*, Bruxelles, 1982, pp. 273-284.

**Th. Otkhmezouri**, *Les signes marginaux dans les manuscrits géorgiens de Grégoire de Nazianze*, dans: *Le Muséon*, 104, Fasc. 3-4, (1991), pp. 335-347.

**Th. Otkhmezuri**, *Medieval Sources about Greek Manuscripts: Georgian Prefaces by Ephrem Mtsire to John of Damascus' "The Fountain of Wisdom"*, in: CH. BROCKMANN, D. DECKERS, D. HARLFINGER, S. VALENTE (Hrsg.), *Griechisch-Byzantinische Handschriften-Forschung, Tradicionen, Entwicklungen, Neue Wege*, Bd. 1, De Gruyter, 2020, S. 283–292; Bd. 2, S. 803–807.

## ეკა დულაშვილი

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს  
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

### ძველი ქართული ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა

ჰიმნოგრაფია ქრისტიანული ლიტურგიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უძველესი დარგია, რომელიც ქრისტიანობის პირველსავე საუკუნეებში ჩნდება, ქრისტიანული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების სხვადასხვა ეტაპს ასახავს და ნათლად გამოხატავს პოეტური, ბიბლიური მეტაფორული სახეებით აზროვნების განვითარების პერსპექტივას. ქართულმა ხელნაწერმა მემკვიდრეობამ შემოინახა ბევრი ისეთი ძეგლი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბიზანტიური ლიტურგიკულ-ესთეტიკური აზროვნების ისტორიაში. ქართული ჰიმნოგრაფიული კრებულები ასახავს ქრისტიანულ აღმოსავლეთსა და ბიზანტიაში მიმდინარე კულტურულ, ლიტურგიკულ სააზროვნო პროცესებს.

ქართული ხელნაწერი ტრადიცია კვალდაკვალ მიჰყვებოდა მისი თანამედროვე ეპოქის მოთხოვნებს, ღია იყო ინოვაციისათვის და იმავდროულად, ინარჩუნებდა ტრადიციასაც, უძველეს იერუსალიმურ ქრისტიანულ ნაკადს და ეტაპობრივად გადადიოდა ბიზანტიურ (კონსტანტინეპოლურ) კულტურულ სააზროვნო სისტემაზე. ამ პროცესს ყველაზე ნათლად ასახავს ძველი ქართული ჰიმნოგრაფიული კრებულები, რომლებიც IX-XI საუკუნეებში შეიქმნა საქართველოსა და უცხოეთში არსებულ (პალესტინის საბა განმენდილის ლავრა, სინის წმ. ეკატერინეს სახ. მონასტერი, ათონის ივერთა მონასტერი) სამნიგნობრო კერებში. ამ ხელნაწერების მნიშვნელობა განისაზღვრება, პირველ ყოვლისა, მათი არქაულობით, ძველი და ახალი საგალობლების თანაარსებობით და ტრადიციისა და ინოვაციის ერთობლიობით, რაც მთლიანად ავსებს იმ ლაკუნებს, რომლებიც მათი თანადროული და მოგვიანო პერიოდის ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიულ-ლიტურგიკულ ხელნაწერებს ახასიათებს (IX-XI სს).

ქართულმა ჰიმნოგრაფიულმა კრებულებმა შემოინახა ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ის ტექსტები, რომლებიც შემორჩინდნენ ბერძნულ ხელნაწერებში აღარ ჩანს. აქედან გამომდინარე, ბერძნული ტექსტების ქართულ თარგმანებს პროტოტიპის მნიშვნელობა აქვს. ამ ფაქტის შესახებ არაერთხელ აღნიშნულა როგორც ქართველი, ისე უცხოელი მეცნიერების გამოკვლევებში (პ. ინგოროყვა, კ. კეკელიძე, ელ. მეტრეველი, მ. ვ. ესბროკი, ბ. უტიე და სხვ.).

უძველესი **იადგარი**, ქრონოლოგიურად ყველაზე ადრეული კრებული, ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის განვითარების თითქმის საწყის ეტაპს ასახავს. ჩვენამდე მისი

ოთხი ძირითადი ნუსხაა შემორჩენილი, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია ჭილ-ეტრატის იადგარი (სურ. 12). მასში თავმოყრილია ყველა ის დიდი ნიგნი, რომლებიც აუცილებელია საეკლესიო ღვთისმსახურებისთვის: თენი, მარხვანი, ზატიკნი და პარაკლიტონის ადრეული, თავისებური სახე. ჭილ-ეტრატის იადგარი გადანიჭილია IX საუკუნეში ხარიტონის ლავრაში. უძველესმა იადგარმა შემოგვინახა სტიქარონების და გალობანის ადრეული, არქაული სახე. საგალობელთა შედგენილობით განსხვავდება მისი თანადროული ბიზანტიური კრებულებისგან – ტროპოლოგიონებისგან, მასში უფრო ადრეული საუკუნეების საგალობლების თარგმანებია შესული და ბიზანტიური საგალობლის სალექსო საზომის მიხედვით, ძლისპირ-ტროპარის თანაფარდობაზე დამყარებულ სისტემაზე, არ არის გამართული, ამიტომ კრებული სამგალობლო სისტემის ჩამოყალიბების უადრეს საფეხურს წარმოადგენს.

შემდგომი ეტაპის ჰიმნოგრაფიული კრებულია **ახალი, ანუ დიდი იადგარი**, რომელიც მთელი X საუკუნის განმავლობაში ყალიბდებოდა, შემორჩენილია სინის ნმინ-და ეკატერინეს მონასტრის ხელნაწერების (Sin. 34. Sin. 1, Sin. 14, Sin. 59. Sin. 64-65) და საქართველოში, ტაო-კლარჯეთში, შატბერდის სამნიგნობრო კერაში გადანიჭილი მიქაელ მოდრეკილის იადგარის სახით, რომელიც ახალი იადგარის განვითარების შემაჯამებელ ეტაპს გამოხატავს და სრულია შედგენილობით, რაზეც მასზე დართული ანდერძები მიუთითებს. სწორედ ამ კრებულში გვხვდება ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ცნობილი წარმომადგენლების – იოანე დამასკელის, კოზმა იერუსლიმელის, სტეფანე საბანმინდელის, იოსებ ჰიმნოგრაფის და სხვ. საგალობლების ქართული თარგმანები, რომლებიც მთარგმნელობითი სტილის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რადგან ამ შემთხვევაში ბერძნულ დედნებთან შედარების საშუალება გვაქვს და შესაძლებელია ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ძველი ქართული თარგმანების ანალიზი თარგმანმცოდნეობითი, კომპარატივისტული მეთოდების მიხედვით. ამავე კრებულებში გვხვდება უძველესი მუსიკალური ნევმური ნოტაცია და საგალობლების ტექსტები უკვე გამართულია ბიზანტიური საგალობლის ფორმის – ძლისპირ-ტროპარის თანაფარდობაზე. ეს ფაქტი ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის გააზრებისა და ქართულად ადაპტაციის ახალ ეტაპს ასახავს. ქართველი მთარგმნელ-მუსიკოსები ითვისებენ და ითვალისწინებენ პალესტინაში – ქრისტიანულ აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებს, რაც ჰიმნოგრაფიულ რეპერტუარს უკავშირდება.

ამ ეპოქის მოღვაწე მთარგმნელ-მუსიკოსებს უწოდებს გიორგი მთაწმინდელი „მეხელებს“ და მათ მიერ თარგმნილ საგალობლებს – „მეხურს“, რაც საგალობლის ხმაზე, ანუ მუსიკალურ კილოზე განყობას ნიშნავს. ამ პერიოდის ჰიმნოგრაფიული კრებულები, დიდი იადგარები, პალესტინაში (საბა განწმენდილის ლავრაში, სინის მთაზე) შექმნილი ჰიმნოგრაფიის კლასიკური პერიოდის ნიმუშების უძველეს ქართულ თარგმანებს შეიცავს, რომელთა გვერდითაც იქმნება ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფია და ბიზანტიურის კვალდაკვალ, იგრძნობა ეროვნული შემოქმედებითი ნაკადის ზრდის ტენდენცია.

ბიზანტიური წარმომავლობის ნათარგმნი იადგარები უფრო ინტენსიურად ივსება ქართველ ჰიმნოგრაფთა თხზულებებით. შეიქმნა ორიგინალური ჰიმნები, მიძღვნილი წმ. ნინოსა და წმ. აბოსადმი. მიქაელ მოდრეკილის კრებულის (სურ. 13) განსაკუთრე-

ბული ღირსება იმით აიხსნება, რომ მასში თავმოყრილი და სისტემატიზებულია მანამდე არსებული მთელი ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობა, სხვადასხვა ავტორის საგალობლები, როგორც ორიგინალური, ასევე ნათარგმნი.

იადგარიდან ჩანს, რომ X საუკუნეში საქართველოში მოღვაწეობდა მთელი პლეადა ჰიმნოგრაფებისა, რომელთაც ერთნაირად ხელწინფებოდათ როგორც საგალობლის კილო-მოდელებზე სასულიერო პოეტური ტექსტების მისადაგება, ისე საგალობელთა ახალ, ორიგინალურ კილოთა შეთხზვა. საღვთისმსახურო პრაქტიკაში რომ ოდითგანვე ტრადიციული, ქართული ორიგინალური კილოები გამოიყენებოდა (მათ შორის, ოთხ საუკუნეზე მეტი ხნოვანებისა), ნათლად ჩანს გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული „მარხვანის“ ანდერძიდან.

XI საუკუნიდან ქართული ქრისტიანული ლიტერატურისა და მუსიკის უმძლავრესი კერაა ათონის ივერთა მონასტერი. წმ. ექვთიმე და წმ. გიორგი ათონელებმა ხელი მიჰყვეს უკვე კონსტანტინეპოლური რედაქციის ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული წიგნების თარგმნას.

განსაკუთრებულია გიორგი მთაწმიდელის ღვაწლი. მას ეკუთვნის ყოველდღიურ საღვთისმსახურეო გალობათა (კანონთა) კრებული „თთუენი“ (12 წიგნად). ამ ნაშრომში გიორგი მთაწმიდელმა გამოიყენა საბანძიდურ და ტაო-კლარჯულ ძლისპირთა კრებულები და ადრე ნათარგმნი გალობანი, თავი მოუყარა ამა თუ იმ წმინდანისადმი მიძღვნილ ყველა ავტორის საგალობლებს. ქართული ჰიმნოგრაფიული კრებულების ანალიზი ნათელყოფს, რომ მათი ჩამოყალიბება და განვითარება ბიზანტიური კულტურული ორიენტაციისკენ იყო მიმართული, რაც პროგრესული სააზროვნო მოდელების ქართულ სინამდვილეში გადმოტანას გულისხმობდა. ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის თარგმნა კულტურულ-იდეოლოგიურ და ისტორიულ-ლიტერატურულ პროცესს ასახავს. ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ძველი ქართული თარგმანები შუა საუკუნეების ზოგადქრისტიანული აზროვნების ფართო კონტექსტში განიხილება და თვითმყოფადი ადგილი უჭირავს.

***Eka Dughahsvli***

*Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts*

## **OLD GEORGIAN LITURGICAL-HYMNOGRAPHIC MANUSCRIPTS AND THEIR IMPORTANCE**

Hymnography is the most important area of Christian literature that developed in the first centuries of Christianity; it reflects stages of formation of Christian world view and expresses the perspective of thinking development in poetic, biblical metaphorical forms. Georgian manuscript heritage has preserved monuments of special significance in history of Byzantine literary and aesthetic thinking. Georgian hymnographic collections reflect cultural, literary and thinking processes in Christian East and Byzantine.

Georgian manuscript tradition followed the demands of its contemporary epoch, it was open to innovation and at the same time preserved the Jerusalem Christian tradition and gradually moved to Byzantine (Constantinople) cultural system. This process is clearly reflected in old Georgian hymnographic collections of 9<sup>th</sup>-11<sup>th</sup> centuries in the literature seats of Georgia and abroad (the Mar Saba monastery, St. Catherine's Monastery of Sinai, Iviron Monastery on the Holy Mount Athos). The importance of these manuscripts is determined by their archaism, coexistence of old and new hymns and unity of tradition and innovation, filling the lacunas that characterize. Byzantine hymnographic-liturgical manuscripts of early and later periods (9<sup>th</sup>-11<sup>th</sup> cc.). Georgian hymnographic collections preserved Byzantine hymnographic texts, which are no longer seen in the survived Greek manuscripts.

Hence, Georgian translations of the Greek texts are the prototype. This fact has been repeatedly noted in both Georgian and foreign scientific researches (P. Ingorokva, K. Kekelidze, El. Metreveli, M. V. Esbroeck, B. Outtier et al).

In the history of the Byzantine- Georgian literary relationships one of the interesting topic is to determine the great contribution that Georgian hymnographic collections made in history of Christian writing and poetic thinking. Georgian translations of Byzantine hymnography are the oldest compared to translations in other languages; the hymnographic collection created in the 9<sup>th</sup> century, the ancient Iadgari, represents the early 5<sup>th</sup> century liturgical-hymnographic practice and the kind of thinking that survived in Georgian manuscripts and were lost in Byzantine tradition. The scientific analysis of the content of collections translated into Georgian and the tradition of translation of texts illustrate literary, cultural and thinking models that the Christian poetry was based on throughout its development (5<sup>th</sup>-12<sup>th</sup> cc.). The repertoire of hymns and collections were changing. Translated from Greek and Georgian original hymnography coexist in Georgian manuscripts of the 9<sup>th</sup>-11<sup>th</sup> centuries, this repertoire creates a classical epoch, since the complete collection was created at that time: Ancient Iadgari, Big Yearly Iadgari, Menaion, Triodion, Parakletike, etc.

Georgian hymnographic collections with their textual composition reflect influence of the cultural-literary environment which Georgia had relationship with. Together with the textual tradition, the musical side of hymns is worth noting, that is, neumatic notation, with which Georgian hymnographic collections of the 10<sup>th</sup> century are engraved and this system is indigenous and original.

**The Ancient Iadgari**, reflects almost the beginning of Byzantine hymnography. Only four main copies have been preserved; the most important is Tchil-etrati Iadgari (Fig. 12). It contains all great books that are necessary for ecclesiastical worship: Menaion, Triodion, Oktoekhos and early Parakletike. Tchil-etrati Iadgari was copied in the 9<sup>th</sup> century in St. Khariton's Lavra. The ancient Iadgari preserved the earliest, archaic forms of hymns. The composition of hymns differs from its contemporary Byzantine collections – from the tropologions, it contains translations of the hymns of the earliest centuries and according to verse meter of the Byzantine chanting, based on the correlation system of heirmos-troparion, it is not in order, therefore, the collection reflects the early stage of the formation of the chanting system.

**The Great Iadgari** contains ancient translations of samples created in classical period of hymnography in Palestine (in the Mar Saba Monastery, Mount Sinai) alongside with Georgian original hymnography. The national creative flow is felt to follow Byzantine. The Iadgari translated from Byzantine provenance are filled with works of Georgian hymnographers. Original anthems were created, dedicated to St. Nino and St. Abo.

The distinguishing value of Mikael Modrekili's collection (Fig. 13) is that it combined and systematized all previous hymnographic heritage and various authors' original and translated hymns. The will shows the hymnographer was cautious with tone "purity and accuracy", inerrancy of music marks. It is the collection of a great musician-singer, music theorist and master composer.

The whole pleiad of hymnographers worked in the 10<sup>th</sup> century in Georgia, who were equally skillful in referencing the spiritual poetic texts on hymn tone-models and composing new original tones. The use of indigenous traditional Georgian original in the religious service is obvious from George Athonite's autographic will of Triodion.

The analysis of Georgian hymnographic collections proves that their formation and development were directed towards Byzantine cultural orientation, which meant moving progressive thinking models into Georgian reality. Translation of Byzantine hymnography depicts a cultural-ideological and historical-literary process. Old Georgian translations of Byzantine hymnography are considered in the context of general medieval Christian thinking and hold an independent place.

## ბიბლიოგრაფია / BIBLIOGRAPHY

**გ. კიკნაძე**, ნევემირებული ძლისპირნი თბილისი, 1980. გვ. 87-89.

**ელ. მეტრეველი**, უძველესი იადგარი. გამოსაცემად მოამზადეს და გამოკვლევა დაურთეს ე. მეტრეველმა, ლ. ხევსურთანმა, ც. ჭანკიევმა. თბილისი, 1980, გვ. 123-131.

**ელ. მეტრეველი**, ძლისპირნი და ღვთისმშობლისანი. გვ. 051, 1971: ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი. ორი ძველი რედაქცია X-XI სს. ხელნაწერების მიხ. გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ე. მეტრეველმა. თბილისი, 1971, გვ. 051.

**თ. ჟორდანიას**, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილით. ჟორდანიას მიერ, ნ. 2, ტფ., 1897.

**კ. კეკელიძე**, „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. თბილისი, 1980.

**მ. სუხიაშვილი**, ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის ისტორიული განვითარების ზოგიერთი საკითხის შესახებ. სასულიერო და საერო მუსიკის მრავალხმიანობის პრობლემები, ქრისტესობის 2000 და საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებები, თბილისი, 2001.

Follieri, Analecta = Follieri, Analecta Hymnica Graeca, Roma. 1971.



## **EDITING MEDIEVAL GEORGIAN MANUSCRIPTS: THE TASKS OF THE EDITOR**

### **Why Textual Criticism?**

The text transmitted in the medieval manuscripts we study contains a number of errors accumulated through the centuries. It is the task of the editor to detect such errors, amend them, and bring the text as close as possible to the original authorial intention or to the earliest possible stage of the text.

### **Plan of Action**

In short, in preparing the edition of any given text, the editor must address the following list of tasks:

1. Identify the text to edit
2. Conduct a bibliographical research
3. Research and describe of the witnesses (=extant manuscripts that transmit the text), including also
  - I. Printed editions
  - II. Preserved manuscripts
  - III. Lost manuscripts (is it possible to trace any of them?)
  - IV. Description of the other texts preserved in the manuscripts, i.e. those texts which accompany the text
  - V. Provide a material description of the manuscripts (codicological, palaeographical, textual)
  - VI. Give a history of the manuscripts
4. Critical edition
  - I. Choice of a 'base-text'
  - II. Transcription of the 'base-text' and numbering of the lines/verses
  - III. Collation of other witnesses against the 'base-text'
  - IV. Graphic organization of the manuscripts in a *stemma codicum* (if possible)
  - V. Interpretation of the *stemma* and choice of the principle of our edition
  - VI. Establishing of the text

- VII. Constitution of the *apparatus criticus*
- VIII. Redaction of the stemmatic discussion
- IX. Collation of the printed editions

5. Give a literary history of the text, including:

- i. Study of the sources
- ii. Research of the *loci similes* (=parallel passages in other works of the same author)
- iii. Study of the indirect tradition and of the influence on other authors
- iv. Comparison of relevant works of the same literary genre

6. Interpretation/commentary of the Text

- I. Translation
- II. Annotation
- III. Commentary

7. Reconstruction of the history of the text

- i. Analysis of the manuscript tradition and the printed editions according to epoch, geographical distribution, religious family, textual family, etc.
- ii. Analysis of the indication of readings, revisions, glosses, etc.
- iii. Study of the indirect tradition (literary posterity/reception)

8. Literary introduction, with information regarding:

- I. Author
- II. Original title
- III. Date and circumstances of the composition/writing
- IV. Literary genre of the work
- V. Plan of the work (summary/synopsis/...)
- VI. Purpose of the work
- VII. Language and style
- VIII. Are there more recensions?
  - a. If yes: same author?
  - b. If yes, can they be dated in absolute or relative chronology?
  - c. What are the literary, historical, doctrinal, ..., meanings of the various recensions?
- ix. Are there ancient translations?

### **Textual Criticism in a Nutshell**

Editing a text means, in short, to find out what is the text nature transmitted by the manuscripts and to determine whether that text is correct or need emendation. This task consists of three separate steps:

1. Recension / *Recensio*

- I. Collection of the textual evidence and reconstruction of the ‘archetype’ (not the original!): *collatio*
- II. Establishing the relationship among the extant manuscripts
- III. Elimination of the unnecessary manuscripts / *eliminatio codicum descriptorum*

- IV. Drawing a genealogical tree (if possible) / *stemma codicum*
- V. Reconstruction of lost manuscripts
- 2. Examination / *Examinatio*
  - I. Determining whether the reconstructed text is any good
- 3. Emendation / *Emendatio*
  - I. Correction of the corrupted passages: conjecture
  - II. Mechanical and intellectual: *ope codicum* and *divinatio*
  - III. ‘Common sense’ and ‘judgment’

### **Basic Principles**

The principles to edit a text vary according to the nature of each text. Some basic principles, however, can be applied to a great variety of texts.

- 1. Editio princeps and the Vulgate Text
  - I. Rejection of a *textus receptus*
- 2. Stemmatic Theory of Recension
  - I. Mid 19<sup>th</sup>-c., Karl Lachmann
  - II. Paul Maas
  - III. ‘Closed’ Tradition
- 3. Stemma Codicum
  - I. Archetype
  - II. Hyparchetype (lost intermediary)
  - III. Extant witnesses
- 4. Errors
  - I. Significant errors
  - II. Conjunctive errors: two mss are more closely related to each other than to a third ms
  - III. Separative errors: they show that one ms is independent from the others
- 5. Consensus
  - I. For the reconstruction of hyparchetypes
  - II. For the reconstruction of the archetype
- 6. *Eliminatio Lectionum Singularium*
  - I. Elimination of the readings peculiar to individual mss

### **Limitations to the Stemmatic Theory of Recension**

The basic principles enucleated above have, however, some limitations that occur in the case of the following cases:

- 1. Presence of contamination or ‘horizontal transmission’
- 2. Presence of more than one archetype
- 3. Presence of authorial corrections

### **Individual value of manuscripts**

Not all manuscripts have the same value for the reconstruction of a text.

1. Best manuscript or *codex optimus*?
- I. The notion can be used in presence of equipollent readings
2. Antiquity
- I. Guarantee of quality?
- II. Pasquali's *recentiores non deteriores*

### **Indirect Tradition**

Apart from the manuscripts that transmit a text, information on the history of a text can also be found in 'indirect tradition'. The merit of such tradition is sometimes hard to assess.

1. What does it include?
  - I. Quotations
  - II. Extracts
  - III. ...
  - IV. Translations?
2. Merit
  - I. Guarantee of quality?
  - II. Quotations and the role of memory

### **Two important Principles and 'Banalization'**

When the editor has to decide which lesson (=variant reading) to choose between two that seem the same, two principles are often advocated:

1. *Utrum in alterum abiturum erat*
  - I. Using your brain
2. *Lectio difficilior / difficilior lectio potior*
  - I. Is it always right?
  - II. Sometimes, *lectio difficillior = lectio deterior*

### **Errors and Corruptions**

1. Concept of error
  - I. What is an error and what is not
2. What causes errors?
  - I. Scribal involuntary errors (majority)
    - a. Lack of attention
    - b. Mechanical issues on the writing support
  - II. Scribal voluntary alterations
3. Corruptions due to reading mistakes
  - I. Due to *scriptio continua*
  - II. Confusion between similar letters in a given script variety
  - III. Wrong solution of abbreviations (*nomina sacra* and other signs)
  - IV. Numerals (represented by letters)
  - V. Confusion between words similarly spelled

#### 4. Omissions

I. Few letters (*haplography*): when the scribes transcribes only once a sequence of letters that should be repeated

II. Larger omission between two identical words: *saut du même au même*

III. Homoearcton & homoeoteleuton: between words with the same beginning or ending

IV. Whole line of text (poetry)

#### 5. Additions

I. Repetition of few letters or syllables: *dittography*

II. Gloss (problematic especially in prose, if there is no offense to the text)

#### 6. Transpositions

I. Of letters

II. Of verses

III. Word order

IV. Voluntary Mistakes

V. Scribal ‘emendation’ or corruptions

VI. Suppression of obscene or anti-Christian passages

### Dallas Apparatus Criticus Abbreviations

[http://udallasclassics.org/wp-content/uploads/maurer-files/APPARATUSABBREVIATIONS.](http://udallasclassics.org/wp-content/uploads/maurer-files/APPARATUSABBREVIATIONS.pdf)

pdf

### ბიბლიოგრაფია / BIBLIOGRAPHY

**D. Gutas**, and Tarán, Leonardo, *Aristotle, “Poetics”* (Leiden, 2012).

**D. Gutas**, *Theophrastus of Eresus* (Leiden, 2014).

**G. Pasquali**, *Storia della tradizione e critica del testo* (Florence, 1988).

**L. D. Reynolds, and N. G. Wilson**, *Scribes and scholars* (Oxford, 2013).

**P. Maas**, *Textkritik* (Leipzig, 1960).

**M. L. West**, *Textual Criticism and Editorial Technique* (Stuttgart, 1973).

**P. Trovato**, *Everything you Always Wanted to Know about Lachmann’s Method* (Padua, 2014).

**R. Tarrant**, *Texts, Editors, and Readers* (Cambridge, 2016).

**S. Timpanaro**, *The Genesis of Lachmann’s Method* (Chicago, 2005).

## ნესტან ჩხიკვაძე

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

### შუა საუკუნეების ხელნაწერი ნიშნის შედგენის პრინციპები (X-XI სს.)

ხელნაწერი კრებულების შედგენილობის თავისებურებებზე საუბრისას ყურადღება უნდა მივაქციოთ თავად კრებულების დანიშნულებას, მათი შექმნისა და ჩამოყალიბების მიზანს. ქრისტიანული მწერლობის დასაწყისში არა მხოლოდ ქართულ, არამედ, ზოგადად, ამ მოძღვრების აღმსარებელ მთელ სივრცეში პირველი ნიგნები იქმნებოდა როგორც პრაქტიკული, საეკლესიო-სარიტუალო საჭიროების ერთეულები. მათი უმთავრესი დანიშნულებას საღვთისმსახურო პრაქტიკის გააზრება და ათვისება წარმოადგენდა, რაც გულისხმობდა არა მხოლოდ სარიტუალო პრაქტიკის წესების დაცვას, არამედ ცალკეული დღესასწაულის მნიშვნელობის გააზრებასაც. ამიტომაც თუკი თვალს გადავაავლებთ ადრეულ კრებულთა დღემდე შემორჩენილ ფურცლებს, რომლებმაც პალიმფსესტების სახით მიაღწიეს ჩვენამდე, დავინახავთ, რომ ლიტურგიკული დანიშნულების კრებულების, ანუ ლექციონარებისა და იადგარების (მთელი წლის დღესასწაულების ჰიმნოგრაფიული ტექსტების კრებულების) გარდა, V-VII სს-დან ქართულმა მწერლობამ ყურადღება მიაპყრო ოთხთავის, ფსალმუნისა და მრავალთავების თარგმნას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ X ს-ის დასასრულამდე ქართული სამწერლობო ტრადიცია ისტორიული პალესტინის საეკლესიო-სამონასტრო სივრცეში დადგენილი რედაქციების ანალოგიით ვითარდებოდა. ამიტომაც, თუკი ამ პერიოდის კრებულთა შედგენილობაზე ვისაუბრებთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ლიტურგიკული დანიშნულების ნიგნებში საკითხავთა თანამიმდევრობა და რედაქციული თავისებურებანი სწორედ ისტორიული პალესტინის, კონკრეტულად კი იერუსალიმის სამწერლობო ტრადიციის ამსახველი იყო. ამ კრებულების ადეკვატური სხვაენოვანი (ბერძნული, სირიული, არაბული, სომხური) დედნების მოძიება ჯერ კიდევ პრობლემად რჩება. ეს ეხება ისეთ უმნიშვნელოვანეს დოქტრინალურ ნიგნებსაც კი, როგორებიცაა სახარება და ფსალმუნი, რომლებშიც მთარგმნელისა თუ გადამწერის ჩარევა, ეკლესიის მიერ დადგენილი ტექსტის ნებაყოფლობითი ცვლილება გამოირიცხულია.

ჩვენ ამჟამად ყურადღებას გავამახვილებთ ლიტურგიკული პრაქტიკის ერთგვარ დამხმარე, შეიძლება ითქვას, საგანმანათლებლო მნიშვნელობის კრებულებზე, რომელთაც ქართულ ტრადიციაში მრავალთავები ეწოდება სხვადასხვა ჟანრის თხზუ-

ლებათა გაერთიანების გამო. ამ კრებულების შედგენას საფუძვლად უდევს სწორედ ის საეკლესიო კალენდარი, რომელსაც ეყრდნობა ლექციონარებისა თუ იადგარების რეპერტუარი. გარდა კალენდრისა, ამ კრებულებში შეტანილი აგიოგრაფიული თუ აპოკრიფული ტექსტები უპასუხებს პალესტინური სივრცის ლიტურგიკული ტრადიციის მოთხოვნებს. მაგრამ ამ კრებულების პატრისტიკული თუ აპოკრიფული მასალის უდიდესი ნაწილის ადეკვატური ბერძნული დედნები უცნობია. პრაქტიკულად არ ეძებნება შესატყვისი ბერძნული დედნები ამ კრებულებში შესულ ეფრემ ასურის ჰომილიებს, ამიტომაც ისინი ფსევდო ტექსტებადაა მიჩნეული. ასევე, არ ეძებნება ადეკვატური ბერძნული ტექსტი მარტვირი საჰდონას სინანულის ჰომილიას, წმ. სტეფანეს მარტვილობისა და ღვთისმშობლის მიძინების აპოკრიფულ ტექსტებს, იოსებ არიმათიელის ლუდიის ეკლესიის აპოკრიფს და სხვ. ჩამონათვალი შორს წაგვიყვანს. ამავე ტექსტებში მკვლევრები (წ. მარი, ჟ. გარიტი, პ. პეეტერსი, ილ. აბულაძე, მ. ვან ესბროკი, ბ. უტიე) ხედავენ სირიული, არაბული თუ სომხური ტრადიციების კვალს.

დედნებისა და კრებულების არქეტიპების ძიების საკითხს მივყავართ კვლავ და კვლავ იმ სივრცესთან, რომელშიც ითარგმნა თხზულებები და შედგა ეს კრებულები. ყველა ზემოთ დასახელებული თხზულების წარმომავლობის საკითხები უკავშირდება საბანძინდის მონასტერს, რომელშიც ქართული ბერმონაზვნობა VI ს-დან დამკვიდრდა და რომელშიც ჰქონდა კიდევ ინტენსიური კავშირი როგორც ბერძენ, ასევე სირიელ და ქრისტიან არაბ ბერმონაზვნობასთან. ამიტომაც ტექსტებში არსებული გავლენები, ნასესხობანი თუ საერთო მონაკვეთები არც კი იწვევს გაოცებას. თუმცა ჩვენ მაინც დავაზუსტებდით ერთ საკითხს. საინტერესოა, რომელი ენიდან თარგმნიან ქართველები ამ თხზულებებს და რომელ ენაზე არსებული კრებულების ანალოგიით ადგენენ დამხმარე ლიტურგიკულ წიგნებს: ხმელთაშუა ზღვის აუზის ქრისტიანებისათვის *ლინგუა ფრანკა*დ აღიარებული ბერძნულიდან, თუ უშუალოდ სირიული ან არაბული ენებიდან. დღეს ამ საკითხზე დაზუსტებული პასუხის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ ადეკვატური და პარალელური ტექსტების არსებობის შემთხვევაში, მხოლოდ ლექსიკური თუ გრამატიკული ნასესხობები, რომლებიც თან სდევს მჭიდრო კულტურულ კონტაქტებს, ვერ გამოდგება ტექსტის დედნის ენის დადგენის უტყუარ არგუმენტად. რიგ შემთხვევებში ძველ ქართულ თარგმანებში პარალელურად ვხვდებით ლექსიკურ სირიზმებს, არაბიზმებსა და ბერძნული სინტაქსის გავლენებს (თუნდაც იოვანე მოსხის „ლიმონარი“ გამოდგება ამის კარგ დასტურად).

ცალკე შევჩერდებით ქრისტიანული მწერლობის ქართული რედაქციების სომხური ენიდან თარგმნის საკითხზე, რომელიც თითქმის პროვოკაციულ ხასიათს იღებს და ან კატეგორიული უარყოფის, ან კატეგორიული მტკიცების საგნადაა ქცეული. ჩვენი აზრით, ამგვარი მთარგმნელობითი ურთიერთობის არსებობა არცაა გასაკვირი, თუკი გავითვალისწინებთ სამხრეთ კავკასიის ორი ქრისტიანული კულტურის თანამშრომლობის აუცილებლობას მაზდეანური ირანისა თუ მუსლიმური ხალიფატის ზენოლის პირობებში. ამიტომაც როდესაც სომხური ენიდან თარგმნის უტყუარ მაგალითებს ვაწყდებით, უნდა ვიფიქროთ, რომ საქმე ეხება ადრეულ, ქართული და სომხური ეკლესიების გაყოფამდელ ტექსტებს. თუმცა იმ შემთხვევებშიც კი,

როდესაც თითქმის ეჭვგარეშედ იყო აღიარებული ქართული ტექსტის სომხურიდან თარგმნის ფაქტი, დანვრილებითმა ტექსტოლოგიურმა კვლევამ ისეთივე სურათი გამოავლინა, როგორზეც ზემოთ შევაჩერეთ ყურადღება, სირიულიდან და არაბულიდან თარგმნის შესაძლებლობაზე საუბრის დროს (მაგალითისათვის მცხეთის ფსალმუნის დასახელებაც გამოდგება). ამ სახის სადავო და ჯერ კიდევ პასუხგაუცემელ საკითხებს ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დასკვნამდე მივყავართ: ტექსტის კვლევა კულტურულ-ისტორიული ფონის გარეშე ვერ მიგვიყვანს ობიექტურ შედეგამდე.

X ს-ის დასასრულიდან ქართული მთარგმნელობითი და სამწერლობო ტრადიცია კონსტანტინეპოლური რედაქციებისკენ იღებს გეზს, მაგრამ ეს უკვე სხვა ლექციის თემას წარმოადგენს.

*Nestan Chkhikvadze*

*Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts*

## **PRINCIPLES OF COMPOSITION OF OLD GEORGIAN MANUSCRIPT BOOKS (10<sup>TH</sup>-11<sup>TH</sup> CC.)**

Learning about the compositional features of Georgian collections, it is necessary to pay attention to the purpose of these manuscripts themselves, the purpose of their creation and formation. At the beginning of Christian writing, not only Georgian, but in general, the books of the Christian space were created as practical, church-ritual units. Their main goal was to study and master the liturgical practice, which meant not only observing the rules of ritual practice, but also understanding the meaning of a particular holiday. Therefore, if we look at the surviving pages of early collections that have come down to us in the form of palimpsests, we will see that, in addition to the main doctrinal book of the Gospel and liturgical collections – lectionaries and Iadgaries (collections of hymnographic texts for the whole year), in the 5<sup>th</sup>-7<sup>th</sup> centuries there were auxiliary liturgical collections that have also been into the tune, serving readings of different genres and authors.

At the same time, one should not forget that until the end of the 10<sup>th</sup> century, the Georgian literary tradition developed by analogy with the editions that developed in the church-monastery space of historical Palestine. Therefore, if we talk about the composition of the collections of this period, it should be noted that the sequence of readings and editorial features of liturgical books reflect the written tradition of historical Palestine, more precisely the Jerusalem Church. Today, the search for adequate Greek, Syrian, Arabian, Armenian originals of these Georgian collections remains a problem. And this applies even to the most important doctrinal books, such as the Gospel and the Psalter, in which the arbitrary intervention of a translator or scribe is excluded, changes in the text are established by the general, that is, the Jerusalem Church.



Now we will return to the above-mentioned auxiliary liturgical collections, which in the Georgian tradition are known as Mravaltavi, which means books containing many chapters, thanks to the combination of works of different genres. The compilation of these collections is based on the church calendar on which the lectionary or iadgary repertoire is based. In addition to the calendar, the hagiographic or apocryphal texts included in these collections meet the requirements of the liturgical tradition of the Palestinian space. But adequate Greek originals of most of the patristic or apocryphal material from these collections are unknown. In these collections of sermons by Ephrem the Syrian, Martyrius Sahdona, apocryphal texts of the martyrdom of St. Stephen and the Assumption of the Virgin, the apocryphal of Joseph of Arimathea on the founding of the first church in Lydda. In these texts, scholars (N. Marr, P. Peeters, J. Garritte, Il. Abuladze, M. Van Esbroeck, B. Outtier) see traces of Syrian, Arab or Armenian traditions.

The question of searching for the archetypes of the originals of these readings and collections leads to the space in which the works were translated and these collections were compiled. The origins of all the above-mentioned translations are connected with the monastery of Mar-Sabas, in which Georgian monasticism was founded since the 6<sup>th</sup> century and in which it had an intense connection with Greek, Syrian and Christian Arab monasticism. This is why the influences, borrowed or shared passages in the texts are not even surprising. However, we would like to clarify one question: from which language the Georgians are translating these readings: with recognized Christians of the Central Mediterranean as the *Lingua franca* of the Greek language, or directly from Syriac or Arabic.

An accurate answer to this question is possible only through the presence and joint study of parallel Syrian or Arabic texts. Only individual lexical influences of the Syriac or Arabic languages will not give a complete answer, since linguistic influences always accompany cultural relations. In some cases, in ancient Georgian translations, we find lexical units of the Syriac and Arabic languages, as well as the influence of Greek syntax (let's take, for example, at least the Georgian translation of "Spiritual Meadows" by John Moskhos).

We will look separately at the issue of the performance of Georgian translations of Christian literature from the Armenian language, which is almost provocative and has become the subject of either categorical denial or categorical assertion. In our opinion, the existence of close literary relations between the two Christian cultures of the South Caucasus under the pressure of Iranian Zoroastrianism or the Muslim Caliphate is quite natural. And if we come across such well-founded examples, it is about the early texts, which must have been translated before the 7<sup>th</sup> century, or before the division of the Georgian and Armenian churches. In those popular cases, when the translation of the Georgian text from the Armenian was almost indisputably recognized, a detailed study of the texts revealed the same picture that we drew attention to above when we talked about the possibility of translation from the Syriac and Arabic languages (or example, we will give at least the ancient Georgian translation of the Psalter). These kinds of controversial and still unanswered questions lead to one of the most important conclusions, the study of the text without considering the cultural-historical background will not give us an objective result.

Since the end of the 10<sup>th</sup> century, other processes have developed in the compilation of Georgian collections and in the translation activity of Georgians aimed at meeting the requirements of the Church of Constantinople, but this is already a topic for another lecture.

## ბიბლიოგრაფია / BIBLIOGRAPHY

კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1980. [K. Kekelidze, History of Georgian Literature, I, Tbilisi, 1980].

ქართული ხელნაწერი წიგნი, V-XIX საუკუნეები, ალბომი, შეადგინეს მაია კარანაძემ, ლელა შათირიშვილმა, ნესტან ჩხიკვაძემ, თამარ აბულაძის მონაწილეობით, ნესტან ჩხიკვაძის რედაქციით, თბილისი; 2018.

ქართული პალიმფსესტები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. კატალოგი, ტექსტები, ალბომი. შეადგინეს: ლამარა ქაჯაიამ, ხათუნა გაფრინდაშვილმა, ციციწო გულედანმა, ნათია მიროტაძემ, დალი ჩიტუნაშვილმა და ირმა ხოსიტაშვილმა, თბილისი, 2017.

ნარკვევები ძველი სასულიერო მწერლობის ისტორიიდან, მთავარეპისკოპოს სტეფანე (კალაიჯიშვილის) რედაქციით, თბილისი, I, 2012; III, 2016. [Essays on the History of Ancient Georgian Sacred Writing, Edited by Archbishop Stephane (Kalajishvili), Tbilisi, T. I, 2012, T. III, 2016.]

G. Garitte, Catalogue des manuscrits Géorgiens littéraires du Mont Sinai, CSCO, 165, Louvain, 1958.

Georgian Manuscript Book, 5<sup>th</sup>-19<sup>th</sup> centuries, Album; Prepared by Maia Karanadze, Lela Shatirishvili, Nestan Chkhikvadze with participation of Tamar Abuladze; Editor Nestan Chkhikvadze, Second Revised Edition, Tbilisi, 2018.

Georgian Palimpsests in the National Centre of Manuscripts; authors: Lamara Kajaia, Khatuna Gaprindashvili, Tsitsino Guledani, Natia Mirotadze, Dali Chitunashvili, Irma Khositashvili; edited by Zaza Aleksidze and Dali Chitunashvili, Tbilisi, 2017 (in Georgian and English).

Les plus anciens homélliaires Géorgiennes. Étude descriptive et historique par Michel van Esbroeck, Louvain-la-Neuve, 1975.

B. Outtier, Le manuscrit de Tbilisi A-249, un recueil traduit de l'Arabe et sa phisionomie primitive: Bedi Kartlisa, revue de kartvelologie, vol. XXXV, Paris, 1977, pp. 97-108.

P. Peeters, Orient et Byzance: Le tréfonds Orientale de l'Arabe byzantine. Subsidia Hagiographica, 26. Bruxelles, 1950.

H. Mapp, Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, II, 1900, СПб [N. Marr, Texts and Research in Armenian-Georgian Philology, II, 1900, St. Petersburg].

Кекелидзе К. Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение, Тифлис, 1908 [K. Kekelidze, Liturgical Georgian Monuments in National Book Depositories and Their Scientific Significance, Tiflis, 1908].

## მაია კარანაძე

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს  
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

### ქართული ხელნაწერი წიგნის ყდა

ქართული ხელნაწერი წიგნის შემქმნელთ ახლო კონტაქტები ჰქონდათ ბიზანტიურ, აღმოსავლურ, სომხურ, ევროპულ, რუსულ და სხვა მნიგნობრულ კერებთან და, ბუნებრივია, იცნობდნენ ამ მონასტრებში დამკვიდრებულ მეთოდებსა და იარაღებს, ამასთან, ისინი ქმნიდნენ ყდების საკუთარ, ორიგინალურ ნიმუშებსაც. X საუკუნის სინაზე მოღვაწე ქართველი ბერებისთვის წიგნის შემოსვის ორი პროცესი – აკინძვა და ხის დაფების მიმაგრება – ერთ მთლიან და კომბინირებულ სამუშაოს შეადგენდა, რომელსაც ბელგიელმა მეცნიერმა ბერტე ვან რეჟემორტერმა „ქართული კერვა“ უწოდა.

ეკლესია-მონასტრებში მოღვაწე ხელოსნურ ჯგუფებად გაერთიანებული მნიგნობარი ბერების გვერდით იღვწოდნენ ყდის ოსტატები. ტერმინები – „შეიმოსა“, „შეიკაზმა“, „შეიკრა“ – სინონიმებს წარმოადგენს. მათში იგულისხმება ხელნაწერის ყდაში ჩასმის სრული პროცესი. ტერმინი „შეიმოსა“ ძირითადად გამოყენებულია X-XII სს-ით დათარიღებულ ანდერძებში, „შეიკაზმა“ მინაწერებში ჩნდება XIII-XIV სს-დან, „შეიკრა“ ფიქსირდება XIV ს-დან და არსებობას განაგრძობს XVIII ს-მდე. ხელნაწერი წიგნს, ხშირ შემთხვევაში, თავად გადამწერი უკეთებდა ყდას.

მასალის სისტემატიზაციის შედეგად, წიგნის შეკვრის ტექნიკის, ხის დაფების მოყვანილობისა და ტყავის გაფორმების ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე, დადგინდა ქართული ხელნაწერის წიგნის ყდის განვითარების სავარაუდო სამი ეტაპი: ადრეული (X-XVI სს.), გარდამავალი (XVII ს.), გვიანდელი (XVIII-XIX სს. 30-იანი წლები).

ადრეული (X-XVI სს.) პერიოდის ყდებისთვის დამახასიათებელია: სწორად მოთლილი მასიური ხის დაფები, მოჭრილი ხელნაწერის ფურცლების პირზე. გლუვი ყუა, რაც „გრეკაყის“ ტექნიკით მიიღება (V-ის ფორმის ჩაჭრა ან ჩახერხვა ყუაზე, რომელშიც იფარება ძაფი), რის გამოც ყუაზე შეკერვის რელიეფური ადგილები აღარ შეიმჩნევა. ყდის დეკორში გამოყენებულია როგორც ხაზოვანი ტვიფრის მეთოდი, მხედველობაში გვაქვს ყდის გაფორმება სტილიზებული აღმოსავლური ტოლფერდა ჯვრით, ისე ყდის ცენტრალურ ნაწილში საბორძიურე ტვიფრების გამოყენება შემავსებელი ტვიფრების ნაცვლად და პირიქით, რაც ყდის ადრეულობის ერთ-ერთი დამადასტურებელი ნიშანია.

ცალკე გამოყოფთ XVII სს. ყდებს. ვფიქრობ, ისინი ქართული წიგნის ყდის ისტორიაში გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს ადრეულ (X-XVI სს.) და გვიანდელ (XVIII-XIX სს.) ყდებს შორის.

ხელნაწერი წიგნის შექმნაში საერო არისტოკრატიის ჩართვის შემდგომ იქმნება ვერცხლის ჭედური ყდები. ეს პროცესი სათავეს იღებს XI საუკუნიდან. ამ ეპოქის ჭედური ყდა ინახება რუსეთის ისტორიული მუზეუმის (მოსკოვი) შჩუკინის კოლექციაში. ხელნაწერი გადაწერილია შავ მთაზე, კალიპოსის ლავრაში. სამწუხაროდ, ვერ მოაღწია 1054 წელს ამავე სამონასტრო ცენტრში გადაწერილმა ბადვაშთა ფეოდალური სახლის დაფინანსებით მოჭედილმა ყდამ, მხედველობაში გვაქვს ალავერდის ოთხთავის (A-484) თავდაპირველი ჭედური ყდა, რომლის აღწერილობასაც ვეცნობით თავად ხელნაწერზე 1059 წელს დართული ანდერძიდან. სწორედ ამ ანდერძის საფუძველზე XVII საუკუნეში ხელნაწერი წიგნის ყდის რესტავრაცია ითავა სამეგრელო-ოდისის მთავარმა ლევან დადიანმა, რომელმაც ოთხთავი ტყავისა და მოოქრული ვერცხლის კომბინირებულ ყდაში ჩაასმევინა (სურ. 4).

ქართული ჭედური ყდის უნიკალური ნიმუშები შექმნეს XII საუკუნეში მოღვაწე ცნობილმა ოქრომჭედლებმა – ბემქენ და ბექა ოპიზრებმა. ჭედური ყდები განიცდის ბიზანტიურ გავლენას.

საერთოდ, წიგნის ყდის ვერცხლითა და ოქროთი მოჭედვა, ვერცხლის ოქროთი დაფერვა, ძვირფასი თვლებით შემკობა დამოკიდებული იყო წიგნის მფლობელის შესაძლებლობაზე, რადგან ძვირფას ყდაში ჩასმული წიგნი ყოველთვის ძვირად ფასობდა და ყველა ვერ შეძლებდა მის დაფინანსებასა თუ შექმნას.

ამდენად, წიგნისთვის ყდის გაკეთება არ არის დამოუკიდებელი პროცესი, არამედ იგი ასახავს იმ კულტურულ-პოლიტიკურ სინამდვილეს, რომელშიც იქმნებოდა და ახლდებოდა ესა თუ ის ხელნაწერი წიგნი.

**Maia Karanadze**

*Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts*

## COVER OF GEORGIAN MANUSCRIPT

The creators of the Georgian manuscripts had close contacts with Byzantine, Eastern, Armenian, European, Russian, and other scribing hearths, and were naturally familiar with the methods and tools established in those monasteries, meanwhile creating their own original specimens of cover. The two processes of a book clothing – sewing and attaching wooden boards – was one complete and combined work for Georgian monks working on the Sinai in the 10<sup>th</sup> century, that the Belgian scientist Berthe van Regemorter called “the Georgian sewing”.

Along with the scribes united in the craftsman groups at churches and monasteries joined together, there worked the cover masters (bookbinders), The terms “sheimosa”, “sheikazma”, “sheikra” are synonyms. They include the complete process of inserting the manuscript into

the cover. The term “sheimosa” is mainly used in the colophons from the 10<sup>th</sup>-12<sup>th</sup> century, the term “sheikazma” appears from the 13<sup>th</sup>-14<sup>th</sup> century, the term “sheikra” dates from the 14<sup>th</sup> century and continues until the 18<sup>th</sup> century. In most cases the manuscript was covered by the scribe.

The typological analysis of book binding techniques, wooden boards and leather decoration based on the systematization of the material, revealed three stages of the Georgian manuscript cover development: early (10<sup>th</sup>-16<sup>th</sup> centuries), transitional (17<sup>th</sup> c.), Late (18<sup>th</sup> c. -the 30-ies, 19<sup>th</sup> c.).

For the early (10<sup>th</sup>-16<sup>th</sup> cc.) period the following is characteristic: massive wooden boards, cut in straight on the edges of the manuscript sheets. Smooth spine, which is obtained by the technique of “grequage” (V-shaped cut or sawing up on the spine, where a thread is covered), so that there are no more relief areas of sewing visible on the spine. In the cover decor there are used both the linear stamping method, we mean the cover decorating with a stylized oriental equilateral cross, as well as the border stamps in the centre of the cover instead of the filler ones, and versa, which is one of the proofs of the early cover's.

We will distinguish the 17<sup>th</sup> century covers. In my opinion, they present a transition stage in the history of Georgian book covers between the early (10<sup>th</sup>-16<sup>th</sup> cc.) and late (18<sup>th</sup>-19<sup>th</sup> cc.) covers.

Following the involvement of the secular aristocracy in the creation of the manuscripts, there started a process of the silver chased covers. This process dates back to the 11<sup>th</sup> century. The silver chased cover of this era is preserved in the Shchukin Collection of the Russian Museum of History (Moscow). The manuscript is copied on the Black Mountain, in Lavra of Calypos. Unfortunately, the silver chased cover of the Alaverdi Four Gospel (A-484), funded by the Baghvasht Feudal house and copied in 1054 at the same monastic centre has not survived, but it is described in the colophon, enclosed to the manuscript dated in 1059. It was on the basis of this colophon that the manuscript of the 17<sup>th</sup> century was restored by the chief of Samegrelo-Odishi, Levan Dadiani, who inserted the four Gospel into a combined cover of leather and gilded silver (Fig. 4).

Unique the silver chased cover were created by the famous goldsmiths of the 12<sup>th</sup> century Beshken and Beka Opisaris. Chased covers are under Byzantine influence.

In general, gilt silver, gold and silver chased book-covers, adorned with precious stones not everyone would be able to finance or purchase it, because a book with a precious cover was always expensive.

Thus, covering a book is not a separate independent process, but it rather reflects the cultural and political reality in which the manuscript was created and updated.

## ბიბლიოგრაფია / BIBLIOGRAPHY

**მ. კარანაძე**, ქართული წიგნის ყდის ისტორია, თბილისი, 2002.

**მ. კარანაძე**, X საუკუნის კიდევ ერთი ხელნაწერის ყდა სინის მთის ქართულ ხელნაწერთა ახალი კოლექციიდან, „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, 22, თბილისი, 2007 გვ. 346-351.

**მ. კარანაძე**, „ქრისტე-პანტოკრატორის გამოსახულება XII-XIII სს. ქართული ხელნაწერი წიგნების ყდებზე“, ელენე მეტრეველი – 100, თბილისი, 2018, გვ. 123-131.

**ქართული ხელნაწერი წიგნი, V-XIX სს**, კარანაძე მ. შათირიშვილი ლ., ჩხიკვაძე ნ., აბულაძე თ. (მონაწილე), რედაქტორი ჩხიკვაძე ნ., ალბომი, მეორე გადამუშავებული გამოცემა. თბილისი, 2018.

**ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ქართული ხელნაწერების ჭედური ყდები**, ახვლედიანი ი., გვაზავა ა., დვალი თ., კარანაძე მ., პასერი მ., დაფინანსებულია საქართველოში აშშ-ის საელჩოს მიერ, თბილისი, 2015.

**B. Van Regemorter**, (1969). La reliure Byzantine. La reliure Byzantine. Revue Belge d'Archéologie et d' Histoire de' Art, vol. 36 (1967). Bruxelles. pp. 99-139.

**Georgian manuscript Book, 5<sup>th</sup>-19<sup>th</sup> centuries**, Karanadze M., Shatirishvili L., Chkhikvadze N., with participation Abuladze T.; Editor: Chkhikvadze N., Album, Second Revised Edition, Tbilisi, 2018.

**The Repousse Metal Covers of Georgian Manuscripts from the Collection of the National Centre of Manuscripts**, Akhvlediani I., Gvazava A., Gogonaia I., Dvalishvili T., Karanadze M., Passerri M. C., The second revisid edition, Funded by the U.S. Embassy in Georgia, Tbilisi, 2019.

## ია ახვლედიანი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### სპეკალეზი და სპეკალთა იმიტაციები ქართული ხელნაწერების ქედურ ყდებზე

ხელნაწერთა, განსაკუთრებით კი ლიტურგიკული დანიშნულების სახარებათა, ჩასმა ოქრო-ვერცხლისაგან დამზადებულ ქედურ ყდებში და განყოფილება ძვირფასი ქვებით – სპეკალეზით, ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ტრადიციაა. პირველი წერილობითი ცნობა მოთვალული ყდების შესახებ დაკავშირებულია ნეტარი იერონიმეს სახელთან (384 წ.). VI საუკუნიდან თვლებით შემკული ყდების გამოსახულებას ვხედავთ მოზაიკასა და ხელოვნების სხვა ნიმუშებზე, ასეთია VI საუკუნის ქრისტიკანტოკრატორის ენკაუსტიკური ხატი წმ. ეკატერინეს მონასტრიდან და იუსტინიანე I-ის ცნობილი მოზაიკა სან-ვიტალეს ბაზილიკიდან რავენაში (იტალია). თვლებით შემკული ყდებია გამოსახული მათე და მარკოზ მახარებლების მინიატიურებზე მარტივლის სახარებიდან (1050 წ.) და მინაქრის მედალიონებზე, რომელიც ამკობს ხახულის ხატს.

სპეკალეზის დანიშნულება არ იყო მხოლოდ სიმდიდრის დემონსტრირება. ძვირფასი ქვების ქრისტიანულ სიმბოლოებს საფუძვლად დაედო მათი ხსენება ბიბლიაში და კესარიის არქიეპისკოპოს ანდრეას (V საუკუნის ბოლო) თეოლოგიური კომენტარი ტრაქტატში „აპოკალიფსის განმარტებანი“, აგრეთვე, წმინდა ეპიფანე კვიპროსელის (IV საუკუნის ბოლო) ტრაქტატში 12 ქვის შესახებ მღვდელმთავარი აარონის სამკერდულზე. ეკლესიისათვის სპეკალეზი სულიერ თვისებებს განასახიერებს, ამით აიხსნება ძვირფასი ქვების სიმრავლე სახარების ყდებზე და სხვა საეკლესიო რელიქვიებზე.

აშშ-ის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა განახორციელა (ოქტომბერი, 2014 წ. – მაისი, 2015 წ.) პროექტი „უძველესი ქართული მოჭედილი ძეგლების დიაგნოსტიკა (XI-XIII საუკუნეების ქართული ხელნაწერები)“, რომელიც ითვალისწინებდა ცენტრში დაცული უძველესი ხელნაწერების ქედური ყდების ყოველმხრივ შესწავლას, მათი შემდგომი რესტავრაციის, კონსერვაციის, დაცვისა და პროპაგანდის მიზნით. პროექტის ნაწილი იყო მოთვალული ქედური ყდების გემოლოგიური კვლევა.

ამრიგად, მონაცემები XI-XIII საუკუნეების ქართულ ხელნაწერთა ქედური ყდების მორთულობაში გამოყენებული სპეკალეზის შესახებ, ემყარება საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული 18 ქედური ყდის გემოლოგიური შესწავლის შედეგებს. კვლევის პროცესში იდენტიფიკაცია ჩაუტარდა 919 თვალს.

ჭედურ ყდებზე სპეკალები ჩასმულია მეტალის ყრუ ბუდეში. თვლების ზურგის მხარე მიუწვდომელია დათვალიერებისათვის. როგორც ქვების ჩასმა, ასევე მათი ურთიერთგანლაგება და ზედაპირის მდგომარეობა გამოორიცხავს რეფრაქტომეტრის გამოყენებას. გამოორიცხულია აგრეთვე მუშაობა ხელსაწყოებით, რომლებსაც სჭირდება გამჭოლი დაპოლარებული სინათლე. ამიტომ ძირითადი ყურადღება უნდა დაეთმოს გარეგან იერსა და ჩანართებს. ეფექტურია ხელის სპექტროსკოპისა და თერმული ინერციის ტესტერის გამოყენება კომბინაციაში პროფესიულ UV ფლუორესცენტურ ნათურასთან, წითელი სპეკალების – რუბინის, შპინელისა და გრანატის (ალმანდინის) ერთმანეთისაგან გასარჩევად, აგრეთვე, მინების გამოსავლენად (სურ. 8).

მოჭედილ ყდებზე ბუნებრივ სპეკალებს შორის დადგენილია ამეთვისტო (ერთი შემთხვევა), ვარდისფერი შპინელი, რუბინი (წითელი იაგუნდი), ცისფერი საფირონი (ორი შემთხვევა), ვარდისფერი საფირონები, იასამნისფერი და იისფერი საფირონები ფერის ცვლის ეფექტით, ვარსკვლავიანი საფირონები და რუბინები, წითელი გრანატი – ალმანდინი (დადგენილია სპექტრის საფუძველზე და შემონმებულია XRF ხელის ანალიზატორით), მარჯანი, ფირუზი, სარდიონი, ცისფერი ქალცედონი, ზურმუხტი და ზურმუხტისებრი შეფერილობის მწვანე ბივრილები, ქრიზოლითი, მთის ბროლი, იოლითი (მანამდე იყო აღწერილი, როგორც ლურჯი საფირონი). ქვების უმეტესობას ჰქონდა ტიპური ადვილად საცნობი ჩანართები. ჩანართების საფუძველზე, საფირონების წყაროდ დასახელდა კუნძული ცეილონი, რუბინების წყაროდ – ცეილონი და ბირმა, ზურმუხტებისა და მწვანე ბივრილების – კოლუმბია.

ბევრი თვალი აღმოჩნდა სპეკალთა ცილი – ფერადი მინა ან უფერო მინა (ზოგჯერ მთის ბროლი) ფერადი „სარჩულით“. გასული საუკუნეების თვალთახედვით ლურჯი მინა ან ლურჯ სარჩულზე დასმული მთის ბროლი წარმოადგენდა საფირონის, ხოლო მწვანე სარჩულზე დასმული – ზურმუხტის ჩვეულ იმიტაციას, წითელი „სარჩულიანი“ ქვები – რუბინის ცილია.

ფირუზი წარმოდგენილია ყდებზე ყველაზე მრავალრიცხოვანი იმიტაციებით. ფირუზის იმიტაცია ხდება გაუმჭვირვალე ცისფერი მინით, კერამიკული მასებით, შეცხოების პროდუქტებით. 1872 წელს ეკატერინე ჭავჭავაძემ მოაჭედინა სახარება და შეამკო თვლებით, რომლებიც, ერთი შეხედვით, ჰგავს ფირუზს. გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ თვლები XIX საუკუნისათვის დამახასიათებელი ფირუზის იმიტაციაა – დაფხვნილი, გამოლექილი და წნევის ქვეშ დაპრესილი მასალა.

XVIII საუკუნეში ევროპელმა მინის მწარმოებლებმა აღმოაჩინეს, რომ ტყვიის ჟანგის დამატება აძლიერებს მინის ელვარებასა და დისპერსიას. ასეთ მინას, რომელსაც ალმასების შემცვლელებად იყენებდნენ, უწოდეს „სტრაზი“. ჭედურ ყდებზე – H-1689 (1799 წ.) და Q-895 (1826 წ.) – სტრაზებით განყობილია ფერწერული მინანქრის მედალიონები.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მინის სამი თვალი წყაროსთავის სახარებაზე – ორი ლურჯი კაბოშონი ზედა და ერთი მუქი მოყვითალო-მწვანე ფირფიტა ქვედა ფრთაზე. ვინაიდან, თუ თვლები ყდის თანადროულია, ეს ნიშნავს XII საუკუნეს და „ბიზანტიურ“ ეპოქას მინის ხარშვის ისტორიაში. „ბიზანტიური მინების“ შედგენილობა, როგორც წესი, განსაკუთრებული კვლევის საგანია.



მარგალიტს X-XII საუკუნეებში იყენებენ, როგორც საშუალებას, ხაზი გაუსვან ქვის ფერადონებას, რისთვისაც სპეკალს გარს აკრავენ წვრილი მარგალიტის ასხმების გვირგვინს. XVI-XVII საუკუნეებში მარგალიტი იმკვიდრებს დამოუკიდებელ ადგილს – მას ამაგრებენ სხვა ქვებს შორის პატარა სამჭკვალეობით ან სვამენ ლითონის ბუდეში.

მარგალიტის შემკულობა ნაწილობრივ შენარჩუნებულია ბერთას სახარებაზე, ალავერდის ოთხთავზე. დიდი ალბათობით, მარგალიტის ასხმების არსებობა იგულისხმება წყაროსთავის სახარებაზე: შემორჩენილია ასხმების მისამაგრებელი მარყუჟები; არსებობს წერილობითი ცნობა (მომგებლის ანდერძი) მარგალიტების დეკორის არსებობის შესახებ.

რამდენიმე ჭედური ყდა შეირჩა დაკარგული თვლებისა და ზოგიერთი თვალბუდის საცდელი ვირტუალური რეკონსტრუქციისათვის.

*Ia Akhvlediani*

*Georgian Technical University*

## **GEMSTONES AND THEIR IMITATIONS ON COVERS OF GEORGIAN MANUSCRIPTS**

Inserting manuscripts, especially liturgical Gospels, into the gold and silver cover and decorating with precious stones – is one of the ancient Christian tradition. The first written reference about covers decorated with gemstones associated with the name of the St. Jerome (384 A. D.). Beginning from the 6<sup>th</sup> century we find images of gemstone decorated covers at the mosaics and other artwork objects, such as the 6<sup>th</sup> century icon of Christ Pantocrator from Saint Catherine’s Monastery and Justinian I’s famous mosaic of San Vitali basil from Ravenna (Italy). Covers decorated with gemstones are shown at the miniature of Evangelists Matthew and Mark from Martvili Gospel (1050 B. C.) and enamel medallions from Khakhuli icon.

Gemston’s purpose was not to demonstrate the wealth only. Precious Stone’s Christian symbols based on their reference in the Bible and in theological comments of Andreas Archbishop of Caesarea (5<sup>th</sup> century), from his treatise “Apocalypse Definitions”, as well as St. Epiphanius of Cyprus (4<sup>th</sup> century) treatise about 12 gemstones of high priest Aaron’s breast-piece. Precious stones as symbols of the spiritual qualities explains why so many gemstones set on Gospel covers and other treasures of the Church.

By US Embassy financial support K. Kekelidze National Centre of Manuscripts carried out (October, 2014 – May, 2015) the project “Diagnostics of old Georgian engraved heritage (11<sup>th</sup>-13<sup>th</sup> cc. Georgian manuscripts)”. The aim of the project was diagnostic of covers of the Berta (Q-906), Tskarostavi (Q-907) and Tbeti (Q-929) Gospels and other Georgian manuscripts preserved at the National Centre of Manuscripts for its future conservation, protection and

popularization. Gemological research was part of this project. 18 repoussé covers were studied. 919 gemstones decorating them were identified.

Analysis of the gemstones was performed by portable gemological testing instruments. Gemstones used for decoration of manuscripts are usually mounted in closed settings, therefore the rear side is not available for inspection. Stones arrangement, as well as their surface condition eliminates the use of refractometer. The equipment, which need transmitted light is out of work. Therefore, the main attention should be paid to the external appearance and inclusions of gemstones. Effective was thermal inertia tester and hand spectroscope combined with professional UV fluorescent lamp for distinguish red gemstones – ruby, spinel and garnet (almandine), as well as to reveal the glass (Fig. 8).

Following natural gemstones were identified on the repousse covers: amethyst (1 case), pink spinel, ruby, blue sapphire (2 cases), pink sapphires, color change purple and violet sapphires, star sapphires and ruby, red garnet – almandine (almandine estimated by spectroscope and hand-held XRF analyzer), coral, turquoise, cornelian, blue chalcedony, emerald and green beryl, peridot, rock crystal, iolite (previously described as a blue sapphire). Most of the stones have easily recognizable typical inclusions. Some of them contain inclusions indicative of their origin: ruby from Ceylon and Burma; sapphire from Ceylon; emeralds and green beryls from Colombia mines.

A lot of gemstone imitations were used to decorate manuscript covers – colored glass or foiling colorless glass (sometimes rock crystal). Over the past centuries, blue glass or blue foiled glass imitate sapphire crystals, the green – emeralds, the red – ruby.

Turquoise has the most imitations. Imitation may be opaque turquoise blue glass, ceramic masses, sintering products. In 1872 Ekaterine Chavchavadze covered gospel and adorned with gems, which at first glance looks like turquoise. Our study shows turquoise imitation popular in the 19<sup>th</sup> century – crumbled, deposited and pressed under pressure material.

18<sup>th</sup> century European glass manufacturers have found that lead oxide additive strengthens glass shine and dispersion. The glass, which is used to imitate the diamond, called “rhinstones”. Repoussé covers H-1689 (1799), Q-895 (1826) decorated with painted enamel medallions surrounded by rhinstones.

Of special note are three glass studs on Tskarostavi Four Gospels – two blue cabochones on the top and one dark yellowish-green plate on the lower wing. Because it means the 12<sup>th</sup> century and the “Byzantine” epoch in the history of glass melting. Composition of “Byzantine glasses” should be particular study subjects.

Pearls in 10<sup>th</sup>-12<sup>th</sup> centuries used to highlight the colorfulness of the gemstone and they only surrounded gemstones. In 16<sup>th</sup>-17<sup>th</sup> centuries pearl occupies an independent seat – set by small nail or in metal casing.

Pearl decoration partially maintained on Berta Gospel and Alaverdi Four Gospels. With high probability strings of pearls decorated Tskarostavi Four Gospels (Q-907): eyelets for fixing strings survive. There is a written notice about the existence of pearl décor.

Some of Four Gospels were selected as samples for experimental virtual reconstruction of lost gemstones and missing gem settings.

## ბიბლიოგრაფია / BIBLIOGRAPHY

ქართული ხელნაწერების ქედური ყდები, ახვლედიანი ი., გოგონაია ი., გვაზავა ა., დვალისვილი თ., კარანაძე მ., პასერი ქ., კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2015.


ქართული ხელნაწერი წიგნი, V-XIX სს, კარანაძე მ., შათირიშვილი ლ., ჩხიკვაძე ნ., აბულაძე თ., V-XIX საუკუნეები, ალბომი, მეორე გადამუშავებული გამოცემა. თბილისი, 2018.

შატბერდის კრებული, „თვალთაი“, თბილისი, 1979.

M. H. Williams, *The Monk and the Book: Jerome and the Making of Christian Scholarship*, (Chicago: The University of Chicago Press, 2006).

**The Repousse Metal covers of Georgian Manuscripts from the Collection of the National Centre of Manuscripts**, Akhvlediani I., Gvazava A., Gogonaia I., Dvalishvili T., Karanadze M., Passerri M. C., The second revisid edition, Funded by the U.S. Embassy in Georgia, Tbilisi, 2019.

Ю. А. Федоров, Символика камня в церковном ювелирном искусстве. Jewelry Garden (Ювелирный Сад), №4/2005 г.



სურ. 8. ულტრაიისფერი განათების გამოყენება რუბინების (მარცხენა ორი რიგი) და მინების (მარჯვენა რიგი) იდენტიფიცირებისათვის.

Fig. 8. Use of UV lamp for identification of rubies (two left columns) and glasses (right column).

## დარეჯან გოგაშვილი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი

### ქართული ხელნაწერი ნიშნის საწერი მასალა და საშუალებები

ქართული სამნიგნობრო ისტორია, ზოგადად, ითვალისწინებს წერილობითი ძეგლების წარმოშობასა და განვითარებას, საწერი მასალისა და იარაღის რაობას, მისი დამზადების წესების და ხელნაწერების შექმნის პროცესის ამსახველი პალეოგრაფიული ტერმინების შესწავლას. ქართული წერილობითი ძეგლებისთვის სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე განსხვავებული სახის საწერი მასალა გამოიყენებოდა (ქვა, ხე, პაპირუსი, ეტრატი, ქალაღი და სხვა). საწერი იარაღის რაობას საწერი მასალის ბუნება განსაზღვრავდა, იცვლებოდა საწერი მასალა – იცვლებოდა საწერი იარაღი.

სამნიგნობრო ხელოვნებაში გამოყენებულ საწერ მასალას პაპირუსის, ცხოველის, ძირითადად ცხვრის, თხის ან ხბოს ტყავისა და ბოჭკოვანი მცენარეებიდან (სელი / inium usitatissim, კანაფი/Cannobis sativa, ქალაღის თუთა/Broussonetia papyferia, თეთრი რამი/oehmeria nivea და სხვა) ამზადებდნენ. პაპირუსი (მისი ქართული შესატყვისია „ჭილი“) საწერ მასალად გამოყენებული არ ყოფილა. დღეისათვის ცნობილია მასზე შესრულებული მხოლოდ ორი ქართული ხელნაწერი და ორივე პალესტინური წარმოშობისაა (საგალობელთა კრებული, ე. წ. „ჭილ-ეტრატის იადგარი“ (IX ს.) და ფსალმუნი (IX-X ს.).

ცხოველის – ძირითადად, ცხვრის, თხისა ან ხბოს ტყავისაგან დამზადებულ საწერი მასალის – პერგამენტის ქართული შესატყვისია „ეტრატი“, იგი ქართულ წერილობით ძეგლებში X საუკუნიდან დასტურდება, მასზე შესრულებული უძველესი ქართული ხელნაწერები – ხანმეტი პალიმფსესტები V-VIII საუკუნეებით თარიღდება. საქართველოში ეტრატს შემდეგი წესით ამზადებდნენ: ცხოველის ტყავს აცლიდნენ ბენჯის (ეპიდერმისი) და ხორცის (ჰიპოდერმისი) ფენას, რეცხავდნენ და სველს ჭიმავდნენ ხის ჩარჩოზე, შრობის პროცესში ამუშავებდნენ მრგვალპირიანი დანითა და პემზით ერთგვაროვანი გლუვი ზედაპირის მიღებამდე. ზედაპირის დასამუშავებლად, სავარაუდოდ, იყენებდნენ ცარცს, კვერცხის ცილასა და სელის ზეთს. დამზადების ასეთი წესი ცნობილი იყო საქართველოში ეტრატის, როგორც საწერი მასალის, გამოყენების დროიდან და საუკუნეების მანძილზე არ შეცვლილა. ეტრატის დამზადებას „შექმნა ეტრატისა“ (XIV ს.) ერქვა. პირს, რომელიც ეტრატს ამზადებდა – „ეტრატის შექმნელი“ (XIII ს.), ეტრატის ზედაპირის საბოლოო დამუშავებას კი ტერმინი „შეკაზმვა“/„კაზმვა“ (XIII ს.) აღნიშნავდა.

X საუკუნიდან ხმარებაში შემოდის ქალაღი და თანდათანობით ცვლის ეტრატს, მის აღმნიშვნელ ტერმინად ქართულში „ქალაღი“ (XI ს, XII-XIII სს, XIII ს, XVI ს.),

„ქალაღდი“ (XIII ს, XIII-XIV სს, XIV ს.) გვხვდება. ჩვენამდე მოღწეული უძველესი ქალაღდზე ნანერი ქართული ხელნაწერები ქრისტიანული აღმოსავლეთისა და ტაო-კლარჯეთის სამონასტრო ცენტრებშია გადაწერილი. დღეისათვის ცნობილია, რომ ქალაღდი ადგილობრივი წარმოების არ იყო, შემოჰქონდათ ნახევარფაბრიკატი, ანუ ხამი ქალაღდის სახით, ხოლო საბოლოო დამუშავება, საწერ მასალად მომზადება – „გახამება“, „გალესვა“ ადგილობრივ, გადამწერის ან მისი დამხმარე პირის მიერ სრულდებოდა. XI ს, XVI ს, XVIII ს. ხელნაწერებში დაცული მონაცემების მიხედვით, საქართველოში ქალაღდს ძირითადად სახამებლით ახამებდნენ, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ სახამებელი იყო ერთადერთი გასახამებელი ნივთიერება. გახამებულ ქალაღდს დებდნენ სალეს ფიცარზე და ლესავდნენ გლუვი, მაგარი საგნით. სალესად, სავარაუდოდ, რომელიმე ცხოველის დიდ კბილს – „გორანგოს“ ანუ „ლორის კბილი, ზედეთი ღოჯის სალესავს“ იყენებდნენ. ასეთი წესით დამზადებული ქალაღდი ხამი შრისაგან შედგება: აქედან ორი გარეთა (ზედა და ქვედა ზედაპირი) გახამებული და გალესილია, ხოლო მათ შუა მოთავსებული ფენა – გაუხამებელი.

ისეთ საწერ მასალაზე, როგორც იყო ეტრატი და ქალაღდი, ტექსტი კალმითა და მელნით იწერებოდა. მის აღმნიშვნელ ტერმინად ქართულში „მელანი“ (X-XI სს), „შავი“ (X ს.), „შემგბარი“ (XI ს., XII ს.) და „ნამალი“ (X ს., XI ს., XII ს., XV-XVI სს.) იხმარებოდა. ქართულ ხელნაწერებში გამოყენებული მელნის ერთ-ერთ ძირითად სახეობას რკინა-გალური მელანი წარმოადგენს.

მელნის დასამზადებლად გამოიყენებოდა მთრიმლავი ნივთიერების შემცველი მცენარის (სამელნე გალები/გუნდა) ექსტრაქტი, რკინის სულფატი (არჯასპი/ძალა/შავი კუპაროსი) და შემკვრელი ნივთიერება (გუმარაბიკი/სამყე, შაქარი) (სურ. 9).

მელნის ხარისხს, შეფერილობას და მდგრადობას განაპირობებდა სანყისი კომპონენტების სისუფთავე, კონცენტრაცია და მისი დამზადებისთვის საჭირო პირობების ზუსტი დაცვა.

მდიდრულად შემკული ხელნაწერი წიგნის შექმნისას თითქმის ყოველთვის გამოიყენებოდა ოქრო. ოქროსაგან ამზადებდნენ სამწიგნობრო ხელოვნებაში ფართოდ გამოყენებულ ფურცლოვან ოქროს და ოქრომელანს. ფურცლოვანი ოქროსა და ოქრომელნის გარდა, როგორც მინიატიურულ მხატვრობაში, ასევე ცალკეული განსაზღვრული ადგილების გამოსაყოფად გამოიყენებოდა ფერადი საწერ-საღებავები – ნითელი, ლურჯი, მწვანე და სხვა.

ნითელი ფერის სახელწოდებებად გვხვდება: „ნითელი“ (X ს., XI ს., XII-XIII ს.), „ზანდუკი“ (X ს., X-XI ს., XII-XIII ს.) „კინაბარი“ (X ს.), „სინგური“ (X ს., XI ს., XVII ს., XVII-XVIII ს., XVIII ს.), „სურინჯი“ (XI ს., XIII ს., XVIII ს.). მწვანე ფერის აღმნიშვნელ ტერმინად – „ჟანგარო“ (XI ს., XIII ს., XVIII ს.), „ნითელი“, „ზანდუკი“, „წერნაქი/წარნაქი“ ზოგადად ნითელი ფერის აღმნიშვნელი ტერმინებია. სინგური, HgS, სულფიდების კლასის მინერალია, წარმოადგენს ვერცხლისწყლისა და გოგირდის ნაერთს. სურინჯი, Pb<sub>3</sub>O<sub>4</sub>, ხელოვნურად მიღებული ტყვიის ოქსიდია. ჟანგარო, ასევე ხელოვნურად მიღებული ძმარმყავა სპილენძის მარილია.

## WRITING MATERIALS AND MEANS FOR CREATING GEORGIAN MANUSCRIPT

Common writing material was made from papyrus, animal skin – basically from sheepskin, goatskin, or calfskin and paper. Papyrus in Georgian is known as “Tchili” [ჭილი] It was not used in Georgia as writing material. There are only two Georgian manuscripts and both of them have a Palestinian origin: the Collection of Songs (9<sup>th</sup> century) and the Psalm (9<sup>th</sup>-10<sup>th</sup> centuries). The Collection of Songs is in the form of a Codex in three volumes and contains alternating sheets of papyrus (194 p) and parchment (129 p). Palimpsests, ancient Georgian manuscripts written on parchment, are dated by 5<sup>th</sup>-8<sup>th</sup> centuries. The ancient Georgian manuscripts executed on paper in Georgia are dated to the 10<sup>th</sup>-12<sup>th</sup> centuries.

Essence of writing material (papyrus, parchment, papier) the method of their preparation and use, technical and technological processes are discussed in the lecture. The method of codex and roll purveyance is discussed in details. Attention is paid to the moments of parchment and its preparation as writing material. Certain expressions are explained: “*sheqmnai etratsai*” [შექმნაჲ ეტრატისაჲ] (parchment creation), “*shekazmva*” [შეკაზმვა/კაზმვა] (preparing), “*oqros geri*” [ოქროს ღერი] (golden stem), “*wigni tkavisai*” [წიგნი ტყავისაჲ] (book of skin), etc. Text was written with pen and ink on materials such as papyrus, parchment and paper. Main text of the manuscript is written with dark black or brown ink. Types of ink are discussed in the lecture – Iron Gall Ink, Carbon Black. Iron Gall Ink, also known as oak gall ink is made from four main ingredients: oak gall (source of tannin extracted from oak galls), iron sulfate (source of iron), water (solvent), gum Arabic (binding agent). Georgian written sources of the 11<sup>th</sup>-16<sup>th</sup> and 18<sup>th</sup>-20<sup>th</sup> centuries contain important information referring to the preparation and use of iron-gall ink.

According to the given materials the following components were used in the making of the ink: plant substance containing tannin: “*gunda*” [გუნდა] (gall nut), “*samelne kaklebi*” [სამელნე კაკლები] (ink walnuts) “*sagebavi muxis kakra*” [სალეზავი მუხის კაკრა] (oak gall); iron sulfate: “*arjaspi*” [არჯასპი], “*shavi kuparosi*”, “*dzaga*” [შავი კუპაროსი//ძაღა] (vitriol, iron (II) sulfate); vegetable gum obtained from the Acacia trees “*samkhe*” [სამყე] (gum Arabic) or “*khinvar shaqari*” [ყინვარ შაქარი] (sugar candy) which was used instead of gum Arabic, and solvent such as water, red wine or beer. Terms used for ink were: “*melani*” [მელანი] (ink), “*shavi*” [შავი] (black), “*shemgbari*” [შემგბარი] (boiled) and “*tsamali*” [წამალი] (medicine) (Fig. 9).

Gold was almost always used while creating the richly illuminated manuscripts. Gold leaf and gold ink were made from gold, which were used for writing capital letters, titles and beginnings of the texts. In some cases, certain parts of text, background in decorative art of the book, ornamental details and etc. were also illuminated with gold. Methods how to prepare and use gold-ink and appropriate terminology are discussed in the lecture: “*oquomala-*

ni”[ოქრომელანი] (gold ink), “oqros melani”[ოქროს მელანი] (golden ink), “oqro” [ოქრო] (gold), “oqrowyali” [ოქროწყალი] (golden water), “oqrofurceli/oqropetalo” [ოქროფურცელი/ოქროპეტალი] (golden leaf), “galesva/gaeshveba” [გალესვა/გაეშვება] (sharpening//plastering)“ and etc.

Along with gold leaf and gold ink, colored writing dyes (red, blue, green) were used to distinguish certain special places. They were also used in miniature art. Methods on how to prepare and use colored ink are discussed in the lecture. Attention is paid to the terms: “tsiteli” [წითელი] (red), “tsiteli melani” [წითელი მელანი] (red ink), “kinobari/singuri” [კინაბარი/სინგური] (cinnabar/vermilion), “surinji” [სურინჯი] (minium/red lead) “sandareki” [სანდარაკი] (sandaraca), “jangaro” [ჯანგარო] (verdigris) etc.

## ბიბლიოგრაფია / BIBLIOGRAPHY

დ. გოგაშვილი, ეტრატი – სანერი მასალა და მისი დამზადების წესი, მრავალთავი, XX, თბ., 2003.

დ. გოგაშვილი, ქალაქი და მისი მომზადება სანერ მასალად, მრავალთავი, XXI, თბ., 2005. <http://ka.georgica.ac.ge/>

ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, თბ., 1973.

ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი IX, ქართული დამწერლობათმცოდნეობა, ანუ პალეოგრაფია, თბ. 1996.

მ. სურგულაძე, ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები, თბ., 1978.

რ. პატარიძე, ქალაქის დამუშავების საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში, პალეოგრაფიული ძიებანი 1, თბ., 1965 წ.

M. Zerdoun Bat-Yehouda, Les encres noires au moyen age, Paris, 1883.

R. Fuchs, Der Tintenfrass Historischer Tinten und Tuschen – ein Komplexes, nie enden wollendes Problem, Tintenfrasshaden und ihre Behandlung, Herausgegeben von Gerhard Banik und Hartmut Weber, Verlag W. Kohlhammer, Stuttgart, 1999.



სურ. 9. გალები იგივე მუხის დანამატები, ანუ სამელნე კაკლები (გუნდა); გუმბარაბიკი (სამყე), მყარი გუმფისური ნივთიერება; სინგური, მინერალისაგან მიღებული პიგმენტი ©დარეჯან გოგაშვილი

Fig. 9. “samelne kaklebi” [სამელნე კაკლები] (ink walnuts) “sagebavi muxis kakra” [საღებავი მუხის კაკრა] (oak gall); Vegetable gum “samkhe” [გუმბარაბიკი (სამყე)]; “kinobari/singuri” [კინაბარი/სინგური] (cinnabar/vermilion)

©Darejan Gogashvili

## ნინო ქავთარია

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

### მინიატიურა და დეკორი ქართულ ხელნაწერებში

შუა საუკუნეების ქართულ ხელნაწერებსა და ილუსტრირებულ კოდექსებში ჩართული მინიატიურები და დეკორის ელემენტები თანამედროვე ეპოქაშიც, როცა წიგნები მასობრივად იბეჭდება და იყიდება, გვხვბლავს გამორჩეული ხასიათით.

ქართული ხელნაწერი წიგნის ხელოვნება მსოფლიო კულტურის განუყოფელი ნაწილია. ევროპული და აღმოსავლური ტრადიციების გზაგასაყარზე შექმნილი ხელნაწერები მხატვრული განვითარების უნიკალურ ხასიათს წარმოგვიდგენს. ქართული წერილობითი და მხატვრული კულტურის შესწავლისადმი გაზრდილმა ინტერესმა განაპირობა ქართული წიგნის ხელოვნების მემკვიდრეობის შესწავლა და წარმოჩენა აღმოსავლეთ ქრისტიანული, ადრეული ქრისტიანული, ბიზანტიური, ისლამური და დასავლეთევროპული ტრადიციების კონტექსტში.

ჩვენი ლექცია ეძღვნება ქართული სკრიპტორიუმების საქმიანობის წარმოდგენას, მათ როლის ჩვენებას ცოდნისა და მხატვრული ტრადიციების გადაცემაში და მინიატიურული მხატვრობის სკოლების განვითარებას IX-XVIII საუკუნეებში.

ქართული მინიატიურული მხატვრობის ისტორიაში ჩვენ შეგვიძლია განვასხვაოთ მხატვრული ცენტრები, რომლებიც, ერთი მხრივ, დაკავშირებულნი არიან ადგილობრივ ტრადიციასთან, და მეორე მხრივ, შემოტანილ გავლენებთან. IX-XVIII საუკუნეებში ქართული წიგნის მხატვრობის რამდენიმე ძლიერი ცენტრი ჩამოყალიბდა და განვითარდა.

ლექცია მოიცავს რამდენიმე ძირითად თემას ქართული მინიატიურული ხელოვნებისა და წიგნის დეკორის შესახებ:

- პირველი ილუსტრირებული ქართული ხელნაწერები ტაო-კლარჯეთის სკრიპტორიუმს უკავშირდება. შატბერდის მონასტერში გადაწერილი და დასურათებული ეს ხელნაწერები ასახავს განსხვავებულ მიდგომასა და ავლენს ძველი მხატვრული ტრადიციების არსებობას (ელინისტურს, გვიანანტიკურს).

თანდათან ოსტატებმა დაიწყეს სინგურის გამოყენება და ასოებმა დეკორატიული ხასიათი შეიძინა; ილუსტრირებულ ხელნაწერებს შორის სპეციფიკური დეკორით ოთხთავები გამოიჩინა. დეკორის ზოგიერთი ელემენტის ადგილმდებარეობა ტექსტის შინაარსზეა დამოკიდებული, ამიტომ ორნამენტული რეპერტუარის განაწილების თანმიმდევრობა სახარებაში ყოველთვის დაზუსტებულია. გამორჩეულ ადგილს იკავებს მხატვრულად გაფორმებული საზედაო ასოები (ინიციალები). X საუკუნემდე



საზედაო ასოების კონტურები არ გამოირჩეოდა ტექსტისაგან: ისინი ტექსტის მეღ-  
ნით იყო შესრულებული, ოღონდაც შედარებით დიდი ზომით გამოირჩეოდა. საზედ-  
აო ასოების სტილიზაცია პირველად IX საუკუნეში მოხდა. საინტერესოა ისიც, რომ  
ადრეულმა ქართულმა ხელნაწერებმა აჩვენა სირიული წიგნის ხელოვნების გავლენ-  
ა, რაც გამოვლინდა კამარებისა და დეკორის ცალკეული ელემენტების ხასიათში,  
მახარებელთა პორტრეტების იკონოგრაფიაში, ჯვრის ფორმებსა და ტექსტში მათი  
განაწილების მეთოდებში.

- XI საუკუნის წიგნის მხატვრობა; წიგნის მხატვრობის ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბება; ამ პერიოდის წამყვანი მიმართულებების დახასიათება. ქართული წიგნის გაფორმების მხატვრული სკოლების მიმოხილვა XI საუკუნეში: ადგილობრივი, ტაო-კლარჯეთის სკოლა, შავი მთის (ანტიოქია) ქართული სკრიპტორიუმი, ქართული მნიგნობრული ცენტრი ათონსა და კონსტანტინოპოლში.

- XII-XIII საუკუნეების მინიატიურული მხატვრობა; ძირითადი სტილისტური ტენ-  
დენციები და გავლენები; გელათისა და ჯრუჭი II ოთხთავების მხატვრული მახასი-  
ათებლები.

- მოქვის ოთხთავის ილუსტრაციები; ახალი სტილისტური და იკონოგრაფიული მიმართულება. პალეოლოგოსური ტენდენციები ქართულ ნიადაგზე.

- XIII-XVI საუკუნეების ფსალმუნების დასურათება: იკონოგრაფია, ძირითადი მიმართულებები და გავლენები.

- ათაბაგის კარის სკრიპტორიუმი.

- XVI-XVIII საუკუნეების საერო მინიატიურა; ისლამური გავლენა.

- გვიანი შუასაუკუნეების ქართული წიგნის მინიატიურა და დეკორი.

*Nino Kavtaria*

*Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts*

## MINIATURES AND DÉCOR IN GEORGIAN MANUSCRIPTS

Miniatures and decor in Medieval Georgian manuscripts and illuminated codices of the Middle Ages in general, still exert a huge fascination upon us – even in a time when books are produced, marketed and used like industrial products.

Georgian Book art is an integral part of the world cultural history. Created on the cross-roads of the European and the Oriental interactions it represents the unique character of its artistic development.

The increased interest for the studying of the Georgian written and visual culture gave rise to investigate Georgian book art heritage in the context of East-Christian, Early Christian and Byzantine traditions.

Our lecture is dedicated to survey the artistic activities of the Georgian scriptoria of all over the Christian world, their role in the transmission of knowledge and artistic traditions and development of the schools of the miniature painting during the 9<sup>th</sup>-18<sup>th</sup> centuries.

In the history of Georgian Book illumination we can distinguish the artistic centres, which are connected with local tradition on one hand, and the strong Byzantine influence is felt on the other, as well as East Christian artistic traditions. In the 9<sup>th</sup>-18<sup>th</sup> centuries several centres of Georgian Book illumination were flourished.

The lecture consists of several general topics on the Art of miniature and décor:

- First illustrated Georgian manuscript is connected with the Tao-Klarjeti scriptoria of the 9<sup>th</sup> century. Copied and illustrated at Shatberdi monastery these manuscripts show the different approach to the illumination and reveal an existence of old artistic tradition (Hellenistic, Late antique).

Eventually, the scribes began to use the cinnabar and the letters became decorative bearing some elements of ornamentation. Among the decorated manuscripts the gospels stand out by their specific ornamentations. Location of some elements of décor depend on the contest of the text, therefore the succession of distribution in the ornamentation of the gospels is almost fixed.

In case of artistic decoration capital letters (Initials) occupy an important position. Till 10<sup>th</sup> century contours of capital letters looked like the text letters: they were written by ink, only a bit larger. Stylization of the capital letter at first took place in the 9<sup>th</sup> century.

Early Georgian illuminated manuscripts manifested an impact of Syriac book art. Influences of Syriac artistic traditions are reflected in the forms and decorations of the Canon tables, in the iconography of the portraits of Evangelists and in the forms and the methods of distribution of the Crosses in the text of Georgian Gospel-books.

- Book illumination of 11<sup>th</sup> century. Establishment of principal characters of Book illustration. Leading directions of this period. Artistic Schools of Georgian Book illustration of 11<sup>th</sup> century: local, Tao-Klarjeti school, Georgian scriptoria of Black Mountain (Antioch), Georgian scriptorium in Constantinople, on Mounth Athos and etc. Iconographical features. Influences;

- 12<sup>th</sup>-13<sup>th</sup> century miniature painting. Main Stylistic tendencies and influences. Gelati and Jruchi Four Gospels.

- Mokvi Four Gospels illustrations. New stylistic and iconographical trends. Palaeologian inclinations on Georgian background.

- Psalter illustrations of 13<sup>th</sup>-16<sup>th</sup> centuries; iconography, principle tendencies and influences.

- Atabag Court scriptorium;

- Georgian secular manuscripts of 16<sup>th</sup>-18<sup>th</sup> centuries. Islamic influences.

- Georgian miniature and décor of the Late Medieval period.

## **ბიბლიოგრაფია / BIBLIOGRAPHY**

ე. მაჭავარიანი, ქართული ხელნაწერები. დამწერლობისა და შემკულობის საკითხები, თბილისი, 2012. [E. Machavariani, Georgian Manuscripts. Issues on alphabet and decoration, Tbilisi, 2012].

ე. მაჭავარიანი, წიგნის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბილისი, 2008. [E. Machavariani, Decoration of Manuscripts in Ancient Georgia, Tbilisi, 2008].

## **დალი ჩიტუნაშვილი**

*კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს  
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

### **ქართული პალიმფსესტები**

ქართული პალიმფსესტებისადმი ინტერესი XX საუკუნის 20-იანი წლებიდან ჩნდება. მათი შესწავლის ისტორია ივანე ჯავახიშვილის სახელთან არის დაკავშირებული. მკვლევარი ქართულ პალიმფსესტებთან ოქსფორდის პალიმფსესტმა მიიყვანა, რომელიც მას ქართული ტექსტის გასარკვევად ცნობილმა ებრაისტმა, პავლე კოკოვცოვმა მიანოდა. ეს იყო ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკის ქართულ-ებრაული პალიმფსესტის ერთი ფურცლის ფოტოასლი. ებრაული ტექსტი იერუსალიმური თალმუდის ფრაგმენტს წარმოადგენდა და XI საუკუნით თარიღდებოდა (პ. კოკოვცოვი), პალიმფსესტის ქართული ტექსტი კი გაცილებით ძველი ნიშნების მატარებელი ჩანდა.

პალიმფსესტის დათარიღებისას ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება მიაქცია **ღ ჳ დ** **ღ ჳ** გრაფემათა მოხაზულობას, რომლებიც ხელნაწერში, უძველესი (V-VII სს.) ეპიგრაფიკული ძეგლების მსგავსად, თავშეკრულად იყო დანერილი. ამრიგად, ნათელი გახდა, რომ ოქსფორდ-კემბრიჯის პალიმფსესტის სახით მეცნიერების წინაშე იყო ქართული დამწერლობისა და ენის უძველესი ძეგლი.

სწორედ ამ აღმოჩენას მოჰყვა ქართულ ხელნაწერთა კოლექციების რევიზია. მაშინდელი საეკლესიო მუზეუმისა და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ხელნაწერთა კოლექციებში გამოვლინდა რამდენიმე ქართული პალიმფსესტური ხელნაწერი.

XX საუკუნის 60-იან წლებში ილია აბულაძის ინიციატივით მოეწყო ქართულ ხელნაწერთა ხელახალი რევიზია, პალიმფსესტური ხელნაწერების გამოვლენის მიზნით.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართულ ხელნაწერთა ფონდში ქართული პალიმფსესტების ყველაზე დიდი რაოდენობა – 5000-მდე პალიმფსესტური ფურცელია დაცული.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გარდა, ქართული პალიმფსესტები დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში, ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმსა და სვანეთის სახელმწიფო ეთნოგრაფიულ მუზეუმში. სვანეთში, სოფელ ლახამულას ეკლესიაში, ინახება ოთხთავი, რომელიც „ლახამულას ოთხთავის“ სახელწოდებით არის ცნობილი. ხელნაწერი მთლიანად პალიმფსესტია. ქართული პალიმფსესტები დიდი რაოდენობით არის დაცული უცხოეთის სიძველეთსაცავებში: ეგვიპტეში, სინას მთაზე, წმიდა ეკატერინეს სახელობის მონასტერში, იერუსალიმში, ათონის მთაზე,

პეტერბურგის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში, ავსტრიის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში და სხვ.

პალიმფსესტებზე მუშაობამ დაადასტურა, რომ შუა საუკუნეების მწიგნობრების მიერ იფხიკებოდა და ირეცხებოდა ისეთი ტექსტების შემცველი ხელნაწერები, რომლებიც აღარ შეესაბამებოდა ახალ ლიტურგიკულ ტრადიციას თუ ლიტერატურულ გემოვნებას. ამიტომაც პალიმფსესტებში, უმეტესწილად, ვხვდებით იერუსალიმური ღვთისმსახურების ამსახველ უმნიშვნელოვანეს ტექსტებს, ასევე, უძველესი ჰიმნოგრაფიული კრებულის – იადგარის ტექსტებიც.

პალიმფსესტებში გვხვდება ფსალმუნის შემცველი პალიმფსესტური ხელნაწერები. როგორც ჩანს, ფსალმუნთა ძველი თარგმანები ხშირად აღარ აკმაყოფილებდა გვიანდელი მკითხველის გემოვნებას, მას შლიდნენ და ზევიდან ახალ ტექსტს აწერდნენ.

ძველი ქართული მწერლობით დაინტერესებული მკითხველისათვის განსაკუთრებით საინტერესო იქნება პალიმფსესტებში დაცული ჰომილეტიკური და ჰაგიოგრაფიული ტექსტები.

პალიმფსესტებზე მუშაობამ გამოავლინა ე. წ. ორმაგი პალიმფსესტები, როდესაც ხელნაწერში ნაწერის სამი ფენა დასტურდება.

პალიმფსესტების შესწავლა განსაკუთრებულ მასალას იძლევა ქართული დამწერლობის განვითარების ისტორიით დაინტერესებული მკვლევრებისათვის. პალიმფსესტურ ხელნაწერებში ხშირად წარმოდგენილია ისეთი გრაფიკა, რომელიც არ დასტურდება ჩვეულებრივ ქართულ ხელნაწერებში.

ლექციაზე განხილული იყო ქართული პალიმფსესტების გაშიფვრასთან, იდენტიფიკაციასა და დათარიღებასთან დაკავშირებული პრობლემები.

*Dali Chitunashvili*

*Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts*

## GEORGIAN PALIMPSEST

The study of the Georgian palimpsests was initiated in 1920s, and was closely associated with Georgian historian Ivane Javakhishvili when Pavel Kokovtsov, an acclaimed Hebraist, sent to Javakhishvili a photo copy of the single folio of the Georgian-Hebrew palimpsest kept at the Bodleian Library of the University of Oxford. Kokovtsov identified the Hebrew text as a fragment of the Jerusalem Talmud, and dated it to the 11<sup>th</sup> century, however it was also obvious that the Georgian text contained even more ancient linguistic features.

While attempting to date the palimpsest, Javakhishvili paid attention to the outlines of the graphemes b (b) J (Ž) K (w) y (q') S (ō). All were written with closed loops, similarly to late antique Georgian epigraphic inscriptions (5<sup>th</sup>-7<sup>th</sup> centuries). Thus, it became clear that the palimpsest fragments kept at the Universities of Oxford and Cambridge were some of the oldest samples of the Georgian script and written language.

The discovery triggered a methodological revision of Georgian manuscript collections and a renewed quest for palimpsests.

In 1960s, Ilia Abuladze initiated a revision of Georgian manuscripts for the purpose of revealing hitherto unknown palimpsests. The largest number of Georgian palimpsests – up to 5000 folia – is kept in the Georgian Manuscript Collections of the National Centre of Manuscripts.

Along with the National Centre of Manuscripts, Georgian palimpsests can be found at the National Archives of Georgia, Niko Berdzenishvili Kutaisi State History Museum, Svaneti Historical-Ethnographic Museum. The famous Lakhamula Gospel, in which all folia are palimpsests, is kept in one of the churches in Svaneti.

Georgian palimpsests are also kept in archives across the world. One of the most important collections palimpsests with Georgian undertexts, with ten manuscripts, is preserved at St. Catherine's Monastery on Mount Sinai. It is also highly likely that the Greek Patriarchal Library of Jerusalem owns further yet unidentified palimpsests. Four manuscripts containing palimpsests are kept in the collection of Georgian manuscripts of the Iviron Monastery on Mount Athos, one manuscript containing fragments of the *Xanmeti Homiliary* is kept at the National Library of St Petersburg in Russia; four Georgian palimpsests are preserved at the Institute of Oriental Studies of the Russian Academy of Sciences etc.

It has become increasingly obvious that the reason for washing off manuscripts was the redundancy of early liturgical texts or traditions. Consequently, some of the most significant texts reflecting the Jerusalem liturgical practice are mainly found in palimpsests. From the point of view of the content, following texts are most widely represented in Georgian palimpsests: *Jerusalem Lectionary* and *Iadgari*.

The third most common texts that we encounter in the palimpsests are Psalms. In all appearance, later readers found the earlier translations of Psalms unsatisfactory, thus the parchment was washed off and reused for new texts.

The homiletic and hagiographic texts preserved in palimpsests will be of particular interest to readers interested in ancient Georgian literature. Several Georgian palimpsests were identified as a Double palimpsests – with three layers of writing. A study of palimpsests is particularly productive for scholars of Georgian paleography. Very often, the palimpsests are written in unusually shaped letters.

The lecture discussed the problems associated with decipherment, identification and dating of Georgian palimpsests.

## ბიბლიოგრაფია / BIBLIOGRAPHY

აკ. შანიძე, „ხანმეტი მრავალთავი“, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე 7 (1927): 98-159. [Shanidze A., “Xanmeti Mravaltavi”, *Tbilisi University Moambe* 7 (1927): 98-159].

აკ. შანიძე, „ჰამეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის“, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე 3 (1923): 354-388. [Shanidze A., “Haemeti Texts and their Importance for the History of Georgian Language”, *Tbilisi University Moambe* 3 (1923): 354-388].

ივ. ჯავახიშვილი, „ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის“, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე 2 (1922): 313-391. [Javakhishvili I., “Newly Discovered Ancient Georgian Manuscripts and their Importance for the Science”, *Tbilisi University Moambe* 2 (1922): 313-391].

ლ. ქაჯაია, „პუნქტუაცია ძველ ქართულ ხელნაწერებში (V-X სს.)“, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე 5 (1963): 69-83. [Kajaia L., “Punctuation in old Georgian manuscripts (5<sup>th</sup>-10<sup>th</sup> cc.)”, *Bulletin of K. Kekelidze Institute of Manuscripts* 5 (1963): 69-83].

ლ. ქაჯაია, „წმ. ქრისტინას წამების ხანმეტი რედაქცია“, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი 21 (2005): 15-19. [Kajaia L., “Martyrdom of St Christina, Xanmeti text”, *Mravaltavi, Philological and Historical Researches* 21 (2005): 15-19].

ლ. ქაჯაია, „წმ. ქრისტინას წამების ხანმეტი ტექსტი“, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი 3 (2006): 35-59. [Kajaia L., “Martyrdom of St. Christina, Xanmeti text”, *Journal of Gelati Academy of Sciences* 3 (2006): 35-59].

ლ. ქაჯაია, „ხანმეტი ჰაგიოგრაფიული კრებული“, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი 9 (1981): 41-49. [Kajaia L., “Xanmeti Hagiographic Collection”, *Mravaltavi, Philological-Historical Researches* 9 (1981): 41-49].

J. N. Birdsall, “A Georgian Palimpsest in Vienna”, *Oriens Christianus* 53 (1969): 108-112.

J. Gippert, “Die georgische Palimpsesthandschrift Cod.Vind.georg. 2 [The Georgian Palimpsest Manuscript Cod.Vind.georg. 2]”, *Biblos. Beiträge zu Buch, Bibliothek und Schrift* 52 (2003): 31-46; *Wien: Österreichische National bibliothek* (2003). „ქართული პალიმფსესტური ხელნაწერი Cod. Vind. 2“, *ძველი ქართული ენის კათედრის შრომები* 31 (2004): 149-161. [Georgian Palimpsest Cod. Vind. 2”, *Proceedings of the Chair of the Old Georgian Language* 31 (2004): 149-161].

J. Gippert, “The Application of Multispectral Imaging in the Study of Caucasian Palimpsests”, *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences* 175/1 (2007): 168-179.

## მაია რაფავა

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს  
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

### ქველი ქართული სასულიერო მწერლობა

#### I.

ძველი ქართული სასულიერო მწერლობა, V საუკუნიდან XVIII საუკუნის ჩათვლით, მოიცავს სასულიერო მწერლობის ყველა ჟანრს: ბიბლიოლოგიას, ჰაგიოგრაფიას, ჰომილეტიკას, ასკეტიკას, ლიტურგიკას, კანონიკას და სხვა. სასულიერო მწერლობის ყველა დარგი შემონახულია უძველესი ხელნაწერებით, რომელთა შესწავლასა და კვლევა-ძიებას ქართველ მეცნიერებთან ერთად აქტიურად ახორციელებს უცხოელი მკვლევართა არაერთი თაობა.

#### II.

ქართული სასულიერო ლიტერატურა მოიცავს როგორც ორიგინალურ, ისე ნათარგმნ ძეგლებს. ქართული სასულიერო მწერლობის პერიოდიზაცია, სამეცნიერო გზამკვლევების მიხედვით, მოიცავს შემდეგ სამ ძირითად პერიოდს:

1. უძველესი – V საუკუნიდან X საუკუნემდე, რომელიც წინა ათონურ პერიოდად არის ნოდებული.
2. ათონური პერიოდის მწერლობა.
3. ათონის შემდგომი პერიოდის, ანუ აღორძინების ხანის მწერლობა.

#### III.

სასულიერო მწერლობის განვითარების გზაზე გარდამავალი ეტაპი ჩამოყალიბდა ათონის ქართველი მოღვაწეების მიერ. ეს ეტაპი აღინიშნება მთარგმნელობითი საქმიანობის გააქტიურებით, ბერძნული ორიგინალების, ზუსტი, სიტყვასიტყვითი თარგმანებით. მკვეთრად გამოიხატა ახალი, ელინოფილური მიმდინარეობა და, რაც მთავარია, ათონურ ხანაში მკვეთრად შეიცვალა ქართული საეკლესიო ლიტურგიკა, ძველი, პალესტინური წეს-განგებების ახალ, კონსტანტინოპოლურ წესზე გადასვლით.

#### IV.

მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე ქართული სასულიერო მწერლობა იყო, როგორც მიმღები, ისე გამცემი კულტურის სახელის მქონე. სარწმუნოებრივი და პოლიტიკური პერიპეტიებიდან გამომდინარე, ნათარგმნი ლიტერატურა ძირითადად ბერძნულიდან არის შესრულებული. ქართული სასულიერო მწერლობა გამცემიც არის: ქართულში დასტურდება სასულიერო მწერლობის ისეთი ძეგლები, რომლებიც ბერძნულში არ დასტურდება, ან განსხვავებული რედაქციით არის წარმოდგენილი.

## OLD GEORGIAN ECCLESIASTICAL LITERATURE

### **Ecclesiastical Literature**

#### I.

Old Georgian theological writing, from the 5<sup>th</sup> to 18<sup>th</sup> cc. includes all genres of theological writing: bibliography, hagiography, homiletics, asceticism, liturgy, canon and others.

All fields of sacred writing are preserved in ancient manuscripts, the study and research of which is actively carried out by many generations of foreign scholars together with Georgian scholars.

#### II.

Georgian theological literature includes both original and translated works. The periodization of Georgian ecclesiastical literature, according to scientific researches, includes the following three main periods:

1. From the 5<sup>th</sup> to the 10<sup>th</sup> century, which is called the pre-Athonite period.
2. The writings of the Athonite period.
3. Writing of the post-Athonite or the Renaissance period.

#### III.

The transitional stage on the path of the development of ecclesiastical writing was formed by the prominent Georgian ecclesiastic figures of Mount Athos. This stage is marked by the activation of translation activities, with accurate, literal translations of the Greek originals. The new, Hellenophile orientation manifested itself sharply and, most importantly, during the Athonite era, the Georgian ecclesiastical liturgy changed dramatically, with the transition of the old, Palestinian order to the new, Constantinople one.

#### IV.

Throughout its centuries-long existence, Georgian theological literature has had the name of both receiving and issuing culture. Due to religious and political vicissitudes, ecclesiastical literature was translated mainly from Greek. Georgian ecclesiastical literature is also a giver: in the Georgian translated literature are preserved such monuments that are not confirmed in Greek, or are presented in a different edition.



## ბიბლიოგრაფია / BIBLIOGRAPHY

**ელ. ხინთიბიძე**, ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის, თბილისი, 1982.

**ილ. აბულაძე**, ძველი ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა (IX-X სს.), თბილისი, 1944.


**კ. კეკელიძე**, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1980.

**ნარკვევები ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიიდან**, თბილისი, ტ. I, 2012; ტ. II, 2014; ტ. III, 2016.

**ლ. მენაბდე**, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, 1962; ტ. II, 1980.

**ქ. ბეზარაშვილი**, რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების მიხედვით, თბილისი, 2004.


**Michel van Esbroeck**, *Les plus anciens homélliaires Géorgiennes*. Étude descriptive et historique, Louvain-la-Neuve 1975.



სურ. 10. ზანდუკი (სარჩევი); იოანე სინელი, კლემაქსი, H-1669, f. 181r.

დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაერთა ეროვნულ ცენტრში.


Fig. 10. Index. John of Sinai, The Ladder, cod. H-1669, 181r. Kept at Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts.



სურ. 11. მარგინალური შენიშვნა; იოანე დამასკელი, გარდამოცემა, A-24, f. 36 r. დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაერთა ეროვნულ ცენტრში.

Fig. 11. Marginal Note. John of Damascus, De fide Orthodoxa, cod. A-24, f. 36r. Kept at Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts.






სურ. 12. ტილ-ეტრატის იადგარი, H-2123. დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში

Fig. 12. Tchil-etрати Iadgari, H-2123. Kept at Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts

სურ. 13. მიქაელ მოდრეკილის იადგარი, S-425. დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში

Fig. 13. Mikael Modrekili's Iadgari, S-425. Kept at Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts



## IV მოდული: ქართული ისტორიული დოკუმენტი

### მზია სურგულაძე

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს  
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

### დროისა და სივრცის აღქმა შუა საუკუნეების საქართველოში ისტორიული დოკუმენტების მიხედვით

დრო და სივრცე ახალ ისტორიულ დრომდე განსხვავებულად აღიქმებოდა სხვადასხვა ეპოქის საზოგადოებებსა და კულტურებში. ამ ორი სააზროვნო კატეგორიის განმსაზღვრელი წარმოდგენების გარეშე ძნელია ამა თუ იმ ეპოქის ტექსტებში ორიენტირება. ლექციის საგანია დრო და სივრცე შუა საუკუნეების ქართული საზოგადოების აღქმაში. წყარობად გამოვიყენებთ ორიგინალური მწერლობის მასალას და უპირატესად იურიდიულ დოკუმენტებს, რამდენადაც ამ სახის დოკუმენტები, გამომდინარე მათი პრაქტიკული დანიშნულებიდან, იყენებდა უფრო ზუსტ განსაზღვრებებს.

წინდანი უნდა ითქვას, რომ შუა საუკუნეების ქართული საზოგადოება – ეს არის ქრისტიანულ მსოფლალქმაზე და ფეოდალურ წესრიგზე დაფუძნებული საზოგადოება. ამდენად, მისი კულტურული და სოციალური თვალსაწიერი ტიპოლოგიურად მსგავსია სხვა ასეთივე საზოგადოებებისა, რომელთაც, ბუნებრივია, მსგავსი დამოკიდებულება ჰქონდათ დროისა და სივრცის მიმართ. საერთოა ამ კატეგორიათა გააზრება ორი მოდუსით: წარმავალით და მარადიულით, მიწიერი და ზეციური, რაც განსაზღვრავდა შუა საუკუნეების ადამიანის ყოველდღიურ კალენდარს და მის მუდმივ მზადებას ესქატოლოგიური დროისათვის. მსგავსია დროისა და სივრცის მიმართ ფეოდალურ წოდებათა დამოკიდებულება ყოფასა და ყოველდღიურ საქმიანობაში. მაგრამ ეს მსგავსებები განსხვავებულად გამოიხატება სხვადასხვა ენობრივ სიტუაციაში და საინტერესოა იმ მენტალური წარმოდგენების გასაცნობად, რომლებიც ამა თუ იმ ხალხის ტრადიციულ კულტურაში დამკვიდრდა.

ფეოდალური წოდების დოკუმენტებში სივრცეს გამოხატავს ისეთი ცნებები, რომლებიც გულისხმობს ველური ბუნებისაგან გამოყოფილ კულტურულ ლანდშაფტს. მასში შედის: ფეოდალის რეზიდენცია, ეკლესია, სამეურნეო ნაგებობები, სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. ამავე ჩამონათვალში შედის იქ მცხოვრები ყმა-გლეხები, მიწის პატრონის საგადასახადო ვალდებულებები და სამართლით დადგენილი საზღვრები. მიწასთან ერთად დოკუმენტებში განსაზღვრულია ფეოდალის უფლებების ხანგრძლივობა, რისთვისაც გამოყენებულია არა დროული,

არამედ სამართლებრივი ცნებები, რომლებიც ფეოდალის უფლებას ბოძებულ მიწაზე ამტკიცებენ მეორედ მოსვლამდე. ფეოდალური მიწის ნიშან-თვისებათა ჩამონათვალი მთლიანობაში ახასიათებს თვითკმარ, ჩაკეტილ საზოგადოებას, რომლის წარმოდგენაში ამქვეყნიური სოციალური წესრიგი დროში უცვლელი უნდა ყოფილიყო.

სივრცითი ცნებები შესულია მეფეთა ტიტულატურაშიც. მათგან ნაწილი წარმოადგენს სამეფოს შემადგენილი ისტორიული პროვინციების სახელწოდებებს, მაგრამ ნაწილი მხოლოდ გეოგრაფიული კოორდინატებია: „ჩრდილოეთი“ და „აღმოსავლეთი“. ეს ცნებები უშუალო კავშირშია საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლასთან და სამეფო ხელისუფლების საკრალიზაციასთან ქრისტიანული სარწმუნოების საფუძველზე. ამავე დროს, ინახავს ისტორიულ ხსოვნას, რომ ქართლის მიწაზე ქრისტიანობის მქადაგებელი შემოვიდა იერუსალიმიდან და რომ საქართველოს ძველი დედაქალაქი მცხეთა „მეორე იერუსალიმად“ იქცა და საქართველოს ეკლესიაში იერუსალიმური ღვთისმსახურება სრულდებოდა. X საუკუნეში საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ტაო-კლარჯეთის მთავართა ტიტულში ჩნდება „აღმოსავლეთის კურაპალატი“. XI ს-ში ეს ტიტული გადავიდა გაერთიანებული საქართველოს მეფეთა ტიტულატურაშიც და თანაარსებობდა „ჩრდილოეთთან“ ერთად. აქ „აღმოსავლეთი“ აღნიშნავდა მიმართებას ბიზანტიური ოიკუმენეს ცენტრის, კონსტანტინოპოლისადმი, რომელიც IX-XI საუკუნეებში განსაზღვრავდა საქართველოს პოლიტიკურ და სარწმუნოებრივ ორიენტაციას.

**Mzia Surguladze**

*Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts*

## **CONCEIVING TIME AND SPACE ACCORDING TO HISTORICAL DOCUMENTS OF MEDIEVAL GEORGIA**

Until the arrival of modern historical time the notions of Time and Space underwent transition phases that pertained to the various modes of perception spanning across societies and cultures of different epochs. It is a rather unconceivable task to make sense of texts that belong to different epochs without doing utmost diligence to the facets that unfold into the definition of the two mental devices mentioned above.

The subject of lecture is the notions of Time and Space and their perception by society in Georgia during the Middle Ages. Original literary works along with primarily legal documents (that account for main sources) will serve as basic source material since the modes of practicalities of the latter prompted their inclusion of definitions that are complete in nature.

First and foremost, it should be mentioned that considered in their own right the Georgian society of the Middle Ages is highly cultivated on the Christian doctrine with feudal order intrinsically attached to its core. Hence modes of conveyance of its cultural and sociologi-

cal facets of worldview are typologically comparable with societies that naturally shared the same attitudes to the notions of Time and Space. The shared ideological character of these categories is even more marked when made application within the two following modes: transitory and eternal, earthly and heavenly this was what dominated the daily calendar of a human being during the Middle Ages as it put him/her to the righteous path of eschatological time limits. Similar attitude to the notions of Space and Time was common in the practice by the feudal rank in its daily routine; these similarities however reflect at varying degrees under different language settings and are resourceful for understanding mental representations incorporated within traditional cultures of different nations.

For Legal Documents of the feudal class it was common to delineate the notion of Space in terms of its belonging to the cultural landscape and by putting it on distance from the habitat of wild nature; in the meanwhile, the former included: feudal lord's residence-seat-palace, its domicile, church, household buildings, different farming and agricultural tracts of land. The list is further comprised of peasantry and servants as well as the tax responsibilities of the landowner and legally fixed borders of territory. Along with descriptive part of land attributes the documents approve the rights of feudal lord on the land as well as period of its functioning; the latter avoids notions of time (-confines) and is applied in terms of legal procedure instead that, in turn, acknowledges the validity of proof of ownership on land till the "Second Advent of Christ".

The list of attributed notions is a feature appropriate for the isolated, autonomous community whose ideological realm evolves around understanding the world social order in terms of rigid mode of conveying the time.

The notions of Space are included in the tutelage designation of Kings as well. Part of titles originate from the names of historical provinces under their authority, and some of the titles comprehend the geographical coordinates, therefore unfold within the concepts of: "North" and "East". These notions have intrinsically to do with the advent of Christianity to Georgia and thus deal with the granting of sanctified status to the royal authority that derives from the Christian faith.

In the meanwhile, it carries the historical memory that pays tribute to the narrative of arrival of the Christian doctrine from Jerusalem to Kartli (province of Georgia) and describes the conversion of Mtskheta, the ancient capital of Georgia, into "Second Jerusalem" that resulted in conveying the religious worship identical to Jerusalem. In the 10<sup>th</sup> c. the term "Kuropalates of East" presences itself in the tutelage designation of the princely house of Tao-Klarjeti. In the 11<sup>th</sup> c. this title was further accommodated within the tutelage designation of the Kings of unified Georgia where it co-existed with the notion of "North". The meaning of the term "East" emphasized in relation to the centre of the Byzantine oecumene/ecumene – Constantinople confined the religious and political orientation of Georgia to the abovementioned geographical realm in the 9<sup>th</sup>-11<sup>th</sup> centuries.

## ბიბლიოგრაფია / BIBLIOGRAPHY

**მ. სურგულაძე**, პოლიტიკური და კულტურულ-სარწმუნოებრივი ფორმულა ქართველ მეფეთა ტიტულატურაში, ქართული წყაროთმცოდნეობა, თბილისი, „მეცნიერება“, 1993, VIII. [M. Surguladze, Concepts of Creed of Politics, Culture and Faith in the Tutelage Designation of Georgian Kings, Georgian Source Study, Tbilisi, “Metsniereba”, 1993, VIII].

**მ. სურგულაძე**, აღმოსავლეთი“ და „ჩრდილოეთი“ საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში ისტორიულ-ფილოლოგიური კრებულები, თბილისი, 1997. [M. Surguladze, Notions of “East” and “North” in the Tutelage Designation of Georgian Kings, Historical-Philological Collection, Tbilisi, 1997].

**Le Goff, Jacques** Civilization of the Medieval West/Medieval Civilization of West, 1977 (Russian edition, 2005)

**А. Я. Гуревич**, Категории средневековой культуры, М. 1972.

**А. Я. Гуревич**, Социальная психология и история. Источниковедческий аспект. Источниковедение и методические проблемы. М. 1969.

**Жак Ле Гофф**, Цивилизация средневекового Запада, русск. издание, У-Фактория, 2005.

**С. С. Аверинцев**. Поэтика ранневизантийской литературы М. 1977.

**М. Сургуладзе**, Понятие «мамули» (вотчина) в средневековых грузинских источниках, Caucasica. The Jurnal of Caucasian Studies, Tbilisi, 2003.

## **დარეჯან კლდიაშვილი**

*კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს  
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

### **საქართველოს სიძველეთსაცავები დაცული ისტორიული დოკუმენტები: კალიგრაფია და მხატვრული სახე**

საქართველოს სიძველეთსაცავები, ჟამთა სვლისა და განადგურების მიუხედავად, ინახავს რამდენიმე ათეულ ათას XI-XIX საუკუნეების ქართულ და უცხოენოვან დოკუმენტს. ქართული და აღმოსავლური დოკუმენტების დედნების მდიდარი კოლექციები თავმოყრილია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის (Ad, Hd, Sd, Qd; Ard; Pd; Turd) და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ძველი საისტორიო დოკუმენტების ფონდებში (ფ. 1448; ფ. 1452; ფ. 1452). საისტორიო საბუთების ნაწილი ასევე ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების და საქართველოს სხვადასხვა კუთხის სამხარეთმცოდნეო მუზეუმებში: ქუთაისში, გორში, ზუგდიდში, ბათუმში, ახალციხეში, თელავში; აგრეთვე საზღვარგარეთ – იერუსალიმის, ათონის და სინას მონასტრებში, თურქეთის, რუსეთის, ბულგარეთის სიძველეთსაცავებში.

#### **ქართული საბუთები**

ქართულმა ისტორიულმა დოკუმენტებმა ხანგრძლივი დროის მანძილზე აღბეჭდა როგორც საქართველოს, ისე მისი მეზობელი ხალხების ისტორიული გეზის თანმდევი პოლიტიკურ-სოციალური და კულტურული ცვლილებები. ამ ურთიერთობების შესაბამისად, ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ქართული დოკუმენტების პარალელურად ადგილობრივ იურისდიქციაში ადგილს იმკვიდრებს როგორც ორენოვანი, ისე ბერძნული, სპარსული, არაბული, ოსმალური და რუსული დოკუმენტები.


ბიზანტიურ და პოსტბიზანტიურ პერიოდში ისტორიული დოკუმენტის შინაარსობრივი, სტრუქტურული და გარეგნული მხარე და მხატვრული გაფორმება მართლმადიდებლურ-ქრისტიანული დიპლომატიკური და კულტურული ტენდენციების ამსახველი იყო. ადრეული ხანის, XI-XIII საუკუნეების ქართული დოკუმენტის გარეგნულ მხარეს მასალა, ფორმა, კალიგრაფია და დეკორატიული ხელრთვები განსაზღვრავდა. ქართული საბუთების მინიატიურებით შემკობა XIV-XV საუკუნეებიდან იწყება და უკავშირდება მათ გაფორმებას ისტორიულ პირთა პორტრეტებით და ქრისტიანული სიუჟეტებით. ბიზანტიის დაცემისა და სამხრეთ კავკასიის მაჰმადიანურ გარემოცვაში მოხვედრის შემდგომ ეს ტრადიცია ქართულ დოკუმენტებს განსხვავებულ პოლიტი-



კურ და კულტურულ გარემოში თვითმყოფად და დამოუკიდებელ სახეს უნარჩუნებდა და განასხვავებდა მას ისლამური დოკუმენტის მხატვრული გაფორმების პრინციპებისაგან.

XIV საუკუნიდან XIX საუკუნის დამდეგამდე პერიოდის მოხატულ დოკუმენტებს შორის მნიშვნელოვანია ქართველ მეფეთა, კათალიკოს-პატრიარქთა, საეკლესიო და საერო პირთა პორტრეტული გამოსახულებებით შემკული საბუთები. XIV-XVI საუკუნეების სასისხლო და შეწირულების აქტებზე გამოსახულნი არიან: ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი VIII (ერთიანი საქართველოს მეფე, 1446-66; კახეთის მეფე, 1466-76), იმერეთის მეფეები – ალექსანდრე II (1484-1510) და ბაგრატ III (1510-65), ქსნის ერისთავი შალვა ქვენიფნეველი (1470), ერისთავი ვამეყ შაბურისძე და მისი თანამეცხედრე დულარდუხტი (1494), კათალიკოს-პატრიარქი დოროთეოს III (1584-95).

საქტიტორო გამოსახულებების სიმრავლით განსაკუთრებით გამოირჩევა XVII-XVIII საუკუნეების ქართლის, კახეთის, იმერეთის მეფეების და სასულიერო პირების მიერ გაცემული შეწირულების და წყალობის აქტები, რომლებშიც წარმოდგენილი არიან: კახეთის მეფეთა საქტიტორო რიგი, ლევანი (1518-74), ალექსანდრე II (1574-1605), დავით ბატონიშვილი (I, კახეთის მეფე, 1601-02), თეიმურაზ I (კახეთი, 1606-48; ქართლ-კახეთი, 1625-32), ბატონიშვილი თეიმურაზი (II, კახეთის გამგებელი 1709-15; მეფე 1733-44; ქართლის მეფე, 1744-62), დავით II იმამყული-ხანი (კახეთის ჯანიშინი, 1703-09; მეფე, 1709-22), ერეკლე I ნაზარალი-ხანი (ქართლის მეფე, 1688-1703), კონსტანტინე II მაჰმადყული-ხანი (კახეთის მეფე, 1722-32), არჩილ II (კახეთის მეფე, 1664-75; იმერეთის მეფე, 1661-63, 1678-79, 1690-91, 1695-96), კათალიკოსი დომენტი III (1660-75), შაჰნავაზ-ხანი (ქართლის ჯანიშინი, 1717-23), გიორგი ბატონიშვილი (1712), რუსეთის იმპერატორი პეტრე I დიდი და იმპერატრიცა ეკატერინე I (1725), გიორგი XII (ქართლ-კახეთის მეფე, 1798-1800), სოლომონ II (იმერეთის მეფე, 1789-1810).



XVI-XVIII საუკუნეებში, სეფიანთა ირანისა და ოსმალეთის მიერ საქართველოს ცალკეული მხარეების ინკორპორაციის პირობებში, ყოფასა და კულტურის ყველა სფეროში მოძალებული ისლამური კულტურის ზემოქმედება და გავლენები აღიბეჭდა როგორც ქართული საერო ხელნაწერი წიგნების, ისე დოკუმენტების მაირანი-ზებელი ტენდენციებით გამსჭვალული ქართული და ქართულ-სპარსული ორენოვანი საბუთების მოხატულობაში.

XVIII საუკუნიდან, ახალი პოლიტიკური ვითარების კვალად, საქართველოს რუსეთის გავლენის სფეროში მოქცევის შედეგად, ქართული ხელოვნება დასავლეთ ევროპისა და რუსული კულტურის გავლენის არეალში მოექცა; შეიცვალა ქართული დოკუმენტების მხატვრული გაფორმების ხასიათიც. ევროპული და რუსული სამინი-ატიურო ხელოვნების შესაბამისად, იმ პერიოდში ფართოდ ვრცელდება გეომეტრი-ული, მცენარეული, ანტროპომორფული და ზომომორფული მოტივებით გაფორმებუ-ლი, ინიციალებით და საგერბო გამოსახულებებით შემკული საბუთები.

### სპარსული საბუთები



კოლექცია წარმოდგენილია როგორც ირანის სამეფო (სეფიანთა, ავშართა, ზენდების, ყაჯართა დინასტიის) კარიდან გამოსული, აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს ქრისტიანი და გამაჰმადიანებული მეფეების, ერევნის და დაღესტნის ნახევრად დამოუკიდებელი სახანოების ბეგლარბეგების და მელიქების მიერ XVI-XIX საუკუნეებში გაცემული, მდიდრულად გაფორმებული ფირმანების და ჰოქმების, სხვადასხვა საკანონ-მდებლო აქტის, ნასყიდობის, მზითვის, გვარიშვილობის დამა-მტიციებელი და სხვა სახის საბუთებით.

საქართველოში დაცული სპარსული დოკუმენტების უმრავლესობა სეფიანთა ხანის მდიდრულად დეკორირებული ფირმანებია, რომლებიც გაცემულია ისფაჰანში შაჰ აბას I-ის (1587-29), შაჰ სეფის (1629-42), შაჰ აბას II-ის (1642-66), შაჰ სულეიმან I-ის (1666-94), შაჰ სულთან-ჰუსეინის (1694-1722) და შაჰ თამაზ II-ის (1722-32) მიერ. მათ შორის განსაკუთრებულად მდიდრული და ფერადოვანია შაჰ სულთან-ჰუსეინის ფირმანები. ბრწყინვალეობით, ფერთა სიუხვით და დახვეწილობით მათ მხოლოდ ყაჯართა პერიოდის მოხატული დოკუმენტები შეედრება.

სპარსული საბუთის ტექსტი პატარაა; მას, ჩვეულებრივ, ორმხრივ სტილიზებული მცენარეული მოტივებით გაფორმებული ორნამენტული ჩარჩო შემოფარგლავს, ტექსტის არე კი ჩარჩოს ორნამენტის შესაბამისი ფერადოვანი ყვავილოვანი მოტივებითაა მოფენილი. ხშირ შემთხვევაში, დეკორატიული ჩარჩოს ცენტრში, ტექსტის ზემოთ, დასმულია დეკორატიულ მოჩარჩოებაში ჩასმული ბეჭედი, რომელსაც, კალიგრაფიასთან ერთად, განსაკუთრებული მხატვრული ფუნქცია ენიჭება. სპარსული მოხატული საბუთებისათვის ასევე იყენებდნენ ირანული წარმოების მზა მხატვრულ ჩარჩოებს და ქალაღს, რომლებიც ფართოდ გამოიყენებოდა იმ პერიოდის ისლამური ხელნაწერების გასაფორმებლად.

### ოსმალური საბუთები

კოლექცია ქრონოლოგიურად XVI-XIX საუკუნეების დოკუმენტებითაა წარმოდგენილი. მათი ადრესატები არიან ოსმალეთის მიერ დაპყრობილი და მათზე დამოკიდებული რეგიონების – ჩილდირის ვილაიეთის (ისტორიული სამცხე-საათაბაგოს ნაწილი) არისტოკრატია და მოლაშქრეები; აგრეთვე, აღმოსავლეთ საქართველოს, ქართლის სამეფოს თავადები და აზნაურები, ზოგადად, ოსმალურ სამხედრო ლენურ სისტემას დაქვემდებარებული მოსახლეობა.

ოსმალური დოკუმენტების კოლექციიდან მალალმხატვრობით და კალიგრაფიულობით გამოირჩევა სულთან მურად III-ის (1574-95), მეჰმედ IV-ის (1648-87), მუსტაფა II-ის (1695-1703), აჰმედ III-ის (1703-30), მაჰმუდ I-ის (1730-54), მუსტაფა III-ის (1757-74), აბდულჰამიდ I-ის (1774-89), სელიმ III-ის (1789-1807) და აბდულჰამიდ II-ის (1876-1909) მიერ გაცემული ბერათები, რომელთა შექმნის ადგილი, როგორც წესი, მითითებულია „ღვთივდაცული კონსტანტინოპოლი“ ან ედირნე (ყოფილი ადრიანოპოლი); ამ საბუთებს განსაკუთრებულ ბრწყინვალე იერს ანიჭებს კალიგრაფია და საბუთების გამცემი სულთნის ოქროთი, შავი და წითელი მელნით შესრულებული თულრა, აგრეთვე, ფერადი საღებავებით შექმნილი ცალკეული დეკორატიული ელემენტები.



*Darejan Kldiashvili*

*K.orneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts*

## HISTORICAL DOCUMENTS PRESERVED IN OLD DEPOSITORIES OF GEORGIA: CALLIGRAPHY AND DECORATION

Despite the vagaries of history, difficulties and acts of destruction, several tens of thousands of 11<sup>th</sup> to 19<sup>th</sup> century documents in Georgian and other languages are preserved in the depositories of antiquities of Georgia. The National Centre of Manuscripts (NCM) is the greatest depository of old manuscripts and historical documents, part of which are richly illuminated. Up to 46.000 historical documents, originals and copies in Georgian, Arabic, Persian, Ottoman and other languages, are stored in the collections of the Georgian and Oriental Departments (Ad, Hd, Sd, Qd; Ard; Pd; Turd). A substantial number of documents are also preserved in the National Archives of Georgia (NAG), Ministry of Justice of Georgia– approximately 30.000 documents, of which 10.000 are original (collections: 1448, 1452, 1453). Georgian and Oriental documents are preserved in the Shalva Amiranashvili Museum of Art, Georgian National Museum, as well as in the regional museums in Kutaisi (ca. 2,500), Gori,

Zugdidi, Batumi, and Akhaltsikhe. Also there are important collections in major foreign museums and monastic archives (Jerusalem, Mount Sinai, Mount Athos), and especially significant Ottoman documents about Georgia are preserved in Turkey and Bulgaria.

The political and cultural contacts, existing with different countries throughout the history, are reflected in the material and written cultural legacy of Georgia. Because of its geographical location, Georgia has always retained close relations with both East and West. It lies at the crossroads of different cultures, which have merged and occasionally transformed the country. At the boundary of the Hellenic-Byzantine, Eastern and Western worlds, Georgia has synthesized these cultures.

The Georgian, Persian and Ottoman historical documents, preserved in Georgia and written in various languages, reflect the political and cultural changes that Georgia, as well as its neighbouring countries, had undergone over a long period of time: in the Middle Ages, when Byzantium was the primary source of inspiration for Georgia, manuscripts and historical documents reflected Christian Orthodox trends in their form, structure and artistic design. In the 16<sup>th</sup> to 18<sup>th</sup> centuries, when Georgia was divided and different areas of the country were controlled by Safavid Iran and Ottoman Turkey, the impact and influence of these preponderantly Muslim cultures was reflected in the illumination of Georgian secular manuscripts and documents, primarily Georgian-Persian bilingual documents, and also in the drawing up of Persian and Ottoman *firman*s. From the end of the 18<sup>th</sup> century, conforming to the country's new political situation, Georgian art came under the influence of West European and Russian culture, introduced by Catholic missionaries, as well as Russian officials and ecclesiastics.

Among the major documents of the 15<sup>th</sup> to 18<sup>th</sup> centuries many examples stand out, including documents adorned with portraits of Georgian kings, ecclesiastic and secular patrons, as well as those with miniatures featuring a variety of subjects. There are also highly artistic and unique documents decorated with initials, floral, anthropomorphic and zoomorphic motifs seen in Georgian, Islamic and European manuscript illumination. Oriental documents are distinguished by their calligraphy and *tuğra*, as well as the lavishly decorated motifs. Different types of document were illuminated: Georgian – blood-money deeds, charters of grant and donation; Persian and Ottoman – *firman*, *berat*, imperial decrees, charters granting estates and documents of ritual content. Georgian and Oriental collections consist of some 200 documents, illustrating the development of the rich calligraphic and artistic heritage of the Christian and Islamic worlds from the 11<sup>th</sup> to the early 19<sup>th</sup> century.

### ***Georgian Documents***

The Georgian historical documents preserved in Georgian depositories of antiquities over a long time reflected the social-political and cultural changes of the historical course of Georgia and its neighboring countries. Conformably to these relations, at various stages of history, in parallel to Georgian documents in local jurisdiction both bilingual, and Greek, Persian, Arabic, Ottoman and Russian documents become established.

In the Byzantine and post-Byzantine period, the content, structure and appearance of artistic design reflected the Christian Orthodox diplomatic and cultural trends. The outward

appearance of a Georgian document of the 11<sup>th</sup>-13<sup>th</sup> centuries was determined by the material, form, calligraphy and decorative signatures. The illumination of Georgian documents with miniatures began from the 14<sup>th</sup>-15<sup>th</sup> centuries, being linked to their design with portraits of historical figures and Christian subjects. Following The fall of Byzantium and Islamic encirclement of the South Caucasus, this tradition preserved the original and independent appearance of Georgian documents in a different political and cultural setting, distinguishing them from principles of the artistic design of Islamic documents.

Among the important documents of the 14<sup>th</sup> to the early 19<sup>th</sup> century Georgian *sigelions* adorned with portrait images of local kings, catholicos-patriarchs, church and secular figures stand out. On blood money and donation deeds of the 14<sup>th</sup>-16<sup>th</sup> centuries the following persons are depicted: Giorgi VIII, the last king of united Georgia (king of Georgia, 1446-66; king of Kakheti, 1466-76), the kings of Imereti: Aleksandre II (1484-1510) and Bagrat III (1510-65), the *eristavi* of Ksani Shalva Kvenipneveli (1470), the *eristavi* Vameq Shaburishvili and his spouse Dulardukht (1494), catholicos-Patriarch Doroteos III (1584-95). The acts of donations and grants issued by the kings of Kartli, Kakheti, Imereti and ecclesiastics, dating from the 17<sup>th</sup> – early 19<sup>th</sup> century are especially distinguished for multiplicity of donors images; these are represented by: the row of the kings of Kakheti – Levan (1518-74), Aleksandre II (1574-1605), Prince Davit (I, king of Kakheti, 1601-1602), Teimuraz I (Kakheti, 1606-48; Kartli and Kakheti, 1625-32), Prince Teimuraz (II, ruler of Kakheti, 1709-1715; King 1733-44; king of Kartli, 1744-62), Davit II Imamquli-Khan (viceroys of Khakheti, 1703-09; king, 1709-1722), Erekle I Nazarali-Khan (king of Kartli, 1688-1703), Konstantine II Mahmadquli-Khan (king of Kakheti, 1722-32), Archil II (king of Kakheti, 1664-75; king of Imereti, 1661-63, 1678-79, 1690-91, 1695-96), Catholicos-Patriarch Domenti III (1660-75), Shahnavaaz-Khan (viceroys of Khaketi, 1713-23) Prince Giorgi (1712), Russia's Emperor Peter I the Great and Empress Catherine I (1725), Giorgi XII (king of Kartli and Kakheti, 1728-1800), Solomon II (king of Imereti, 1789-1810).

In the 16<sup>th</sup>-18<sup>th</sup> centuries, in conditions of the incorporation of separate regions of Georgia by Safavid Iran and Ottoman Turkey, the impact of Islamic culture, prevalent in everyday life and all spheres of culture was reflected both in Georgian secular manuscripts and documents – in design of Georgian and Georgian-Persian legal documents imbued with Iranian impacts.

From the 18<sup>th</sup> century, conformably to the new political situation – Georgia's incorporation in the Russian Empire, Georgian art came into the area of influence of West European and Russian culture; the character of artistic design of Georgian documents also changed. In this period documents adorned with geometric, floral, anthropomorphic and zoomorphic motifs, embellished with initials, as well as heraldic images, corresponding to European and Russian miniature, became widespread.

### *Persian documents*

The collection is represented by lavishly designed *firman*s and *hoqms*, various legal acts, imperial decree, charters granting estates and documents of ritual content issued in the 16<sup>th</sup>-19<sup>th</sup> centuries by Iranian royal court (Safavid, Avshar, Zend, Qajar dynasties) as well as by east-Georgian Christian and Islamized kings.

The majority of Persian documents preserved in Georgia are lavishly illuminated *firman*s of the Safavid (1501-1722, Tabriz/Qazvin/Isfahan) period, issued by Shah ‘Abbas I (1587-1629), Shah Safi I (1629-42), Shah ‘Abbas II (1642-66), Shah Sulayman I (1666-94), Shah Sultan Husayn (1694-1722) and Shah Tahmasp II (1722-32). Among these especially lavish and colourful are the *firman*s by Sultan-Husayn. Only the Qajar (1799-1925, Tehran) illuminated documents can compete with them in brilliance, abundance of colour and refinement.

The texts of Persian document is short. It is usually placed between an ornamented frame designed on two sides with stylized floral motifs. The text area is covered with coloured flower motifs corresponding to the frame ornament. Often a seal in a decorative frame is placed in the centre of the upper part of the illumination frame; in addition to calligraphy, this is given special artistic function. For Persian illuminated documents ready-made Iranian artistic frames are also met; these were widely used in Islamic manuscripts of that period.

### *Ottoman documents*

The collection is represented by documents, of the 16<sup>th</sup>-19<sup>th</sup> centuries. Their addressers are the aristocracy and troops of regions conquered by Ottomans, and those dependent on the latter – of Childer *Vilayet* (part of historical Samtskhe-Saatabago), as well as the noblemen of Kartli (eastern Georgia), and the population subjected to the military landowning system.

Of the collection of Ottoman *berats* the following stand out for high artistic and calligraphic qualities: *berats* issued by Sultan Murad III (1574-95), Mustafa II (1695-1703), Ahmed III (1705-30), Mahmud I (1730-54), Mustafa III (1757-74), Selim III (1789-1807), Mahmud II (1808-39), Abdulmecid I (1839-61), Abdulhamid II (1876-1909). The place of their compilation is “God-protected Constantinople” and Edine (former Adrianople). The calligraphy and *tuğra* of the sultan issuing the document, done in gold, blue and red ink, as well as separate decoration elements done in colour dyes impart a special magnificent appearance to these documents.

## **ბიბლიოგრაფია / BIBLIOGRAPHY**

მოხატული ისტორიული დოკუმენტები საქართველოს სიძველეთსაცავებიდან, დ. კლდიაშვილი (რედ.), დ. კლდიაშვილი, ზ. სხირტლაძე, თ. აბულაძე, ი. კოშორიძე, ც. აბულაძე, თბილისი, 2011. 250-მდე შავ-თეთრი და 27 ფერადი ფოტო, 281 გვ. [Illuminated Historical Documents in the Depositories of Georgia, D. Kldiashvili (ed.), D. Kldiashvili, Z. Skhirtladze, T. Abuladze, I. Koshoridze, Ts. Abuladze, Tbilisi, 2011]

The web page is available on the website: [www.illuminateddocument.ge](http://www.illuminateddocument.ge)

## V მოდული: ქართული ძველნაბეჭდი წიგნი

### ნანა თარგამაძე

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს  
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

### ქართული ძველნაბეჭდი წიგნი (XVII-XVIII სს.)

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი მდიდარია ძველნაბეჭდი და იშვიათ გამოცემათა წიგნების კოლექციით, რომელთა უმეტესი ნაწილი დაცულია ქრ. შარაშიძის სახელობის იშვიათ გამოცემათა კაბინეტში.

პირველნაბეჭდი ქართული წიგნის კოლექცია, რომელიც 303 ერთეულს შეიცავს ცალკეა გამოყოფილი. ამ კოლექციის მნიშვნელოვანი ექსპონატებია პირველი წიგნები ქართული ნაბეჭდი ტექსტით – „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“ და „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“, რომლებიც იტალიაში გამოიცა, კათოლიკური სარწმუნოების „პროპაგანდა ფიდეს“ მიერ. შემთხვევითი არ არის ეს ფაქტი, რადგან საქართველოს მეფე თეიმურაზ I ისტორიული ბედუკუღმართობის გამო მეკავშირეს ეძებდა ევროპის ქვეყნებში. თეიმურაზ I-მა თავისი ელჩი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი რომში გააგზავნა პაპ ურბან XVIII-სთან მხარდაჭერის სათხოვნელად. პაპთან შეხვედრამდე ქართველი ელჩი კათოლიკედ მონათლეს და ნიკიფორე ირბახი უწოდეს. ნიკიფორე ამაოდ ელოდა პაპის წყალობას; მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ელჩმა პოლიტიკური მარცხი განიცადა, მის ვიზიტს ამაოდ არ ჩაუვლია. კათოლიკური სარწმუნოების პროპაგანდის გაძლიერების მიზნით, კონგრეგაციამ გადაწყვიტა ქართული ენის შესასწავლად საჭირო წიგნები დაებეჭდა და ამ წიგნებით საქართველოში მუდმივი მისიონი მოემარებინა. ნიკიფორემ ჯეროვნად შეაფასა არსებული მდგომარეობა და მისი ხელშეწყობით, იტალიელ სტეფანო პაოლინის მონაწილეობით 1629 წელს რომში გამოიცა ორი ქართული წიგნი: „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“ (Rar 52/2) და „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“ (Rar 27/1ა).

„ქართულ-იტალიური ლექსიკონი“ დაბეჭდილია სამ სვეტად: პირველი სვეტია ქართული სიტყვები, მეორე – ქართული სიტყვების ტრანსლიტერაცია, მესამე – იტალიური შესატყვისები, რომელიც 3084 სიტყვას მოიცავს.

„ქართული ანბანი ლოცვებითურთ“ – პირველი შვიდი გვერდი მხედრულ ანბანს უკავია, დანარჩენ გვერდებზეა ლოცვები, მრწამსი, ათი მცნება, ღვთისმშობლის საგალობლები ქართულ ენაზე. იგივე მასალა მოცემულია ლათინურად. შეცდომების მიუხედავად, ორივე გამოცემა მნიშვნელოვანია.

აღსანიშნავია რომის კათოლიკური სარწმუნოების გამავრცელებელი საზოგადოების სტამბა „პოლიგლოტაში“ მისიონერ მარიო მაჯოს მნიშვნელოვანი ნაშრომი „აღმოსავლურ ენათა შესახებ“ (Rar. 860), რომელიც ევროპაში დაბეჭდილი ქართული ენის გრამატიკის პირველ სახელმძღვანელოს წარმოადგენს.

1709 წელს ვახტანგ VI-ის ინიციატივით დაარსებულმა სტამბამ საფუძველი ჩაუყარა ეროვნულ პოლიგრაფიას, რომელმაც 1722 წლამდე იარსება. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქრ. შარაშიძის სახელობის იშვიათ გამოცემათა კაბინეტში ვახტანგისეული სტამბის რვა დასახელების ნიგნია წარმოდგენილი. კერძოდ: 1. „სახარება“ (Rar 8/3), იმერეთის მეფე ალექსანდრეს საკუთრება, 2. „სამოციქულო“ (Rar 4/3), 3. „ლოცვანი“, 1710 წ. (Rar 15/1), 4. „კონდაკი“, 1710 წ. (Rar 51/2), 5. გერმანე მღვდელ-მონაზონი – „სწავლება, თუ ვითარ მართებს სწავლება მოსწავლისა“, 1711 წ. (Rar 12/1ა), 6. „დავითნი“, 1711 წ., 7. [შოთა რუსთაველი] „ვეფხისტყაოსანი“ (Rar 6/3), 8. „ჟამნი“, 1717 წ. (Rar 14/1ა).

თბილისის სტამბა განახლდა 1749 წელს ერეკლე II-ისა და ანტონ კათალიკოსის მეცადინეობით. ცენტრში დაცულია ერეკლეს სტამბის ათი დასახელების 27 ეგზემპლარი: „პარაკლიტონი“, 1772 წ. (Rar 35/4), „ზატიკი“, 1788 წ. (Rar 51/4) და სხვ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1795 წლის [ღვთისმშობლის დაუჯდომელი] (1/1), რომელიც ითვლება საქართველოში დაცულ ერთადერთ ეგზემპლარად.

1795 წლის ალა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის დარბევის შემდეგ აქ შეწყდა ნიგნების გამოცემა. ბეჭდვის განახლების ინიციატივა დასავლეთ საქართველომ იტვირთა: 1800-1817 წლებში ნიგნების ბეჭდვის ცენტრებად იქცა იმერეთი და რაჭა. ამ წლებში დასტამბული ყველა ნიგნი დაცულია ქრ. შარაშიძის იშვიათ გამოცემათა კაბინეტში, მათ შორის პირველი ქართული მინიატიურული ნიგნი – „სავედრებელი ღმრთისმშობლისა“, რომელიც დაბეჭდილია სოფელ წესში.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქრ. შარაშიძის იშვიათ გამოცემათა კაბინეტში წარმოდგენილია საქართველოდან რუსეთში გადასულ ქართველ დიდებულთა – ბაქარ და ვახუშტი ბატონიშვილების, იოსებ სამეხელის მიერ მოსკოვში დაარსებული სტამბის 1743 წელს გამოცემული „ბიბლია“. „ბიბლიის“ გამოცემა რუსეთში მოღვაწე ქართველთა რამდენიმე თაობის ოცნების ფრთაშესხმა გახლდათ. გარდა „ბიბლიისა“, ცენტრში დაცულია იოსებ სამეხელის სტამბის არაერთი ექსპონატი და მოსკოვშივე მოღვაწე ათანასე თბილელის სტამბის გამოცემული რამდენიმე ღირსშესანიშნავი ნიგნი.



## OLD GEORGIAN PRINTED BOOKS (17<sup>TH</sup>-18<sup>TH</sup> CC.)

Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts is rich in a collection of old printed books and rare editions, most of which are preserved in the Room of the Rare Editions named after Ch. Sharashidze.

The collection of the first printed Georgian book, which contains 303 units, is separated. Important exhibits in this collection are the first books in Georgian printed text – “Georgian-Italian Dictionary” and “Georgian Alphabet with Prayers”, published in Italy by the *Propaganda Fide Press* of the Sacred Congregation for the Propagation of the Faith, which was established in Rome in 1622 for the purpose of spreading Catholicism in non-Catholic countries. This fact is not accidental, because King Teimuraz I of Georgia was looking for an ally in European countries due to his historical misfortune. Teimuraz I sent his ambassador Nikoloz Cholokashvili to Rome to ask for support from Pope Urban VIII.

Before meeting with the Pope, the Georgian ambassador was baptized as a Catholic and named Niceforo Irbach. Niceforo waited to no avail for the pope’s mercy. Although the Georgian ambassadorial mission did not have much political success, his visit was not in vain. In order to strengthen the propaganda of the Catholic faith, the Congregation decided to publish the books needed to study the Georgian language and thus to strengthen the permanent mission in Georgia. Niceforo properly estimated the existing situation and with his support and with the participation of the Italian Stefano Paolini, two Georgian books were published in Rome in 1629: “Georgian-Italian Dictionary” (Rar. 52/2) and “Georgian Alphabet with Prayers” (Rar. 27/1<sup>o</sup>).

“Georgian-Italian Dictionary” is printed in three columns: Georgian words in the first (left) column, Italian transliteration in the second (middle) column, and an explanation of the meaning of each word in Italian in the third (right) column. The Georgian alphabet and the Latin equivalents of each of its letters appear on pages 1-2.

“Georgian alphabet with prayers” – on the first seven pages is presented the Georgian alphabet in *Mkhedruli* script, on the other pages there are prayers, beliefs, ten commandments, hymns of the Mother of God in Georgian. The same material is given in Latin. Despite the errors, both editions are important.

The important work of the missionary Francisco-Maria Maggio’s – “A work on the Eastern Languages Spoken on the Territory of Georgia” (Rar. 860) printed in Rome with the permission of the Sacred Congregation for Propagating the Faith, is in fact first textbook of Georgian grammar published in Europe.

The printing house, founded by Vakhtang VI in 1709, laid the foundation for national printing, which lasted until 1722. In Ch. Sharashidze’s Rare Editions Room (Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts) are presented eight books released by the printing press of King Vakhtang: 1. “Gospels” (Rar. 8/3), Property of King Alexander of Imereti; 2.

“Acts of Apostols” (Rar. 4/3), 3. “Prayer”, 1710 (Rar. 15/1); 4. “Kontakia”, 1710 (Rar. 51/2); 5. Teaching of Germanus Hieromonk “How to teach a student”, 1711 (Rar. 12/1<sup>b</sup>); 6. “Psalms”, 1711; 7. [Shota Rustaveli] “The Man in the Panther Skin” (Rar. 6/3) and 8. “Horologion”, 1717 (Rar. 14/1<sup>b</sup>).

The Tbilisi printing house was renovated in 1749 by the efforts of Erekle II and Anton the Catholicos. The centre preserves 27 copies of the ten titles of Erekle’s printing press: “Paracletike”, 1772 (Rar. 35/4), “Pentecostarion”, 1788 (Rar. 51/4) and others. Of particular importance is the [Supplication to the Virgin] 1795 (1/1), which is considered to be the only surviving specimen in Georgia.

After the raid of Tbilisi by Agha-Mohammad Khan in 1795, the publication of books stopped here. The initiative to resume printing was taken over by Western Georgia: in 1800-1817 Imereti and Racha became the centres of book printing. All the books published during these years are preserved in Chr. Sharashidze’s Room of the Rare Editions, including the first Georgian miniature (tiny) book “The Prayer of the Mother of God”, which was printed in the village of Tsesi.

In Chr. Sharashidze’s Room of the Rare Editions (Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts) is presented a “Bible” which was published in the printing press founded in Moscow by the Goergin nobles moved to Russia – Bakar and Vakhushti Batonishvili and Ioane Samebeli. The publication of the “Bible” was the dream of several generations of Georgians residing in Russia. In addition to the “Bible”, the Centre preserves a number of exhibits of the printing house of Ioseb Samebeli and several remarkable books published by the printing house of Athanasius Tbileli, who resided in Moscow.

## ბიბლიოგრაფია / BIBLIOGRAPHY

პ. გუგუშვილი, ქართული წიგნი (1626-1929), თბ., 1929. [P. Gugushvili, The Georgian Book (1629-1929). Tbilisi, 1929].

კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1980. [K. Kekelidze, History of the Old Georgian Literature. Tbilisi, 1980].

ო. კასრაძე, ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნი, თბ., 1979. [O. Kasradze, Old Georgian Printed Book. Tbilisi, 1979].

ო. კასრაძე, ქართული წიგნის ბეჭდვის კერები, თბ., 1980. [O. Kasradze, Georgian Book Printing Centres. Tbilisi, 1980].

ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია, ტ. I, 1629-1920, თბ., 1941. [Georgian Book, Bibliography, vol. I, 1629-1920. Tbilisi, 1941].

ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, თბ., ივლისი. [Chr. Sharashidze, The First Printing Press in Georgia. Tbilisi, 1955].

ც. ქურციკიძე, ქართული ბიბლია, თბ., 2010. [Ts. Kurtsikidze, Georgian Bible. Tbilisi, 2010].

ძველნაბეჭდი ქართული გამოცემები, ტ. I, თბ., 2010. [Old Georgian Editions, vol. I, Tbilisi, 2010].

ძველნაბეჭდი ქართული გამოცემები, ტ. II, თბ., 2013. [Old Georgian Editions, vol. II, Tbilisi, 2013].

ჯ. ვათეიშვილი, ა. ჩიქობავა, პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები, თბ., 1983. [J. Vateishvili, A. Chikobava, The First Georgian Editions. Tbilisi, 1979].



სურ. 14. ძველნაბეჭდი ბიბლია. დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

Fig. 14. Old printed Bible. Kept at Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts.



კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

0193 თბილისი, მერაბ აღუქსიძის ქ. 1/3. ტელ.: 995 (32) 247 42 42

[www.manuscript.ge](http://www.manuscript.ge) [info@manuscript.ac.ge](mailto:info@manuscript.ac.ge)

1/3 M. Alexidze str., Tbilisi 0193, Georgia. Tel.: +995 (32) 247 42 42

KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS